

# ბანსჯაღობა

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი  
**ადმინისტრაციულ საქმეებზე**

2019, №1

Decisions of the Supreme Court of Georgia  
**on Administrative Cases**  
(in Georgian)

2019, №1

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien  
**in Verwaltungssachen**  
(in der georgischen Sprache)

2019, №1

Решения Верховного Суда Грузии  
**по административным делам**  
(на грузинском языке)

2019, №1

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

**ლიანა ლომიძე**

ტექნიკური რედაქტორი

**მარიკა მაღალაშვილი**

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32, ტელ: 299 04 18;  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)

ყურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

# საკიეხელი

## 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა .....	5
ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა .....	19
სამედიცინო მომსახურების დაფინანსებაზე და გარანტიის შექმნაზე დავის განსჯადობა .....	30

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა .....	38
სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განსჯადობა .....	54; 62
იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის განსჯადობა .....	67
არასათანადო სამედიცინო მომსახურების განევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განსჯადობა .....	74

## 3. ტერიტორიული განსჯადობა

ა) განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით .....	80; 90; 102
განსჯადობა სამხედრო სამსახურთან კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების ადგილის მიხედვით .....	113
ბ) განსჯადობა მოპასუხის ან ქონების ადგილსამყოფლის (ადგილმდებარეობის) მიხედვით .....	121
განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით .....	128; 135
განსჯადობა მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, ნიეთობრივი განსჯადობა ....	140; 150
განსჯადობა უძრავი ნიეთის და ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით .....	159; 168
ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების თაობაზე განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით .....	176

გ) განსჯადობა მოსარჩელის არჩევით; ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე ალტერნატიული განსჯადობა .....	185
<b>4. საქმის წარმოების განახლებაზე განცხადების განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემა</b>	
გადანყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განცხადების განსჯადობა .....	191
ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების თაობაზე განცხადების განსჯადობა .....	196
<b>5. განსჯადობის თაობაზე საკასაციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები</b>	
სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის არსი .....	199

# 1. ადმინისტრაციული განსჯადობა

## ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებული დავის განსჯადობა

### განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-377-374(გ-17)

01 აგვისტო, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირ-  
ველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძ-  
ველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა თ. კ-ის, თ. ბ-ას, მ. ო-  
ის, კ. კ-ას, გ. პ-ის, დ. ძ-ის, კ. გ-ის, ო. ტ-ისა და რ. პ-ას სარჩელთან  
დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალა-  
ქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და თბი-  
ლისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას  
შორის.

#### აღწერილობითი ნაწილი:

თ. კ-მა, თ. ბ-ამ, მ. ო-ემ, კ. კ-ამ, გ. პ-მა, დ. ძ-მა, კ. გ-მა, ო. ტ-მა  
და რ. პ-ამ 10.03.2017 წ. სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო  
სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სა-  
ქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ. მოსარჩელებმა  
მოითხოვეს მათ მიმართ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს  
მიერ 09.12.2016 წ. განხორციელებული ქმედების (რომლის ფიქსა-  
ცია მოხდა 09.12.2016წ. შემაჯამებელი ოქმით) დისკრიმინაციულად  
ცნობა და ქმედების დისკრიმინაციულად ცნობის შემთხვევაში, მო-  
პასუხისათვის დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფ-  
ხერის დავალება.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2015-2016 წლებში სასამარ-  
თლომ დააკმაყოფილა მათი მოთხოვნები და საქართველოს თავ-  
დაცვის სამინისტროს დაევალა თითოეული მათგანისთვის ინდი-  
ვიდუალურად საცხოვრებელი ბინის, არაუმეტეს 40 კვ.მ ფართის,  
საკუთრებაში გადაცემა. ხსენებული გადაწყვეტილებები შესულია

კანონიერ ძალაში, მიმდინარეობს იძულებითი სააღსრულებო წარმოება, თუმცა გადანყვეტილებები დღემდე არ არის აღსრულებული. 09.12.2016 წ. თავდაცვის სამინისტრომ მოსარჩელები და მათ მდგომარეობაში მყოფი სხვა პირები მიიწვია თავდაცვის სამინისტროს ადმინისტრაციულ შენობაში და მოაწყო ბინების განაწილების კენჭისყრა. ადგილზე მყოფთა უმეტესობამ უარი განაცხადა კენჭისყრაში მონაწილეობაზე, მაგრამ კომისიამ, მათი მონაწილეობის გარეშე, ჩაატარა კენჭისყრა. მოსარჩელებს წილად ხვდათ ქ. თელავის ... დასახლებაში მდებარე ბინები, თუმცა მათ ეს ბინებიც კი არ გადასცემიათ საკუთრებაში, კომისიამ მხოლოდ რეკომენდაცია გასცა მოსარჩელებისათვის ქ. თელავში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემაზე.

მოსარჩელები თვლიან, რომ ადგილი აქვს პირდაპირი სახის დისკრიმინაციას, ვინაიდან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ არ გაითვალისწინა კანონიერ ძალაში შესული გადანყვეტილებების მოთხოვნები. მოსარჩელები მიიჩნევენ, რომ ისინი უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ იმ პირებთან შედარებით, რომლებსაც არ გააჩნდათ სასამართლო გადანყვეტილებებით დადასტურებული მოთხოვნა. მოპასუხემ უპირატესობა მიანიჭა სასამართლო გადანყვეტილების არმქონე პირებს და ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადასცა მათ ქ. თბილისში, ... ქუჩაზე არსებული ბინები, რომელთა საბაზრო ღირებულება დაახლოებით 10-ჯერ აღემატება თელავში მდებარე ფართების ღირებულებას. თავდაცვის სამინისტროს ქ. თბილისში ჰქონდა საბინაო ფონდი, საიდანაც შეეძლო მოსარჩელეთა დაკმაყოფილება. ქ. თელავში მდებარე ფართებში არ არის გაზიფიცირება, უწყვეტი წყალმომარაგება, არ არის მოწყობილი სათანადო ინფრასტრუქტურა, ბინები განთავსებულია ავარიულ შენობა-ნაგებობაში, ის ბინები ცხოვრებისათვის შეუფერებელ მდგომარეობაშია, რაც თავდაცვის სამინისტროს მიერ არ იქნა გათვალისწინებული. მოსარჩელეთა მიმართ განსხვავებული მოპყრობა არ არის დასაბუთებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.03.2017 წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს საოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითადი ელემენტი საჯარო, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან წარმოშობილი დავის საგანია. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელები ითხოვენ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ 09.12.2016 წ. განხორციელებული ქმედების (რომლის

ფიქსაცია მოხდა 09.12.2016 წ. შემაჯამებელი ოქმით) დისკრიმინაციულად ცნობასა და მოპასუხისათვის დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრის დავალებას. სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 23.06.2016 წ. №ბს-411-406(გ-16) განჩინებაზე, რომელშიც საკასაციო პალატამ აღნიშნა, რომ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7<sup>3</sup> კარი დისკრიმინაციულ საქმეებთან დაკავშირებით სპეციალურ ნესებს ადგენს. სსკ-ის 363<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული სარჩელი შეიძლება განხილულ იქნეს სსკ-ის XLIV<sup>9</sup> თავით დადგენილი წესით, თუ სსკ-ით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა დისკრიმინაციული ფაქტის დადგენის თაობაზე სამოქალაქო დავათა კატეგორიას მიეკუთვნება. სასამართლომ აღნიშნა აგრეთვე, რომ დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა უპირობოდ არ განსაზღვრავს საქმის განსჯადობის საკითხს. სასამართლომ ჩათვალა, რომ სადავო ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე და მისი დაკმაყოფილების სამართლებრივ საფუძველს სამოქალაქო კანონმდებლობით მონესრიგებული ურთიერთობანი წარმოადგენს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 31.03.2017წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. კოლეგიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ უნდა იქნეს საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის“ მე-8 მუხლიდან, „სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ“ საერთაშორისო პაქტის მე-2 მუხლიდან, „ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის“ ევროპული კონვენციის მე-6 მუხლიდან და საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლიდან გამომდინარე, ყოველი ადამიანი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სსკ-ის მე-11 მუხლში განსაზღვრულია სასამართლოს უწყებრივად ქვემდებარე სამოქალაქო საქმეები, ხოლო სასკ-ის მე-2 მუხლში მოცემულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი დავების ჩამონათვალი. ის ქმედება, რომელიც მოსარჩელეთა აზრით დისკრიმინაციულია, განხორციელებულია ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს

თავდაცვის სამინისტროს მიერ, რომელიც აქტის გამოცემისას ასრულებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. სარჩელის არსი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, აქტის გამოცემისას დისკრიმინაციული მოტივის არსებობის დადგენას ეხება. აღნიშნულ გარემოებათა გამოკვლევა მხოლოდ ერთობლივად არის შესაძლებელი, რაც ცდება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის უფლებამოსილებას. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის საკითხის განხილვა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შემოწმებისგან დამოუკიდებლად არამართებულია, დავის საგნის ხელოვნურად დაყოფა გამოიწვევს სარჩელის უფლებამოსილი სასამართლოს მიერ განხილვაზე მოსარჩელეთა უფლების ხელყოფას.

სასამართლომ მიუთითა, რომ პირის დარღვეული უფლების აღდგენისკენ მიმართული სამართალწარმოება უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად ეფექტურად. სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განმხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ – ცალკე სასამართლო სისტემებს. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მიხედვით საქართველოში მოქმედებს ერთიანი სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულების წესისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს, განმარტოს ნებისმიერი შინაარსის ნორმატიული თუ ინდივიდუალური აქტი, თუმცა აღნიშნული მსჯელობა არ გამორიცხავს საგნობრივი განსჯადობის საკითხის სწორად გადაწყვეტის აუცილებლობას. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელები სადავოდ ხდიან უკანონო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას დისკრიმინაციული მოტივით. შესაბამისად, მოცემული დავის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობა ენიჭება თავდაცვის სამინისტროს მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებაზე მსჯელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო ვერ შეაფასებს დისკრიმინაციის საკითხს, რადგან ეს უკანასკნელი მჭიდრო კავშირშია სადავო ბრძანების კანონიერების შესწავლასთან. დაუშვებელია საჯარო სამართლებრივი დავის კერძო სამართლებრივად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო სამართლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების გამოტანას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სა-



მართალწარმოების პრინციპებისგან. ადმინისტრაციულ პროცესში ორგანო ხშირ შემთხვევაში ვალდებულია სრულად ზიდოს მტკიცების ტვირთი, რაც მოსარჩელეს უკეთეს სამართლებრივ მდგომარეობაში აყენებს.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 22.09.2016წ. №ბს-610-604(გ-16) განჩინების საფუძველზე საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ შეიცავს მითითებას, თუ რომელმა კოლეგიამ უნდა განიხილოს საქმე, ამდენად, დისკრიმინაციულ ქმედებას შეიძლება ადგილი ჰქონდეს, როგორც კერძო, ასევე საჯარო სამართლებრივ სფეროშიც, შესაბამისად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული საქმეთა კატეგორიის განმხილველი სასამართლოს განსჯადი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რადგან სახეზეა სასკ-ის მე-2 მუხლით დადგენილი წინაპირობები: დავა გამოძინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, დავაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა და დავის საგანს წარმოადგენს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ თ. კ-ის, თ. ბ-ას, მ. ო-ის, კ. კ-ას, გ. პ-ის, დ. ძ-ის, კ. გ-ის, ო. ტ-ისა და რ. პ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი. იგი წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის

გადაწყვეტილების მნიშვნელობა ენიჭება სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას, სადავო მოქმედების განხორციელების საფუძველს. უკეთეს დავის საგანს არ შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის რომელიმე ფორმის მართლზომიერება, გამოირიცხება დავის ადმინისტრაციული სასამართლოსადმი ქვემდებარეობა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოში ცალკე დავის საგანს არ წარმოადგენს ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს შუალედური გადაწყვეტილება ან მოქმედება. მმართველობითი აპარატის ოპერატიულობის უზრუნველყოფის მოსაზრებებიდან გამომდინარე, ამგვარი აქტის/ქმედების გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ ადმინისტრაციული წარმოების შედეგად გამოცემულ, მხარისათვის უშუალო შედეგის წარმომშობ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტთან ერთად. ვითარება არ იცვლება ისეთ შემთხვევაშიც, როდესაც აღნიშნული შუალედური ქმედება/აქტი შესაძლოა დაინტერესებული პირის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მიზეზი გახდეს.

განსახილველ შემთხვევაში სარჩელით მოთხოვნილია საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ მოსარჩელეთა მიმართ 09.12.2016 წ. განხორციელებული ქმედების (რომლის ფიქსაცია განხორციელდა 09.12.2016 წ. შემაჯამებელი ოქმით) დისკრიმინაციულად ცნობა და მოპასუხისათვის დისკრიმინაციული ქმედების შედეგების აღმოფხვრის დავალება. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელებს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან დადებული ჰქონდათ ხელშეკრულებები სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ. კონტრაქტის პირობების შესაბამისად სამინისტრო ვალდებული იყო კონტრაქტის მოქმედების ვადის ამონურვამდე ერთი წლით ადრე დაეკმაყოფილებინა მოსარჩელები საცხოვრებელი ბინით, რომელიც გადაეცემოდა მათ საკუთრებაში კონტრაქტის ვადის დამთავრების შემდეგ. კონტრაქტის მოქმედების ვადის ამონურვის მიუხედავად სამინისტრომ არ შეასრულა მასზე დაკისრებული ვალდებულება და მოსარჩელე ფიზიკური პირები არ დააკმაყოფილა საცხოვრებელი ბინებით, რასაც მოჰყვა სასამართლო დავები მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ სამინისტროსათვის ბინით დაკმაყოფილების თაობაზე კონტრაქტით ნაკისრი ვალდებულების შესრულების დავალების მოთხოვნით. ამჟამად ბინის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე მოსარჩელე ფიზიკური პირების უფლება აღიარებულია კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც მიქცეულია იძულებით აღსასრულებლად, თუმცა სარჩელის აღძვრის

დროისთვის არ იყო აღსრულებული. კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებებით არ არის განსაზღვრული მოსარჩევეებისათვის გამოსაყოფი კონკრეტული ბინები, კონტრაქტის საფუძველზე საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემა საჭიროებს ადმინისტრაციული პროცედურის ჩატარების შედეგად გადაწყვეტილების მიღებას. საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის მ/შ-ის 10.01.2017წ. წერილით, მოსარჩევეთა ახსნა-განმარტებებითა და კენჭისყრის შედეგების 09.12.2016წ. შემაჯამებელი ოქმით ირკვევა, რომ კანონიერ ძალაში მყოფი გადაწყვეტილებების აღსრულების მიზნით საქართველოს თავდაცვის სამინისტროში დაიწყო წარმოება, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის კომისიის 07.09.2016წ. გადაწყვეტილებით რეკომენდაცია გაენიათ მოსარჩევეებს ქ. თელავში, ... ქუჩაზე, ... №1-ში მდებარე ბინების საკუთრებაში გადაცემაზე, 09.12.2016წ. გამართული კენჭისყრის შედეგად მოხდა ბინების იდენტიფიკაცია კონკრეტული საკადასტრო კოდებით, ბინის საიდენტიფიკაციო მონაცემები აისახა კენჭისყრის შედეგების ამსახველ ცხრილში. კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის (09.12.2016წ.) თანახმად, კენჭისყრას საფუძვლად დაედო ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლის 25.11.2016წ. №148 ბრძანება „ბინების განაწილების მიზნით კენჭისყრის პროცესის ორგანიზების შესახებ“. მოსარჩევეები მოითხოვენ – კენჭისყრის შედეგების დისკრიმინაციულად ცნობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს მთავრობის 22.11.2013წ. №297 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს დებულების“ 3.3 მუხლის „უ“ ქვეპუნქტის თანახმად, მინისტრი უფლებამოსილია შექმნას კომისიები, განსაზღვროს მათი უფლებამოსილება და საქმიანობის წესი. „საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს თავდაცვის მინისტრის 04.04.2014წ. №MOD8140000441 ბრძანებით შეიქმნა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის კომისია (ბრძანების 1-ლი მუხ.), კომისიის ერთ-ერთ უფლებამოსილებად განისაზღვრა საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემისათვის რეკომენდაციების შემუშავება (მე-2 მუხ. „ბ“ ქვ.პ.), დადგინდა, რომ კომისია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სამხედრო მოსამსახურეებისათვის

(მათ შორის დათხოვნილი სამხედრო მოსამსახურეებისათვის) კონტრაქტის საფუძველზე საცხოვრებელი ბინების საკუთრებაში გადაცემაზე, J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე (მე-3 მუხ. „გ“, „დ“ ქვ.პ.), ამასთან, კომისიის გადანყვეტილების აღსრულებას ახორციელებს ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა (მე-4 მუხ., „დ“ ქვ.პ.), რომლის ერთ-ერთი ფუნქცია სადავო პერიოდში იყო საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საბინაო-არასაბინაო ფონდებისა და უძრავ-მოძრავი ქონების მართვა-განკარგვასთან დაკავშირებული ღონისძიებების გატარება და უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებული ურთიერთობების უზრუნველყოფა (საქართველოს თავდაცვის მინისტრის 06.06.2014წ. №44 ბრძანებით დამტკიცებული „საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ჯარების ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობის დებულების“ სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის მე-2 მუხლის „ბ“, „დ“ ქვ.პ.). ამდენად, აღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე დგინდება, რომ J-1 პირადი შემადგენლობის დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე თავდაცვის სამინისტროს ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი ბინების სამსახურებრივ სარგებლობაში/საკუთრებაში გადაცემის კომისია იღებდა სარეკომენდაციო გადანყვეტილებას ბინის საკუთრებაში გადაცემის შესახებ, ხოლო შემდგომ ღონისძიებებს ახორციელებდა ლოგისტიკური უზრუნველყოფის სარდლობა. გასათვალისწინებელია აგრეთვე, რომ სახელმწიფო საკუთრებაში რიცხული ქონების განკარგვას ახდენს სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო („სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის 1.6 მუხ.), ხოლო განკარგვის ფორმების მიხედვით, შესაძლოა განკარგვისათვის აუცილებელი გახდეს საქართველოს მთავრობის გადანყვეტილება (კანონის 18.3 მუხ.). მოსარჩელები თვლიან, რომ კომისიის 09.12.2016წ. ოქმში ასახული მოქმედებით მათ საცხოვრებელი ბინები არ გადასცემიათ, მხოლოდ რეკომენდაცია გაენიათ ქ. თელავში მდებარე კონკრეტული ბინების საკუთრებაში გადაცემაზე. მოცემულ შემთხვევაში კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე თავდაცვის სამინისტრო წერილობითი შუამდგომლობით მიმართავს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, რომელიც ამზადებს „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარადგენს პროექტს მთავრობაში განსახილველად, ხოლო „სახელმწიფო ქონების შესახებ“ კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე, რომლის თანახმად სახელმწიფო საკუთ-

რებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზება ხორციელდება საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილების საფუძველზე, საქართველოს მთავრობა გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – განკარგულებას „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირებისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“. საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე სახელმწიფო ქონების მმართველი დებს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას სახელმწიფო ქონების პირდაპირი მიყიდვის შესახებ. ამდენად, მოსარჩელეთა მიერ გასაჩივრებული ქმედებით უშუალოდ კონკრეტული სამართლებრივი შედეგი არ დამდგარა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მოიაზრება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომელსაც უნდა მოჰყვეს სამართლებრივი შედეგი, თუმცა არა სხვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით, არამედ აღნიშნულის გარეშე. შესაბამისად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრება სადავო ქმედების/ოქმის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევის შესახებ.

სადავო მოქმედება ვერ იქნება მიჩნეული აგრეთვე რეალაქტად, რადგან რეალაქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს ისეთი საჯარო-სამართლებრივი ღონისძიება, რომელიც მიმართულია არა სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისკენ, არამედ ფაქტობრივი შედეგის დადგომისკენ. კომისიის განსახილველი მოქმედება მიმართულია კონკრეტული შედეგის დადგომისკენ, სადავო მოქმედება წარმოადგენს საბოლოო, შედეგის წარმოშობისაკენ მიმართულ ერთ-ერთ პროცედურულ ღონისძიებას, ამდენად, სახეზე არ არის ადმინისტრაციული ორგანოს ფაქტობრივი შედეგის წარმომშობი, დამოუკიდებელი მოქმედება – რეალაქტი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის ფაქტი, როგორც წესი არ დგება დამოუკიდებლად, არამედ მას თან ახლავს პირის კონკრეტული უფლების შეზღუდვა, ამიტომ სასარჩელო მოთხოვნა კომპლექსურ ხასიათს ატარებს. კანონმდებლობა არ უშვებს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენაზე დამოუკიდებელი სარჩელის აღძვრას, ფაქტის დადგენა უნდა უკავშირდებოდეს დისკრიმინაციული ქმედების შეწყვეტას ან/და მისი შედეგების აღმოფხვრას, ზიანის ანაზღაურებას (სსკ-ის 363<sup>2</sup>.3 მუხ.). იმ შემთხვევაში თუ ქმედება არის ერთჯერადი, დასრულებული და არა განგრძობადი – სასამართლოს გამოაქვს გადაწყვეტილება დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურების ან ასეთი ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ, რაზედაც დამოკიდებულია დანარჩენი

მოთხოვნების დაკმაყოფილება. განსახილველ შემთხვევაში არ არის დადგენილი სადავო მოქმედებით მოსარჩელეთათვის კონკრეტული სამართლებრივი შედეგის წარმოშობის ფაქტი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოების რაიმე შუალედური, სარეკომენდაციო ხასიათის მოქმედების/გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, დგება სასამართლოსადმი უწყებრივი ქვემდებარეობის და არა განსჯადობის საკითხი. ამასთანავე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოთა შორის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის ფარგლებში საკასაციო სასამართლო წყვეტს არა ქვემდებარეობის, არამედ მხოლოდ და მხოლოდ განსჯადობის საკითხს, უკანასკნელის გადაწყვეტა საჭიროებს სასარჩელო მოთხოვნის დაზუსტებას.

ადმინისტრაციული წარმოების საკითხთან დაკავშირებით მიღებული ადმინისტრაციული ორგანოს შუალედური გადაწყვეტილება ან მოქმედება არ წარმოადგენს დავის საგანს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ეს პირდაპირ არის გათვალისწინებული კანონით ან შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისგან დამოუკიდებლად არღვევს პირის უფლებას ან კანონიერ ინტერესს. დისკრიმინაციის ფაქტი შეიძლება დადგეს ცალკე იმ შემთხვევაში, როდესაც არსებითი უფლება ცალკე აღებული არ დარღვეულა, საქმის გარემოებები თავსდება უფლების ფარგლებში, მაგრამ მისი განვრცობა დისკრიმინაციული სახით ხდება და ამიტომ „ანორმალურია“. ამდენად, იმ შემთხვევაშიც თუ სასამართლოს მიერ სარჩელის არსებითი განხილვა არსებული სახით შესაძლებლად იქნება მიჩნეული, სარჩელი ადმინისტრაციული სასამართლო-წარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ დავა თავისი არსით ეხება სამხედრო მოსამსახურეებსა და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შორის სამხედრო სამსახურის გავლასთან დაკავშირებით დადებული კონტრაქტის შესრულებას, რაც ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა საბოლოო ჯამში უკავშირდება პირდაპირი მიყიდვის ფორმით ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას და მის საფუძველზე პრივატიზების ხელშეკრულების დადებას, რაც ასევე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება აგრეთვე კანონიერ ძალაში მყოფი სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებას, თავის მხრივ აღსრულების პროცესში წარმოშობილი დავები ასევე ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიას განეკუთვნებიან. ამდენად, დავა ადმინისტრაციულ კატეგორიათა რიცხვს განე-



კუთვნება.

დისკრიმინაციის აკრძალვა, თანასწორობის მოთხოვნა ჩვეულებრივ არ გამოიყენება დამოუკიდებლად და მისი დარღვევა ნაგულისხმები უნდა იყოს რომელიმე სხვა უფლებასთან მიმართებაში. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა, ბინის ქ. თბილისში გამოყოფის მოთხოვნის კანონიერებას უკავშირდება. ვინაიდან საცხოვრებელი ფართის პირდაპირი ფორმის პრივატიზაცია ხორციელდება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე, სადავო სამართალურთიერთობა ძირითადად უკავშირდება მოსარჩელეთა მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემას, მათ ბათილად ცნობას დისკრიმინაციული მოპყრობის გამო ან აქტების გამოცემის დავალების მოთხოვნას. ყოველი დავის გადაწყვეტა სასამართლოში იწვევს გარკვეული ფაქტების დადგენას, რომელსაც სამართლის ნორმა უდგენს გარკვეულ იურიდიულ შედეგს. აქტის კანონიერებასთან დაკავშირებით სასამართლოს გადაწყვეტილება დაეყრდნობა დისკრიმინაციის ფაქტის დადასტურებას ან უარყოფას. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა გამოიწვევს აქტის (მისი ნაწილის) ბათილად ცნობას. დისკრიმინაციის ფაქტის დამოუკიდებლად განხილვა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით გამოიწვევს სადავო აქტის კანონიერებაზე მსჯელობას, რაც სცილდება სამოქალაქო კოლეგიის განსჯადობის ფარგლებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრიმინაციული დამოკიდებულება შესაძლოა გამოვლინდეს აქტის გამოცემით ან გამოცემაზე უარის თქმით, შესაბამისად დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნა ან აქტის გამოცემის დავალების მოთხოვნა ურთიერთდაკავშირებული მოთხოვნებია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დისკრიმინაციის ამკრძალავი დებულებები მოცემულია არა მხოლოდ კერძო-სამართლებრივ, არამედ საჯარო-სამართლებრივ კანონმდებლობაში. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონი არ შეიცავს მითითებას იმაზე, თუ რომელმა კოლეგიამ უნდა განიხილოს საქმე, ამასთანავე კანონის მე-3 მუხლი ადგენს, რომ ამ კანონის მოთხოვნები ვრცელდება საჯარო დაწესებულებების, ორგანიზაციების, ფიზიკური და იურიდიული პირების ქმედებებზე ყველა სფეროში, ამავდროულად კანონის მე-10 მუხლი უთითებს, რომ პირს, რომელიც თავს დისკრიმინაციის მსხვერპლად მიიჩნევს, უფლება აქვს სასამართლოში შეიტანოს სარჩელი იმ პირის/დაწესებულების წინააღმდეგ, რომელმაც, მისი ვარაუდით, მის მიმართ დისკრიმინაცია განახორციელა. ამდენად, დისკრიმინაციულ ქმედებას ადგილი შეიძ-

ლება ჰქონდეს როგორც კერძო-სამართლებრივ, ასევე საჯარო სფეროში, როგორც კერძო პირის, ისე ადმინისტრაციული ორგანოს მხრიდან, შესაბამისად დისკრიმინაციასთან დაკავშირებული საქმეები შესაძლოა იყოს როგორც სამოქალაქო, ასევე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოს განსჯადი. დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა სასამართლოს შესაბამისი კოლეგიის მიერ უნდა მოხდეს. ის გარემოება, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას განხილვისას შესაძლოა მოუწიოს სსკ-ის VII<sup>3</sup> კარის დებულებების გამოყენება, არ ცვლის საგნობრივ განსჯადობას. სასკ-ის 1.2 მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. შესაბამისად, არსებობს სსკ-ის VII<sup>3</sup> კარით დადგენილი წესების გამოყენების საფუძველი ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განხილვისას. ამასთანავე, სასამართლო, რომელიც მის განსჯად საქმეს იხილავს, ფლობს ამ საქმის განხილვის სრულ კომპეტენციას, საქმის განხილვის პროცესში იგი უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს დავის გადაწყვეტისათვის საჭირო ყველა ნორმატიული აქტი.

საჯარო მმართველობის საქმიანობის კანონიერების დადგენა შესაძლებელია მხოლოდ სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტის სტატუსის, უფლება-მოვალეობების, სამართალურთიერთობებში კანონით განსაზღვრული თანასწორობის პრინციპზე დამყარებული ქცევის წესისა და სტანდარტების სათანადო ანალიზის შედეგად. ამდენად, დისკრიმინაციის საკითხთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში მოქცევა შედეგად გამოიწვევს იმას, რომ საჯარო მმართველობის კანონიერების ყველაზე აქტუალური საკითხები გამოვა ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა განმხილველი სასამართლოების იურისდიქციის სფეროდან. განსჯადობის დავის ამგვარი გადაწყვეტა შედეგად გამოიწვევს თავისი ბუნებით ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების მნიშვნელოვანი დავების გადაცემას სამოქალაქო კატეგორიის დავების განმხილველი სასამართლოების იურისდიქციაში. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ არამართლზომიერი ქმედების ჩადენა, კერძო სუბიექტების მიერ ანალოგიური სახის ქმედებასთან შედარებით, ხშირ შემთხვევაში გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია. სამართალი ანესრიგებს საზოგადოებრივი ურთიერთობების ფართო სპექტრს, რომელიც მიემართება პირთა განუსაზღვრელი წრისადმი. პირთა არსებითად თანასწორობის საკითხი უნდა შეფასდეს არა ზოგადად, არამედ კონკრეტულ სამართალურთიერთობასთან კავშირში. კანონის



და სასამართლოს წინაშე თანასწორობის პრინციპი გულისხმობს ყველა იმ ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თანაბრად აღიარებას და დაცვას, რომელიც იმყოფება თანაბარ პირობებში და კანონით განსაზღვრული საკითხის მიმართ აქვს ადეკვატური დამოკიდებულება. დისკრიმინაცია, არაგონივრული დიფერენცია-ცია აკრძალულია ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას. სზაკ-ის 4.2 მუხლის თანახმად, დაუშვებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე რომელიმე მხარის კანონიერი უფლებისა და თავისუფლების, კანონიერი ინტერესის შეზღუდვა ან მათი განხორციელებისათვის ხელის შეშლა, აგრეთვე მათთვის კანონმდებლობით გაუთვალისწინებელი რაიმე უპირატესობის მინიჭება ან რომელიმე მხარის მიმართ რაიმე დისკრიმინაციული ზომების მიღება. შესაბამისად, დისკრიმინაციის, თვითნებობის ყველა ფორმის აღმოფხვრა, საჯარო მმართველობაში ადმინისტრაციული იუსტიციის უმნიშვნელოვანეს ამოცანათა რიგს განეკუთვნება, თავად ადმინისტრაციული მართლმსაჯულება ეფუძნება კანონის და სასამართლოს წინაშე ყველას თანასწორობის პრინციპს, საჯარო სფეროში დისკრიმინაციის აღმოფხვრა საჭიროებს ეფექტურ სასამართლო კონტროლს, უფლების დაცვის მაღალ სტანდარტს, შესაბამისად მასზე უარის თქმა განსჯადობის საკითხის, პროცესუალური ნორმის განთავსების მიხედვით მცდარია. აღნიშნული შედეგად გამოიწვევს თანასწორობის ფუნდამენტური პრინციპის საკითხების ამორიცხვას ადმინისტრაციული მართლმსაჯულების სფეროდან, მისი იურისდიქციის მნიშვნელოვან შეზღუდვას, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების უფლებდამცავი პოტენციალის შესუსტებას. ყველა საჯარო-სამართლებრივი დავა, გარდა საკონსტიტუციო სასამართლოს უწყებრივი ქვემდებარეობის დავებისა, ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციას განეკუთვნება.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეთა ინტერესს შეადგენს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი ვალდებულებების სათანადოდ შესრულების დავალება, რაც დაუსაბუთებელს ხდის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ სადავო ურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და მოთხოვნა დაფუძნებულია სამოქალაქო სამართლის ნორმებზე. განსახილველ დავაში შესაფასებელია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების შესრულების პროცესში განხორციელებული ღონისძიებების დისკრი-

მინაციული ხასიათი, რაც ცდება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის კომპეტენციას. ადმინისტრაციულ ორგანოს უფლება არა აქვს კანონმდებლობის მოთხოვნების საწინააღმდეგოდ განახორციელოს რაიმე ქმედება (სზაკ-ის მე-5 მუხ.), ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ბათილია, თუ იგი ეწინააღმდეგება კანონს (სზაკ-ის მე-60<sup>1</sup> მუხ.). საჯარო სფეროში დისკრიმინაციის ფაქტის დადგენა მოითხოვს ადმინისტრაციული თვითნებობის, სახელმწიფო მმართველობაში დისბალანსის, უფლებამოსილების გადაჭარბების, პასუხისმგებლობის შესუსტების ფაქტებზე რეაგირებას. ასეთ ფაქტებზე ადმინისტრაციული მართლმსაჯულების რეაგირება ამკვიდრებს კანონიერების რეჟიმს სახელმწიფო მმართველობაში. დისკრიმინაცია უკავშირდება თანასწორობის ფუნდამენტური, კონსტიტუციური პრინციპის დარღვევას, მისი აღმოფხვრა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას ემსახურება, რაც ადმინისტრაციული მართლმსაჯულების კომპეტენციის უმნიშვნელოვანეს სფეროს შეადგენს. თავისთავად დისკრიმინაციული მოპყრობა არ ცვლის დავის ბუნებას, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ მოთხოვნა არ აქცევს დავას ავტომატურად სამოქალაქო კატეგორიის დავად და არ იწვევს შედეგად სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განხილვას. „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კანონით აკრძალულია ნებისმიერი სახის დისკრიმინაცია (2.1 მუხ.) ნებისმიერი სუბიექტის მხრიდან (მე-3 მუხ.). სამოქალაქო საქმეთა განმხილველ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით არ აქვს მინიჭებული კომპეტენცია შეაფასოს როგორც კერძო პირთა ქმედებების დისკრიმინაციული ხასიათი, ასევე ადმინისტრაციულ ორგანოთა მმართველობითი საქმიანობის გამოვლენის ფორმების კანონშესაბამისობა. აღნიშნული მოცემულობა განაპირობებს დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის შესახებ დავათა დიფერენცირებას სამოქალაქო და ადმინისტრაციული კატეგორიის დავებად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან სარჩელის მიზანი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების სათანადო შესრულება და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების დისკრიმინაციულად მიჩნევაა, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქმე უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომელმაც დავის განხილვის დაწყებამდე, სარჩელის დასაშვებობის პროცესუალური წინამძღვრების არსებობის დადასტურების მიზნით, უნდა უზრუნველყოს სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. თ. კ-ის, თ. ბ-ას, მ. ო-ის და სხვათა სარჩელი მოპასუხე საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე დავის განსჯადობა**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-710-710(გ-18)

3 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 20 მარტს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ სასარჩელო განცხადებით მიმართა გორის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – კ. კ-ის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისთვის 5 639 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში პირგასამტეხლოს, 1 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში საიჯარო ქირის დავალიანების, 36 058,94 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ქონების დაუბრუნებლობის გამო მისი ღირებულების

(საპრივატიზებო საფასურის), ჯამში 41 697,94 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ოდენობით დაკისრება მოითხოვა.

გორის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 21 მარტის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი კ. კ-ის მიმართ პირგასამტეხლოსა და მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ განსჯადობით გადაეცა ხაშურის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

გორის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოსა და ს. ა-ს შორის (ამჟამად კ. კ-ეს) 2007 წელს გაფორმდა იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულება მოძრავ ნივთებზე – 2 ტრაქტორსა და 5 სხვა დანარჩენ მოწყობილობაზე.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

სასამართლოს მითითებით, სარჩელზე თანდართული ხელშეკრულებიდან არ იკვეთება, რომ მხარეებს ვალდებულებები უნდა შეესრულებინათ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

სასარჩელო მოთხოვნის მიხედვით, კრედიტორია ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ადგილსამყოფელიც ქალაქი თბილისია, ხოლო მოპასუხე ცხოვრობს ქარელის მუნიციპალიტეტის სოფელ ... .

აღნიშნულიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე არ იყო გორის რაიონული სასამართლოს განსჯადი და წარდგენილი უნდა ყოფილიყო მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (რადგან მოსარჩელემ არ მიმართა სასამართლოს თავისი ადგილსამყოფლის მიხედვით).

გორის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, კ. კ-ისადმი 2017 წლის 2 ნოემბერს გაგზავნილ წერილში მოსარჩელე ითხოვს იჯარით გაცემული მოძრავი ქონების გორის მუნიციპალიტეტის სოფ. ... მიყვანას და იქ დაბრუნებას, თუმცა, სარჩელზე თანდართული ხელშეკრულებით არ იკვეთება, რომ მხარეებს ვალდებულებები უნდა შეესრულებინათ გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 2 აპრილის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი კ. კ-ის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ხაშურის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ

შემთხვევაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში საქმე გადაგზავნილი იყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 15.1 მუხლიდან გამომდინარე, იმ საფუძველით, რომ მოპასუხე კ. კ-ის მისამართია ქარელი, სოფ. ..., თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება საქმეში არ არის. მოსარჩელის მიერ გაგზავნილი წერილი მოპასუხისადმი ჩაუბარებლად დაბრუნებულია გამგზავნთან.

სასამართლოს განმარტებით, გარდა განსჯადობის საერთო წესისა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილია, ასევე, განსჯადობის განსაკუთრებული წესი, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 16.2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. სამართლის ნორმათა კოლიზიის შემთხვევაში, ზოგად ნორმასთან მიმართებით უპირატესობა ენიჭება სპეციალურ ნორმას ანუ განსჯადობის განსაკუთრებული წესი უპირატესია, ვიდრე ზოგადი.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეზე დგინდება, რომ მოპასუხემ კონკურსის წესით იჯარა-გამოსყიდვის უფლებით, განვადებით შეიძინა სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. ხელშეკრულების მე-3 და მე-6 მუხლების მიხედვით, ქონების გამოსყიდვის ვადა იყო 7 წელი, ხოლო მყიდველი საკუთრების უფლებას მოიპოვებდა თანხის სრულად გადახდის შემდეგ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვს გაყიდული ნივთების ღირებულების დაკისრებას იმის გამო, რომ ნივთის დაბრუნება შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, უნდა ჩაითვალოს, რომ რეალურად სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს მოსარჩელის უფლებიდან დაიბრუნოს გაყიდული ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი. რადგან ხელშეკრულებით ვალდებულების შესრულების ადგილი არ არის განსაზღვრული, სამოქალაქო კოდექსის 362-ე მუხლიდან გამომდინარე, ვალდებულების ბუნების მიხედვით (როცა მყიდველი უბრუნებს ნივთს გამყიდველს, ბუნებრივია, რომ უნდა დაიბრუნოს გამყიდველის ადგილსამყოფლის მიხედვით), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ საქმე ეხება ინდივიდუალურად განსაზღვრულ ნივთს, ვალდებულების შესრულების ადგილად უნდა განისაზღვროს თბილისი – კრედიტორის ადგილსამყოფელი, ასევე, ხელშეკრულების დადების დროს ნივთის ადგილსამყოფელი. საქმის მასალების მიხედვით, აუქციონი თბილისში ჩატარდა, ხელშეკრულებაც თბილისშია დადებული და გაყიდული ნივთების მყიდველისთვის გადაცემაც მოხდა თბილისში.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში, თუ ჩაითვლება,

რომ დავის საგანს წარმოადგენს ფულადი ვალდებულების შესრულება, ასეთ შემთხვევაშიც ვალდებულების შესრულების ადგილი იქნება თბილისი, ... ქ. №10ა – კრედიტორის ადგილსამყოფელი, რადგან შესრულების ადგილის საეჭვოობისას ფულადი ვალდებულება, სამოქალაქო კოდექსის 386.1 მუხლის თანახმად, უნდა შესრულდეს კრედიტორის ადგილსამყოფლის მიხედვით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 30 მაისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ განსჯადობის საკითხის დასადგენად, მნიშვნელოვნად მიიჩნია, მხარეთა შორის დადებული იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების ბუნების განსაზღვრა – ის წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას თუ ატარებს კერძოსამართლებრივ ხასიათს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ დავის საგანია სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ს. ა-ს (შემდგომში – კ. კ-ეს) შორის 2007 წლის 26 ივნისს გაფორმებული №25 იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება. ამდენად, სადავო სამართალური თეორიის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის არსებითია დადებული ხელშეკრულების ხასიათი. ხელშეკრულების შესრულებასთან ან/და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავა შეიძლება მიჩნეულ იქნეს ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადად, თუ იგი ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს, თანახმად ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლისა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის „ზ“ პუნქტზე, რომლის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. სასამართლომ განმარტა, რომ მხარეთა შორის 2007 წლის 26 ივნისს გაფორმებული №25 იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე, არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, მისი შესრულება არ არის დაკავშირებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებასთან. ამდენად, სადავო ურთიერთობა სამოქალაქო-სამართლებრივ კატეგორიას განეკუთვნება, რის გამოც, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა

იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ივნისის განჩინებით სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი მოპასუხე კ. კ-ის მიმართ განსჯადი სასამართლოს განსაზღვრის მიზნით გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლებების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობს 2007 წლის 26 ივნისის იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებიდან. მოსარჩელე ითხოვს მოპასუხეს დაევალოს ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ქონების დაუბრუნებლობის გამო საპრივატიზებო საფასურის – 36058,94 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, პირგასამტეხლოს – 5638 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის, საიჯარო ქირის დავალიანების – 1 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის გადახდა. ხელშეკრულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, რომ ის დადებულია „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის, „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 5 ივნისის №1-4/280 ბრძანების საფუძველზე.

სასამართლოს მითითებით, საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრუ-



ლების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითადი ელემენტი უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ხელშეკრულების დადებას. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება; ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად, შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული დავის განსჯადობა უნდა გადაწყდეს სადავო ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების შესაბამისად.

სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულებისგან გამიჯვრისათვის, ხელშეკრულების მიზნისა და საგნის ანალიზის გარდა, მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. სასკ-ის 2.3 მუხლის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე დადებული ხელშეკრულება. ხელშეკრულების შინაარსთან დაკავშირებით, სასამართლომ მიუთითა, რომ „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ 1997 წლის 30 მაისის კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, პრივატიზება არის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით, ხოლო მე-12 მუხლის საფუძველზე, პრივატიზების ერთ-ერთ ფორმად განიხილებოდა იჯარა-გამოსყიდვა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულმა პალატამ არაერთხელ განმარტა, რომ სახელმწიფო ქონების განსახელმწიფოებრიობა – პრივატიზაცია, სახელმწიფოს განსაკუთრებულ საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. პრივატიზაციის პროცესი არ არის კერძო-სამართლებრივი ურთიერთობა და ამ შემთხვევაში სახელმწიფო ვერ გამოვა, როგორც კერძო პირი, როგორც ურთიერთობის თანასწორი მონა-



ნილე. შესაბამისად, სახელმწიფო ქონების პრივატიზების მიზნით დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას (სუსგ №ბს-265-263(გ-16).

სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულება არის ერთიანი სამართლებრივი ინსტრუმენტი და შეუძლებელია, მისი ერთი არსებითი პირობა (ქონების საკუთრებაში გადაცემა) იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი, ხოლო მისი საპირწონე ვალდებულება (პრივატიზების საფასურის გადახდა) – კერძო-სამართლებრივი, ასევე, თუ ხელშეკრულება საჯარო-სამართლებრივი ბუნებისაა, ხელშეკრულების მოშლის ან მისი დარღვევისთვის დაწესებული პასუხისმგებლობის საკითხი – პირგასამტეხლოს დაკისრება – ვერ იქნება ცალკე, განყენებულად განხილული, როგორც კერძო-სამართლებრივი პირობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ განსახილველ შემთხვევაში დავა გამომდინარეობს იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებიდან, რომელიც დადებულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე და მისი პირობები არ არის განსაზღვრული მხარეთა თავისუფალი ნების შესაბამისად, არამედ დადგენილია ხელშეკრულების დადების დროისათვის მოქმედი ნორმატიული აქტებით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თავდაპირველად საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ განსახილველ შემთხვევაში, სახეზე არ გვაქვს ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავა და გადასაწყვეტ საკითხს წარმოადგენს მხოლოდ საგნობრივად განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ ქვემდებარეობას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის

შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამასთან, დავის ერთ-ერთ მონაწილე მხარეს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანო.

საკასაციო სასამართლო მითითებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანების), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მოცემულ დავაში მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ხოლო დავის საგანია – მოპასუხისთვის 5 639 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში პირგასამტეხლოს, 1 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში საიჯარო ქირის დავალიანების, 36 058,94 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ქონების დაუბრუნებლობის გამო მისი ღირებულების (საპრივატიზებო საფასურის), ჯამში 41 697,94 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარში ოდენობით თანხის დაკისრება.

კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი გამომდინარეობს მხარეთა შორის გაფორმებული 2007 წლის 26 ივნისის იჯარა-გამოსყიდვის ხელშეკრულებიდან. შესაბამისად, სადავო სამართალურთიერთობის მხარეებს წარმოადგენენ, ერთი მხრივ, კ. კ-ე და მეორე მხრივ – ადმინისტრაციული ორგანო – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, მეიჯარემ გადასცა, ხოლო მოიჯარემ მიიღო იჯარა-გამოსყიდვის უფლებით 2 ტრაქტორი და 5 სხვა დანარჩენი მოწყობილობა. ხელშეკრულების შესავალი ნაწილიდან ირკვევა, რომ ხელშეკრულების დადების სამართლებრივი საფუძველია 1997 წლის 30 მაისის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონი, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის №1-3/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულება და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 5 ივნისის №1-4/280 ბრძანება.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს სწორედ აღნიშნული ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65.1 მუხლის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, შესაძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა, შეცვლა ან შეწყვეტა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით; ხოლო ამავე კოდექსის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით, ადმინისტრაციული ხელშეკრულება არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით

ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლოს მითითებით, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს, გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობის ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა – მოპასუხისთვის თანხის დაკისრების თაობაზე – გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, ვინაიდან აღნიშნული ხელშეკრულება დაიდო 1997 წლის 30 მაისის „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ კანონის, საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს 1999 წლის 31 მარტის №1-3/152 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ქონების იჯარა-გამოსყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ“ დებულებისა და ქ. თბილისის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამმართველოს 2007 წლის 5 ივნისის №1-4/280 ბრძანების საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო

სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მართებულად გაამხვილა ყურადღება ხელშეკრულების შინაარსზე და მართებულად მიუთითა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ 1997 წლის 30 მაისის კანონის პირველი მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, პრივატიზება არის ფიზიკური ან იურიდიული პირების მიერ ან მათი გაერთიანებების მიერ სახელმწიფო ქონებაზე საკუთრების უფლების შექმნა ამ კანონით დადგენილი წესით, ხოლო მე-12 მუხლის საფუძველზე, პრივატიზების ერთ-ერთ ფორმად განიხილებოდა იჯარა-გამოსყიდვა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სარჩელი

კ. კ-ის მიმართ, თანხის დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **სამედიცინო მომსახურების დაზინანებაზე და გარანტიის შექმნაზე ღირსი განსჯადობა**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-1-1(გ-18)

08 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შპს „...“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის მოსარჩელის სასარგებლოდ 6 751 ლარის დაკისრების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ გაცა საგარანტიო წერილები ლ. გ-ის (საგარანტიო წერილი №808861), ვ. ს-ის (საგარანტიო წერილი №807504), ე. მ-ას (საგარანტიო წერილი №812176), გ. კ-ის (საგარანტიო წერილი №811486), შ.ჯ-ის (საგარანტიო წერილი №819364), ვ.ლ-ის (საგა-

რანტიო წერილი №804912), ნ.ა-ის (საგარანტიო წერილი №826392), მ. კ-ას (საგარანტიო წერილი №817299) და თ.ბ-ის (საგარანტიო წერილი №828386) მიმართ. აღნიშნული საგარანტიო წერილების საფუძველზე შპს „...“ ზემოაღნიშნულ პაციენტებს გაუწია სამედიცინო მომსახურება და შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები (ინვოისები) გადაუგზავნა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს, რომელმაც უარი განაცხადა თანხის ანაზღაურებაზე. უარის თქმის საფუძველად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახური უთითებს ქ. თბილისის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის მე-7 მუხლის პირველ პუნქტს და განმარტავს, რომ შპს „...“ მიერ დარღვეულ იქნა საგარანტიო წერილებით და ზემოაღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ვადები. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ აღნიშნა, რომ შპს „...“ მიერ მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურება განუულ იქნა 2017 წლის იანვრისა და თებერვლის თვეში. შესაბამისად, მოქმედ კანონმდებლობის თანახმად, მოსარჩელეს მომსახურების განევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია იანვრის თვეში განუულ ხარჯთან დაკავშირებით უნდა წარედგინა არაუგვიანეს 2017 წლის მარტისა, ხოლო თებერვლის ხარჯთან მიმართებით უნდა წარედგინა არა 2017 წლის 24 აპრილს, არამედ 2017 წლის 10 აპრილისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.11.2017წ. განჩინებით შპს „...“ სარჩელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო აქტების გამოცემის საფუძველს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, ზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახეზეა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამართლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მუ-



ნიციპალიტიკის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული საგარანტიო წერილებიდან გამომდინარე პაციენტისათვის განეული მომსახურების თანხის ანაზღაურება, რაც თავისი არსით არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და მის განსახილველ საკითხს არ წარმოადგენს. ამდენად, დავის გადაწყვეტა უნდა მოხდეს სამოქალაქო კოდექსის რეგულაციის ფარგლებში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციული კატეგორიის მიკუთვნებისათვის მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად უნდა ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს. განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა შეფასდეს მითითებული „საგარანტიო წერილების“ სამართლებრივი ხასიათი. მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის მონაწილეობა. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-2 მუხლი განსაზღვრავს მოპასუხის სტატუსს, რომელიც მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ასრულებს კანონით გათვალისწინებულ ან საქართველოს მთავრობის მიერ დაკისრებულ ამოცანებს. ზემოაღნიშნული ორგანული კანონის 16.4 მუხლის თანახმად, მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული წესით განახორციელოს ღონისძიებები, რომელთაგან ერთ-ერთია სოციალური დახმარების მიზანი. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების სფეროსთან დაკავშირებული ურთიერთობა, რაც ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსისა“ და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილების თანახმად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას განეკუთვნება და საჯარო სამართლებრივი ხასიათისაა. შესაბამისად, ადმინისტრაციულმა



ორგანომ საჯარო უფლებამოსილების მიზნის მისაღწევად გამოიყენა ხელშეკრულების დადება (საგარანტიო წერილების გაცემა), როგორც საქმიანობის ერთ-ერთი ფორმა. მითითებული საგარანტიო წერილები ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, რომელიც დადებულია ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო სამართლის იურიდიულ პირთან საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით და შესაბამისად დავაც ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს შეადგენს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ საფუძველზე წარმოშობილი სამართალურთიერთობა. ზემოაღნიშნული დადგენილების საფუძველზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის მიერ გაცა საგარანტიო წერილები სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების მიზნით. ქვეპროგრამით გათვალისწინებული დახმარების მოსარგებლე პირები მოცემულ შემთხვევაში არიან ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეები, რომელთა სამედიცინო მომსახურების თუ სხვა სოციალური საჭიროების დასაფინანსებლად მოთხოვნილი თანხის ჯამური ღირებულება არ აღემატება 2000 (ორი ათას) ლარს. ვინაიდან დავა ეხება საგნობრივ განსჯადობას, შესა-

ბამისად უნდა შეფასდეს მხარეთა შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის ხასიათი.

დავა წარმოშობილია ადმინისტრაციულ ორგანოსა(მერიასა) და მიმწოდებელს (სამედიცინო საქმიანობის განმახორციელებელს) შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილებით გათვალისწინებული ქვეპროგრამის ფარგლებში შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში შპს „...“ მოთხოვნა მიმართულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისადმი, შესაბამისად მოპასუხედ დასახელებულია ადმინისტრაციული ორგანო – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, ხოლო დავის საგანია მოსარჩელის მიერ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოქალაქეებისათვის განეული სამედიცინო მომსახურების ანაზღაურება საგარანტიო წერილებით განსაზღვრული თანხის ფარგლებში. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის მე-2 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს, ამდენად, კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფო ზრუნავს ქვეყნის მთელი ტერიტორიის თანაბარი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს (კონსტიტუციის მე-7 მუხ.), მათ შორის სოციალურ უფლებებს. სოციალური სახელმწიფო არის მმართველობის ფორმა, რომელშიც სახელმწიფო ზრუნავს მოქალაქეების ეკონომიკურ და სოციალურ კეთილდღეობაზე. აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში სახელმწიფო მატერიალურად ეხმარება სოციალურად დაუცველ მოსახლეობას, უწყებს მათ სხვადასხვა შეღავათებს, ქმნის პირობებს ჯანდაცვის განვითარებისთვის, მიმართავს ღონისძიებებს სოციალური სამართლიანობის დასამკვიდრებლად, უზრუნველყოფს სამედიცინო მომსახურების მიღების შესაძლებლობას და სხვ.. სახელმწიფო თავის ფუნქციებს ახორციელებს აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და იურიდიული პირების მეშვეობით. „ჯანმრთელო-

ბის დაცვის შესახებ“ კანონი აწესრიგებს ურთიერთობებს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებსა და ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. ზემოაღნიშნული კანონის 89-ე მუხლი მიუთითებს, რომ სახელმწიფო განსაზღვრავს სტრატეგიულ მიმართულებებს და შეიმუშავებს სათანადო პროგრამებს მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშესაწყობად. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო ვალდებულებები აისახება შესაბამის სახელმწიფო და ადგილობრივ პროგრამებში (85' მუხ.). აღნიშნული კანონის თანახმად, მუნიციპალიტეტებში სახელმწიფოს ვალდებულებას – მოსახლეობის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახურები, რომელთა უფლებამოსილებები განისაზღვრება კანონმდებლობის შესაბამისად. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ ევროპული ქარტიის (რეატიფიცირებულია საქართველოს პარლამენტის 26.10.2004წ. №515-III დადგენილებით) თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველობა ნიშნავს ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების უფლებასა და შესაძლებლობას, კანონის ფარგლებში მოაწესრიგონ და მართონ საზოგადოებრივი საქმეების მნიშვნელოვანი ნილი მათი პასუხისმგებლობითა და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების შესაბამისად (3.1 მუხ.), როგორც წესი, სახელმწიფო უფლებამოვალეობების განხორციელება ხდება ხელისუფლების იმ ორგანოს მიერ, რომელიც ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან (4.3 მუხ.). ადგილობრივი თვითმმართველობის მიზანია ადგილობრივი ტერიტორიული ერთეულის ფარგლებში საზოგადოების ინტერესებზე დაფუძნებული მართვის პროცესის უზრუნველყოფა, რის მისაღწევად ახორციელებს სხვადასხვა საქმიანობას, მათ შორის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სფეროში, რათა შექმნას თითოეული მოქალაქისათვის ღირსეული არსებობის პირობები. ამდენად, მუნიციპალიტეტი მინდობილ სფეროში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად ასრულებს კანონით გათვალისწინებულ და მისთვის დაკისრებულ ამოცანებს, რომელთა განხორციელებისას მუნიციპალიტეტი წარმოადგენს სახელმწიფოს. მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების სფეროსთან დაკავშირებული ურთიერთობა, წარმოშობილი ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის, კერძოდ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმა-

რების ღონისძიების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ საფუძველზე. ხსენებული კანონქვემდებარე აქტი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ იქნა საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 16.4, 61.2, 68.1 მუხლების საფუძველზე. ამდენად, სახეზეა სასკ-ის 2.3 მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების პირობა – სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ადმინისტრაციული ორგანო (განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მერია) თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ ან მესამე პირების მეშვეობით. მოცემულ შემთხვევაში, სადავო პერიოდში მოქმედი, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული „სამედიცინო და სხვა სოციალური საჭიროებების დახმარების ღონისძიების“ ქვეპროგრამის განხორციელების წესის“ 4.3. მუხლის თანახმად, მოსარგებლე პირის განცხადებას სამედიცინო მომსახურების ან სოციალური საჭიროების დაფინანსების მოთხოვნის თაობაზე, განიხილავს და გადაწყვეტილებას იღებს სამსახური თუ მოთხოვნილი თანხის ჯამური ღირებულება არ აღემატება 2000 (ორი ათასს) ლარს, საგარანტიო წერილს გასცემს სამსახურის უფროსი. ამდენად, აღნიშნული საგარანტიო წერილები წარმოადგენს შესაბამისი სამსახურის (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე გაცემულ დოკუმენტს, ხოლო თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე მცხოვრები გარკვეული კატეგორიის მოქალაქეებისათვის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება და გარანტიების შექმნა ქ.გპ1

თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კომპეტენციას მიკუთვნებულ სოციალური დახმარების მიზნის განხორციელების გამოვლინებას წარმოადგენს. ამდენად, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობას საფუძველად უდევს საჯარო-სამართლებრივი მიზანი – თვითმმართველობის მიერ მოსახლეობის გარკვეული სოციალური ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურების მიღების გარანტიების შექმნა. ამდენად, საკასაციო პალატა თვლის, რომ განსახილველ შემთხვევაში ადმინისტრაციულ ორგანოსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირს შორის წარმოშობილი სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ემსახურება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ დავა სასკ-ის 26.3 მუხლის საფუძველზე განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის ქვემდებარეა. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაგებლით დასტურდება, რომ მომსახურების ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველად მოპასუხე უთითებს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დებულებებს, კერძოდ ქ. თბილისის საკრებულოს 02.08.2016წ. №19-55 დადგენილებით დამტკიცებული წესის 7.1 და 1.1 მუხლებს. ამდენად, მოსარჩელის და მოპასუხის პოზიციები ემყარება ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის დებულებებს. სახეზეა სასკ-ის 2.1 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და სასკ-ის 24-ე მუხლის საფუძველზე აღძრული სარჩელი.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 2. სამოქალაქო განსჯადობა

### კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობიდან გამომდინარე ღაპის განსჯადობა

#### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-221-221(გ-18)

01 აგვისტო, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ნ. წ-ას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმომოხილი დაფა განსჯადობის შესახებ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

#### აღწერილობითი ნაწილი:

27.02.2014წ. ნ. წ-ამ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ და მოითხოვა ნ. წ-ას სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანების ბათილად ცნობა, საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის თანამდებობაზე აღდგენა და მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2012 წლის 15 აგვისტოდან მუშაობდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლად, კეთილსინდისიერად ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობებს, თუმცა 25.12.2013წ. განთავისუფლდა შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტზე მითითებით, რაც სრულიად დაუსაბუთებელია, რადგან მისი კვალიფიკაცია და

გამოცდილება შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. მოსარჩელის სამსახურიდან განთავისუფლებამდე – 05.11.2013წ. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გამოცხადდა კონკურსი საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის თანამდებობის დასაკავებლად, რომელშიც ნ. წ-ამ მიიღო მონაწილეობა. კონკურსი ჩატარდა სამ ეტაპად: პირველი ეტაპი იყო განაცხადების განხილვა, მეორე ეტაპი – ტესტირება, ხოლო მესამე ეტაპი – გასაუბრება. ნ. წ-ამ გადალახა 2 ეტაპი, ტესტირებაზე მაქსიმალური 30 ქულიდან მიიღო – 29 და გადავიდა გასაუბრების ეტაპზე, თუმცა გასაუბრებაზე დაესვა შეკითხვები, რომელიც არ უკავშირდებოდა მის სამსახურებრივ მოვალეობებს და ვაკანტურ თანამდებობას. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ კონკურსი ჩატარდა კანონდარღვევით, არ შექმნილა საპრეტენზიო კომისია, არ განსაზღვრულა შემდგომ ეტაპზე გადასასვლელი მინიმალური ქულების ოდენობა.

27.10.2014წ. ნ. წ-ამ დაზუსტებული სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03.04.2013წ. №102 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 16.12.2013წ. №37 სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილების 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების ბათილად ცნობა, რომელთა მიხედვით ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ს. ჯ-ე, ხოლო ნ. წ-ა გათავისუფლდა საქმისწარმოების და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. ნ. წ-ამ ასევე მოითხოვა გათავისუფლებამდე დაკავებულ თანამდებობაზე აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება გათავისუფლების დღიდან გადაწყვეტილების აღსრულებამდე. 28.07.2015წ. სასამართლო სხდომაზე მოსარჩელემ დააზუსტა სამსახურში აღდგენის შესახებ მოთხოვნა და მოითხოვა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის საქმისწარმოებისა და მომსახურების კოორდინატორის თანამდებობაზე ნ. წ-ას აღდგენის დავალება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 26.04.2016წ. გადაწყვეტილებით ნ. წ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.12.2016წ. გადაწყვეტილებით ნ. წ-ას სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, თბილისის საქალაქო სასამართლოს 26.04.2016წ. გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახა-



ლი გადაწყვეტილება, ნ. ნ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 16.12.2013წ. სხდომის №37 ოქმის საფუძველზე დადგენილი გადაწყვეტილება, რომლითაც საქმის წარმოების და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ს. ჯ-ე, ხოლო ნ. ნ-ა გათავისუფლდა საქმისწარმოების და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან; ბათილად იქნა ცნობილი სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/პ ბრძანება ნ. ნ-ას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; ნ. ნ-ა აღდგენილ იქნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და მომსახურების კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, აღნიშნულ თანამდებობაზე კონკურსის წესით შესაბამისი კანდიდატის შერჩევამდე; სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ნ. ნ-ას სასარგებლოდ დაეკისრა იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2014 წლის 01 მარტიდან სამუშაოზე აღდგენამდე ყოველთვიურად 1100 ლარის (დარიცხვლი) ოდენობით. აღნიშნული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრდა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ.

ზეპირი მოსმენის გარეშე მიღებული საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 07.07.2017წ. განჩინებით სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.12.2016წ. გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ სახეზე იყო სსკ-ის 393-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი – არაკანონიერი შემადგენლობით საქმის განხილვა. საკასაციო პალატამ მიუთითა, რომ დავის საგანს წარმოადგენს სსიპ-ის მიერ გამოცხადებული კონკურსის ჩატარების წესისა და პირობების, ასევე კანდიდატის შერჩევის კანონიერება და ამ საკითხების თაობაზე მიღებული აქტების მართლზომიერება, მოსარჩელის მოთხოვნა ეფუძნება საჯარო სამართლის ნორმებს. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტები ეფუძნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 11<sup>1</sup> მუხლის თანახმად, ამ კანონის 29-32-ე მუხლები ვრცელ-



დება აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. სასკ-ის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. ამდენად, საკასაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სასკ-ის მე-2, 26-ე მუხლები, ასევე სსკ-ის მე-11 მუხლი და სსკ-ის 412-ე მუხლის საფუძველზე საქმე ხელახალი განხილვისათვის დაუბრუნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა საქმის განსჯადობის წესების დაცვით იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაცემის საკითხი.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 30.11.2017წ. განჩინებით ნ. ნ-ას სააპელაციო საჩივარი განსჯადობის შესაბამისად განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დავაზე განსახილველ საკითხებს წარმოადგენს განთავისუფლების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანების, დირექტორის ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული განწყვეტილების მართლზომიერება, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი არის ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010წ. №89/წ ბრძანებით დამტკიცებული დებულების შესაბამისად, იგი შექმნილია განათლების ხარისხის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, ცენტრის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით აცხადებს კონკურსებს და ქმნის საკონკურსო კომისიას. ამდენად, ცენტრი არის საჯარო უფლებამოსილებების განმახორციელებელი ორგანო. აღნიშნულიდან გამომდინარე, ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანება და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება უნდა ჩაითვალოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებად, რადგან მათი გამოცემა მოხდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო-ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, კანონის 29-ე-32-ე მუხლების (თანამდებობაზე კონკურსის წესით დანიშვნა; თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნა; კონკურსის გამოცხადება) მოქმედება ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე (11<sup>1</sup> მუხ.). საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის კონ-

კურსის ჩატარებას უზრუნველყოფდა ამავე სსიპ-ში შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისია, კონკურსის ჩატარების წესი განისაზღვრებოდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-ე მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის გადანყვეტისას შრომის კოდექსის გამოყენება არ იქნება მართებული, რადგან შრომის კოდექსის 1.1 მუხლის თანახმად, ეს კანონი ანესრიგებს საქართველოს ტერიტორიაზე შრომით და მის თანამდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური კანონით ან საერთაშორისო ხელშეკრულებით. განსახილველ შემთხვევაში სსიპ-ის თანამშრომლების დანიშვნა-გათავისუფლების პროცედურა მონესრიგებულია სპეციალური – „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 01.02.2018წ. განჩინებით ნ. ნ-ას სარჩელი განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის მოსარჩელის მოთხოვნა უნდა ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამართლის ნორმებს, მოსარჩელის მიერ მითითებული უფლებების დარღვევა თავისი არსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. სასამართლომ მიუთითა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010წ. №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ პირველ და მე-5 მუხლებზე, სზაკ-ის 2.1 მუხლის „დ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნა, რომ დავის სწორად გადანყვეტისათვის უნდა შეფასდეს სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013 წ. №42/კ ბრძანების, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03.04.2013 წ. №102 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 16.12.2013წ. №37 სხდომის ოქმის საფუძველზე მიღებული გადანყვეტილების საკანონმდებლო საფუძველი. მიუხედავად იმისა, რომ სსიპ-ში თანამდებობათა დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება და ჩატარება ხდება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, პალატამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე მაინც ვერ მიიჩნევა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სუბიექტად და სადავო სამართალურთიერთობები კერძო-

სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობაა.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ნ. წ-ს სარჩელი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. წ-ამ სასარჩელო მოთხოვნათა დაზუსტების შემდეგ მოითხოვა: მისი გათავისუფლების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანების ბათილად ცნობა, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03.04.2013წ. №102 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საკონკურსო-საატესტაციო კომისიის 16.12.2013წ. №37 სხდომის საოქმო გადაწყვეტილების 1-ლი, მე-2 და მე-3 პუნქტების ბათილად ცნობა, რომელთა მიხედვით ვაკანტურ თანამდებობაზე შეირჩა და დაინიშნა ს. ჯ-ე, ხოლო ნ. წ-ა გათავისუფლდა საქმისწარმოების და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან. მოსარჩელემ მოითხოვა აგრეთვე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრისათვის საქმისწარმოებისა და მომსახურების კოორდინატორის თანამდებობაზე მისი აღდგენის დავალება და იძულებითი განაცდურის ანაზღაურება. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო აქტები გამოცემულია „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონის (ძალადაკარგულია 2017 წლის 01 ივლისიდან საქართველოს 27.10.2015წ. №4346 კანონით) მოქმედების პერიოდში – 2013 წელს, შესაბამისად სწორედ ამ პერიოდში მოქმედი ნორმატიული აქტების რედაქციებით უნდა იხელმძღვანელოს დავის განმხილველმა სასამართლომ სარჩელის საფუძვლიანობის შეფასებისას. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობების წარმოშობის პერიოდში მოქმედი საკანონმდებლო სივრცის საფუძველზე უნდა გადაწყდეს აგრეთვე დავის სასამართლო განსჯადობის საკითხიც.

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, განათლების ხარისხის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა სსიპ განათლების ხარისხის ეროვნული ცენტრი (3.1 მუხ.), რომელიც თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია (3.2 მუხ.) და არის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი (4.1 მუხ.), თავისი კომპეტენციის ფარგლებში ცენტრი ხელს უწყობს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, ახორციელებს საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციას, ახდენს უცხოეთში მიღებული განათლების აღიარებას და სხვ. (მე-5 მუხ.). ამდენად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, სზაკ-ის 2.1 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა, თუმცა აღნიშნული იმთავითვე არ გულისხმობს ცენტრის მიმართ წარმოებული ყველა დავის ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების განმხილველი სასამართლოსადმი განსჯადობას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სამართალურთიერთობის ხასიათს. სზაკ-ის 2.1 მუხლი შეიცავს ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს (ტაქსაცია). კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (ენუმერაცია). სასკ-ის 2.3 მუხლის დებულება იმის შესახებ, რომ საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივ ურთიერთობასთან დაკავშირებული დავა, ასახავს განსჯადობის გარეგან ნიშანს, სამართალურთიერთობის კუთვნილების გარეგანი ნიშანი ეხება სადავო სამართალურთიერთობის მარეგულირებელი ნორმების ადგილს კანონმდებლობაში (იხ. სუს 11.09.2014წ. №ბზ-350-316(გ-14) განჩინება). ამდენად, საგნობრივი განსჯადობის შესახებ დავის გადანწყვეტისთვის მნიშვნელობა ენიჭება სადავო აქტების გამოცემის საფუძვლებს, სამართალურთიერთობის სუბიექტის მოქმედების ფორმას. უკეთუ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სადავო აქტი გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის საფუძველზე, სზაკ-ის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან გამომდინარე, სახეზე იქნება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ხოლო თუ აქტის გამოცემის საფუძველი კერძო-სამარ-

თლებრივია, იგი არ ჩაითვლება ადმინისტრაციულ აქტად (იხ. სუს დიდი პალატის 10.07.2007წ. №ბს-132-123(კ-07) განჩინება).

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 14.08.2012წ. №98/კ ბრძანებით საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის მე-3 ნაწილის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010 წ. №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ და „კ“ ქვეპუნქტების საფუძველზე, ნ. ნ-ა 2012 წლის 14 აგვისტოდან დაინიშნა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე, მისი შრომის ანაზღაურება განისაზღვრა ცენტრის სამტატო განრიგის შესაბამისად. საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს, ბრძანების გამოცემის მთავარ საფუძველზე – შრომის კოდექსის 6.3 მუხლზე, რომლის თანახმად პირის განცხადება და მის საფუძველზე დამსაქმებლის მიერ გამოცემული დოკუმენტი, რომელითაც დასტურდება დამსაქმებლის ნება პირის სამუშაოზე მიღების თაობაზე, უთანაბრდება შრომითი ხელშეკრულების დადებას. სწორედ ხსენებული ნორმა წარმოადგენდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე ნ. ნ-ას დანიშვნის ძირითად საფუძველს, რაც ადასტურებს ნ. ნ-ასა და დამსაქმებელს შორის კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის არსებობას. სამოქალაქო სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის გამომრიცხავ გარემოებას არ ქმნის „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმის საფუძველზე ნ. ნ-ას მოვალეობის შემსრულებლად დანიშვნა, აღნიშნული მიანიშნებს შრომითი ხელშეკრულების გარკვეული ვადით გაფორმებაზე და არ ასაბუთებს დასაქმებულის საჯარო მოხელედ მიჩნევას. შრომითი ხელშეკრულების არსებობას ადასტურებს აგრეთვე დანიშვნის საფუძველად დამატებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010 წ. №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის მითითება, რომლის თანახმად, ცენტრის დირექტორი კანონმდებლობით დადგენილი წესით თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ცენტრის თანამშრომლებს, დებს მათთან შრომით

ხელშეკრულებებს. ამდენად, აქტის გამოცემის სამართლებრივი საფუძვლები არ ასაბუთებს დანიშვნის შესახებ ბრძანების ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად მიჩნევას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო ბრძანების გამოცემის დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, სსიპ-ში დასაქმებული პირი არ მიიჩნეოდა საჯარო მოხელედ. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონის სადავო პერიოდში მოქმედი რედაქციის თანახმად, საჯარო სამსახური იყო საქმიანობა სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულებაში (1.1 მუხ.), სახაზინო (საბიუჯეტო) დაწესებულება იყო სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულება (2.1 მუხ.). „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის მმართველობის ორგანოებისაგან განცალკევებული ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს თავის საქმიანობას (2.1 მუხ.). სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტო შექმნილია „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010წ. №89/წ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის“ დებულების შესაბამისად, ცენტრი არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, მას აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საბანკო ანგარიში, ლოგო, ბეჭედი მცირე სახელმწიფო გერბის გამოსახულებით და იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი შეიცავდა სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალს, რომლებშიც საქმიანობა საჯარო სამსახურად ითვლებოდა, ჩამონათვალი არ შეიცავდა მითითებას საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე. ამდენად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის მუშაკი არ მიიჩნეოდა საჯარო მოსამსახურედ, გარდა „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ კანონის მე-10 მუხლით განსაზღვრული წესით დანიშნული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელისა, რომლის დანიშვნა და გათავისუფლება ხდებოდა უფლებამოსილი პირის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. წ-ას სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოებისა და საკადრო სამმართველოს კოორდინატორის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობიდან გათა-



ვისუფლების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანებაში გათავისუფლების სამართლებრივ საფუძვლად მითითებულია საქართველოს შრომის კოდექსის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი, 38-ე მუხლი, 21-ე მუხლის მე-4 პუნქტი. ბრძანებაში გათავისუფლების საფუძვლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 14.09.2010 წ. №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ 5.1 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის მითითება არ ადასტურებს დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი კუთვნილებას, ვინაიდან ხსენებულ ნორმაში მითითებულია დირექტორის უფლებამოსილება დანიშნოს და გაათავისუფლოს ცენტრის თანამშრომელი, გააფორმოს მათთან შრომითი ხელშეკრულება. ამდენად, მოსარჩელის შრომითი საქმიანობის დაწყების და შეწყვეტის ძირითადი საფუძველი არის შრომითი ხელშეკრულების დადება (შრომის კოდექსის 6.3 მუხ.) და შეწყვეტა (შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ვ“ ქვ.პ.). გასათვალისწინებელია, რომ ნ. ნ-ას გათავისუფლების დროს მოქმედი „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონის რედაქცია ადგენდა პირის გათავისუფლების შესაძლებლობას მისი დაკავებულ თანამდებობასთან შეუსაბამობის გამო (98.1 მუხ.), თუმცა ნ. ნ-ა გათავისუფლდა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად შრომის კოდექსის 37-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (დასაქმებული კვალიფიკაციის ან პროფესიული უნარ-ჩვევების შეუსაბამობა დაკავებულ თანამდებობასთან/შესასრულებელ სამუშაოსთან) და არა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით მოხელის გათავისუფლებისათვის დადგენილი წესის გათვალისწინებით, რაც დამატებით ადასტურებს ნ. ნ-ასთან კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის არსებობას. აღნიშნულიდან გამომდინარე, ნ. ნ-ას სამსახურიდან გათავისუფლების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანება ვერ იქნება მიჩნეული ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად, რადგან იგი გამოცემულია კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე. მხოლოდ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ფორმალური რეკვიზიტების ქონა და დასახელება, სათანადო შინაარსობრივი დატვირთვის გარეშე, დოკუმენტს ვერ აქცევს ადმინისტრაციულ აქტად. დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ ბრძანების ფორმით გამოცემული ყველა გადაწყვეტილება ავტომატურად არ უნდა გაუთანაბრდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას, მსგავს შემთხვევებში ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტილების გამოტანის საფუძველებს,



მის შინაარსს (იხ. სუსგ 21.09.2017წ. №ბს-893-885(გ-16)). განსახილველ საქმეში სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანებაში ასახულია ორგანოს ნება კერძო-სამართლებრივი შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ, რაც გადანყვეტილებას, მხოლოდ ბრძანების ფორმით გამოცემის გამო, ვერ აქცევს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად. აღნიშნულიდან გამომდინარე ნ. წ-ას გათავისუფლების კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო სასამართლო წარმოების ფარგლებში.

სამოქალაქო პალატის მითითება იმ გარემოებაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ახორციელებს საჯარო საქმიანობას, არ ცვლის განსჯადობის წესს, ვინაიდან მოცემული დავა უკავშირდება არა სსიპ-ის საქმიანობას, არამედ მისი მუშაკის შრომით ურთიერთობას. საჯარო ფუნქციების დელეგირება შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო სამართლის იურიდიულ პირზე, არამედ აგრეთვე ფიზიკურ პირზე და კერძო სამართლის იურიდიულ პირებზეც, რაც ცხადია არ აქცევს მისი მუშაკის გათავისუფლებასთან დაკავშირებულ დავას ადმინისტრაციული კატეგორიის საქმედ. ამდენად, განსჯადობის შესახებ დავის გადანყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს არა სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ფუნქციებს, არამედ დავის საგნის შემხებლობას სამოხელეო სამართალურითიერთობასთან. საფუძველს მოკლებულია ასევე სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება, რომ საკონკურსო კომისიის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნა განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ ხასიათს. დავის საგანს არ შეადგენს საკონკურსო კომისიის შექმნის ან კონკურსის გამოცხადების შესახებ აქტების ბათილად ცნობის საკითხი, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 03.04.13წ. №102, 29.10.13წ. №364 და 13.12.2013წ. №455 ბრძანებები ცენტრის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის შექმნის შესახებ კანონით დადგენილ ვადაში არ გასაჩივრებულა, მოსარჩელე ითხოვს კონკურსის შედეგების და მისი გათავისუფლების შესახებ აქტის გაუქმებას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სკ-ის 24.3 მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებში აღჭურვილია სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებებითა და მოვალეობებით, თუმცა მისი შექმნისა და საქმიანობის რეგულირება ხდება სპეციალური ნორმატიული აქტის საფუძველზე. შრომის კოდექსის 1.1 მუხლის თანახმად, კანონი აწესრიგებს შრომით და მის თანმდევ ურთიერთობებს, თუ ისინი განსხვავებულად არ რეგულირდება სხვა სპეციალური

კანონით ან საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით. ის გარემოება, რომ თავისი ამოცანების განხორციელების პროცესში სსიპ-ის მიერ გამოსაყენებელ ნორმათა სპექტრი არ შემოიფარგლება მხოლოდ სამოქალაქო კანონმდებლობით და მოცემულ შემთხვევაში სსიპ-ში კონკურსის ჩატარებასთან დაკავშირებით სადავო სამართალური თვითობების მომწესრიგებელ ნორმებს შორის გასათვალისწინებელია აგრეთვე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 11<sup>1</sup> მუხლი, 29-32-ე მუხლები, არ ცვლის დავის სასამართლო განსჯადობის საკითხს. თანამშრომლის შესარჩევად კონკურსის ჩატარება „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის საფუძველზე იმთავითვე არ აქცევს დავას ადმინისტრაციულ-სამართლებრივად. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონს 29.06.2011წ. №6611 კანონით დამატდა 11<sup>1</sup> მუხლი და დადგინდა „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის 29-32-ე მუხლების მოქმედების გავრცელება საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზეც, გარდა იმ საჯარო სამართლის იურიდიული პირისა, რომელიც ეწევა კულტურულ, საგანმანათლებლო ან რელიგიურ საქმიანობას. „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონის 29-32-ე მუხლებით ხდებოდა კონკურსის გამოცხადების, კონკურსში მონაწილეობის მისაღებად განაცხადის წარდგენისა და თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის რეგულაცია. ამდენად, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში იმ პოზიციის დასაკავებლად, რომელზეც ნ. ნ-ა მოვალეობის შემსრულებლად იყო დანიშნული, უნდა ჩატარებულიყო კონკურსი სწორედ „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის შესაბამისად, თუმცა აღნიშნული არ ცვლის განსჯადობის წესს, ნ. ნ-ას გათავისუფლების შესახებ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 25.12.2013წ. №42/კ ბრძანების კონკურსის შედეგების საფუძველზე გამოცემა არ აქცევს განსახილველ დავას ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, რადგან „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონი აწესრიგებდა სსიპ-ში კონკურსის ჩატარების ფორმალურ მხარეს, რაც არ ცვლის კონკურსის შედეგის შინაარსობრივ დატვირთვას, სსიპ-ში დასაქმებულ პირთან წარმოშობილი შრომითი ურთიერთობის კერძო-სამართლებრივ ხასიათს. საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ფლობს კანონით ზუსტად განსაზღვრულ უფლებამოსილებას, შეμποჭილია კანონიერების პრინციპისა და სახელმწიფო ინტერესების დაცვის საჭიროებით, აქვს კანონმდებლობით განსაზღვრული საჯარო-სამართლებრივი ფუნქციები, რის გამოც კანონმდებელმა მიზანშეწონილად ჩათვალა სსიპ-ის თანამშრომლების სამსახურში მიღებისათვის სპეციალური, კერძო სამართლის იურიდიული პირებისაგან

განსხვავებული, პროცედურული წესების შემოღება. ამდენად, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონისათვის 11<sup>1</sup> მუხლის დამატების მიზანი იყო არა საჯარო სამართლის იურიდიული პირის თანამშრომლებისათვის საჯარო მოხელის სტატუსის მინიჭება, მათი უფლებრივი მდგომარეობის შეცვლა, არამედ სსიპ-ში თანამდებობათა კვალიფიციური კადრებით შევსების, ვაკანსიათა თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, სამსახურში მიღებისას არსებითი სუბიექტური ფაქტორების გამორიცხვა, საკვალიფიკაციო მოთხოვნებისა და სამსახურში მიღების პროცედურების ზუსტი რეგლამენტირება. სსიპ-ის თანამშრომელთა საჯარო მოხელეებად მიჩნევის, მათზე „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის სრული მოცულობით გავრცელების მიზნის არსებობის შემთხვევაში, კანონმდებელი ნორმატიულ აქტში სათანადო დათქმას გააკეთებდა, ასეთ დათქმას „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონი არ შეიცავდა. აღნიშნული ნორმატიული დათქმის არარსებობა ადასტურებს კანონმდებლის მიერ სსიპ-ის თანამშრომლების სამოხელეო-სამართლებრივი ურთიერთობის სფეროდან გამოყვანას და კერძო, შრომით-სამართლებრივი ურთიერთობების სფეროში მოქცევას. სსიპ-ის მიერ თანამშრომელთა მიღებისას კონკურსის ჩატარების ფორმალური წესების დაცვის საჭიროების დადგენით, განსახილველ შემთხვევაში არ იცვლება კონკურსის შედეგად დასაქმებული პირის შრომით-სამართლებრივი სტატუსი, რადგან კონკრეტული პროცედურების განხორციელებისას საჯარო კანონმდებლობის ნორმების გამოყენება იმთავითვე არ აქცევს ურთიერთობას საჯარო-სამართლებრივად, ისევე როგორც – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქმიანობისას სამოქალაქო კოდექსის ნორმების გამოყენება იმთავითვე არ გამორიცხავს ქმედების საჯარო-სამართლებრივ ხასიათს. ასეთ შემთხვევაში განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უნდა შეფასდეს დავის არსი, ქმედებათა შინაარსი, ურთიერთობის მახასიათებლები და სხვ.. სწორედ აღნიშნული გარემოებების, არსებული ნორმატიული მოწესრიგების, საკანონმდებლო რეგულაციის მიზნის ერთობლივი შეფასების შედეგად არის შესაძლებელი ურთიერთობის საჯარო თუ კერძო სამართლისათვის მიკუთვნება. განსახილველ შემთხვევაში ნ. წ-ას სამსახურში მიღებისა და გათავისუფლების მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი იყო შრომის კოდექსი. მნიშვნელოვანია აგრეთვე, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ“ 30.10.1997წ. კანონი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებზე ავრცელებდა მხოლოდ 29-ე-32-ე მუხლებს, რომლებიც კონკურსის წესით თანამშრომელთა მიღებას აწესრიგებდნენ, კანონი არ ახდენდა დათქმას საჯარო მოხელეთა გათავისუფლებისათვის დადგენილი წესის სსიპ-ის თანამ-

შრომლებზე გავრცელების შესახებ. მხოლოდ ის, რომ კონკურსის ჩატარების ფორმალური წესები საჯარო-სამართლებრივ აქტებშია ასახული, არ ცვლის მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსობრივ დატვირთვას. ანალოგიური წარმატებით კონკურსის ფორმალური წესების დაცვით თანამშრომელთა სამსახურში მიღება შეიძლება მოახდინოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმაც (აღნიშნულს კანონი არ კრძალავას), რაც რა თქმა უნდა არ აქცევს მასთან დასაქმებულ პირებს საჯარო მოხელეებად და დავას – ადმინისტრაციულ-სამართლებრივად.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლო კომპეტენციის სისრულიდან გამომდინარე, საქმის განხილველ სასამართლოს შეუძლია გაერკვეს საქმის განხილვისას წამოჭრილ ყველა საკითხში, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით დავის განხილველი ორგანო უფლებამოსილია დავის გადაწყვეტისას გამოიყენოს არა მხოლოდ კერძო-სამართლებრივი, არამედ საჯარო-სამართლებრივი კანონმდებლობის ნორმები, მით უფრო იმ შემთხვევაში, როდესაც დავა კომპლექსური ხასიათისაა და კერძო-სამართლებრივ საკითხებთან ერთად შეიცავს საჯარო-სამართლებრივ რეგულაციის ელემენტებს. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო და კერძო სამართალს შორის მკვეთრი საზღვრის არარსებობის გამო დავის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობა აქვს ნახევარტონალობებს, სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეების განხილველი სასამართლოები არ ქმნიან ერთმანეთისგან იზოლირებულ, ცალკე სასამართლო სისტემებს. მართლმსაჯულების ნებისმიერი განშტოების სასამართლო უფლებამოსილია გამოიყენოს და განმარტოს ნებისმიერი ნორმატიული, აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ან კერძო-სამართლებრივი აქტი, მათი რეგულირების საგნის და გამომცემი ორგანოს მიუხედავად. მთავარი საკითხის გადამწყვეტ მოსამართლეს აქვს უფლება გადაწყვიტოს განსახილველ დავასთან დაკავშირებულ საკითხთა მთელი ერთობლიობა. ამდენად, სადავო აქტში „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონის ნორმების მითითება, „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით კონკურსის ჩატარება არ გამორიცხავს დავის სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით განხილვას, რადგან სსიპ-სა და მის თანამშრომელს შორის არსებული შრომითი ურთიერთობა სადავო აქტების გამოცემის მომენტისათვის კერძო-სამართლებრივი იყო.

დაუსაბუთებელია მოსაზრება განსჯადობის წესების დარღვევის გამო სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობის არსებობის შესახებ, ვინაიდან სასამართლოს არაკანონიერი შემადგენლობა არის ამ შემადგენლობის შინაგანი თვისება, იგი ასეთად რჩება

მიუხედავად იმისა განიხილავს საქმეებს განსჯადობისა და საქვე-  
უნყებო წესის დაცვით თუ დარღვევით, საქმის განხილვა არაკანო-  
ნიური შემადგენლობის მიერ წარმოადგენს საკასაციო საჩივრის აბ-  
სოლუტურ და გადაწყვეტილების გაუქმების სრულიად დამოუკი-  
დებელ, უდავო და საკმარის საფუძველს, რასაც მოცემულ შემ-  
თხვევაში ადგილი არ ჰქონია.

სამოქალაქო სამართალწარმოების თანახმად, სასამართლოს შე-  
უძლია სსკ-ის 187-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე არ მიი-  
ღოს სარჩელი წარმოებაში თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ  
არის. სსკ-ის 187-ე მუხლის თანახმად, არაგანსჯადობის გამო სარ-  
ჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო ვალდე-  
ბულია დაასაბუთოს განჩინება და მიუთითოს განსჯადი სასამარ-  
თლო. უწყებრივი ქვემდებარეობისაგან განსხვავებით, რომელსაც  
სასამართლო თავისი ინიციატივით ამონმებს საქმის განხილვის ნე-  
ბისმიერ ეტაპზე, სამოქალაქო საქმეების განმხილველი სააპელა-  
ციო სასამართლოს პალატა სსკ-ის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილის თა-  
ნახმად, განსჯადობის საკითხს ამონმებს მხოლოდ მოპასუხის მოთ-  
ხოვნით. ამდენად, განსჯადობაზე დავას, ადმინისტრაციული სამარ-  
თალწარმოებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალწარმო-  
ებაში აქვს არა იმპერატიული, არამედ უმეტესად დისპოზიციური  
ხასიათი. საქმის განსჯადობის საკითხის სადავოდ გახდომა სამოქა-  
ლაქო კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოს თავისი ინი-  
ციატივით შეუძლია აგრეთვე ადმინისტრაციული კატეგორიის საქ-  
მის განმხილველი სასამართლოდან საქმის განსჯადობით განსახილ-  
ველად გადაგზავნის შემთხვევაში, უკეთეს სამოქალაქო კატეგორი-  
ის საქმეების განმხილველი სასამართლო არ ეთანხმება მისთვის გან-  
სახილველად გადმოგზავნილი საქმის განსჯადობის საკითხის გა-  
დანწყვეტას, ასეთ შემთხვევაში სასკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე  
სასამართლოს შეუძლია სადავოდ გახადოს განსჯადობა და განსჯა-  
დობის შესახებ დავა გადასაწყვეტად გადაუგზავნოს საკასაციო სა-  
სამართლოს. მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოებაში მიღებისას,  
პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას განსჯა-  
დობის საკითხი სასამართლოების მიერ არ დასმულა. დავის განმხილ-  
ველი სასამართლოს განსჯადობის საკითხი არც მხარეებს დაუყე-  
ნებიათ ეჭვქვეშ. მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მოთხოვ-  
ნის საფუძველად უთითებს კერძო-სამართლებრივ კანონმდებლო-  
ბას (შკ-ის მე-6, მე-7, 37-ე, 44-ე მუხ., სკ-ის 408-ე მუხ.). მოპასუხე  
სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შე-  
საგებლის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია შრომის კო-  
დექსი და სამოქალაქო კოდექსი. თბილისის საქალაქო სასამართლოს  
სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ნ. ნ.-ასთან შრომითი

ურთიერთობა შეწყდა შრომის კოდექსის მოთხოვნათა დაცვით და 26.04.2016წ. გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სააპელაციო საჩივარში ნ. ნ-ას განსჯადობის საკითხი არ დაუსვია, განსჯადობის საკითხი არც მოპასუხეს დაუსვამს, სააპელაციო საჩივარზე შეტანილ შესაგებელში მოპასუხე ეთანხმებოდა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას, ასაბუთებდა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მიღებული იყო კანონის მოთხოვნების სრული დაცვით. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 15.12.2016წ. გადაწყვეტილებით ნ. ნ-ას სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტები და ნ. ნ-ა აღდგენილ იქნა სამსახურში კონკურსის წესით კანდიდატის შერჩევამდე, ცენტრს დაეკისრა იძულებითი განაცდულის ანაზღაურება. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილ საკასაციო საჩივარში კასატორი – სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი ითხოვდა გადაწყვეტილების გაუქმებას და სარჩელის დაკმაყოფილებაზე სრულად უარის თქმას. კასატორმა საკასაციო საჩივარში აღნიშნა, რომ ცენტრის მიერ გამოსაყენებელ ნორმათა სპექტრი სამოქალაქო კანონმდებლობით არ შემოიფარგლება, თუმცა კასატორს არ დაუსვია სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საქმის განსჯადობის წესების დარღვევით გადაწყვეტის საკითხი. სსკ-ის 404-ე მუხლის მე-3 ნაწილი აღდგენს საკასაციო სასამართლოს ვალდებულებას შეამოწმოს უწყებრივი ქვემდებარეობის საკითხი და მის უფლებას პირველი ინსტანციის სასამართლოს ტერიტორიული და საგნობრივი განსჯადობის შემოწმებაზე მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ასეთი მოთხოვნა დასაშვებია, თუ იგი საქმის სააპელაციო სასამართლოში განხილვისას იყო წამოყენებული მოპასუხის მიერ, ან თუ არსებობს საპატიო მიზეზი, რის გამოც ასეთი მოთხოვნა ვერ იქნა წამოყენებული სააპელაციო სასამართლოში. მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოებაში მიღებისას, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას განსჯადობის საკითხი არ დასმულა, სააპელაციო და საკასაციო ინსტანციის სასამართლოში მხარეს განსჯადობის საკითხი არ დაუსვამს, შესაბამისად შესაძლებელი იყო საგნობრივი განსჯადობის საკითხის დასმის გარეშე დავის გადაწყვეტა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას, აღნიშნულ საკითხზე უზენაესი სასამართლოს დადგენილ პრაქტიკას (იხ. სუს 15.09.2015წ. №ბს-447-440(გ-15) განჩინება) და მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარეა.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. ნ-ას სარჩელი მოპასუხე სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე სარჩელის განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-204-204(გ-18)

18 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ს. გ-ის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

26.10.2015წ. ს. გ-ემ სარჩელით მიმართა ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქარ-



თველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა მოპასუხის 15.09.2015წ. №1032 ბრძანების და ს. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და სამსახურიდან განთავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად 900 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მასსა და სამეურვეო საბჭოს შორის 26.11.2014წ. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე მუშაობდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ დაბა ... რამოდენიმე მაცხოვრებლისგან განიცდიდა დევნას. ამ პირების მიერ საგანმანათლებლო რესურსცენტრში განცხადებების საფუძველზე გამოიცა განათლების და მეცნიერების სამინისტროს 15.09.2015წ. №1032 ბრძანება ... საჯარო სკოლის მიმართ გაფრთხილების თაობაზე, რომლითაც სკოლას განესაზღვრა 1 თვის ვადა აღმოჩენილი ხარვეზის აღმოფხვრისათვის. 17.09.2015წ. სკოლის სამეურვეო საბჭოს №2 სხდომის ოქმით საბჭომ არ მიიჩნია საჭიროდ სკოლის დირექტორის თანამდებობიდან მისი განთავისუფლება. ბრძანებაში აღნიშნული ვადის გასვლამდე განათლების და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცა ს. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანება. მოსარჩელე თვლის, რომ აქტი უკანონოა, ვინაიდან ის კეთილსინდისიერად ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემის საფუძველი გახდა განათლების და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის უფროსის 10.09.2015წ. მოხსენებითი ბარათი და შიდა აუდიტის დასკვნა, რომლებიც ძირითადად ეფუძნებოდა დაბა ... მცხოვრების განცხადებებს, განცხადებებში მითითებული გარემოებები სრულად არ გამოკვლეულა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 18.03.2016წ. გადაწყვეტილებით ს. გ-ის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, გაუქმდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანება და ს. გ-ე აღდგენილ იქნა სსიპ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაევალა ს. გ-ის სასარგებლოდ უფლებამოსილების შეწყვეტის დღიდან – 2015 წლის 30 სექტემბრიდან განაცდური ხელფასის ანაზღაურება, ყოველთვიურად 900 ლარის

ოდენობით გადაწყვეტილების აღსრულებამდე. არ დაკმაყოფილდა მოსარჩელის მოთხოვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 15.09.2015წ. №1032 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე.

სასამართლოს გადაწყვეტილება დაკმაყოფილებულ ნაწილში სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ, ხოლო გადაწყვეტილების იმ ნაწილზე, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივარი წარადგინა ს. გ-ემ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 06.07.2016წ. განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობა, განსახილველი საქმიდან გამოიყო ს. გ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული წარმოება და საქმე ამ ნაწილში განსჯადობით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარზე შეჩერდა საქმის წარმოება ს. გ-ის სააპელაციო საჩივარზე საბოლოო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლამდე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 24.11.2016წ. განჩინებით არ დაკმაყოფილდა ს. გ-ის სააპელაციო საჩივარი, უცვლელად დარჩა ოზურგეთის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებულ ნაწილში.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 29.09.2017წ. განჩინებით განახლდა საქმის წარმოება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივარზე განახლდა საქმის წარმოება და დაინიშნა სასამართლო სხდომა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 06.12.2017წ. განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საკასაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ სადავო სამართალურთიერთობაში იკვეთება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული დავის საგნის არსებობა. მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების ბრძანებაში მითითებულია, რომ ბრძანება გამოცემულია არა საქართველოს შრომის კოდექსის რომელიმე საფუძველზე მითითებით, არამედ „ზოგადი განათლე-

ბის შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მე-6<sup>1</sup>, მე-7 პუნქტის „ბ“ ქვე-პუნქტის და მე-9 მუხლის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც სამინისტრო უფლებამოსილია არ დაეთანხმოს სამეურვეო საბჭოს გადანიჭვებილებას და ვადამდე შეუწყვიტოს უფლებამოსილება სკოლის დირექტორს. „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლის შესაბამისად საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო, რაც გამომდინარეობს ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანანესით დაკისრებული ვალდებულების შესრულებიდან და შრომის კოდექსით რეგულირებული ურთიერთობიდან. ს. გ-ის დირექტორის თანამდებობიდან გათავისუფლების საფუძველების შემონმებისათვის უნდა დადგინდეს საჯარო სკოლისათვის გაფრთხილების მიცემა გამოიწვევს თუ არა „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 49-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შედეგს. ზემოაღნიშნული მსჯელობის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანება წარმოადგენდა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივ აქტს, ხოლო ამ აქტის გაუქმებასთან დაკავშირებული საქმე ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.02.2018წ. განჩინებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სააპელაციო საჩივრის განსჯადობის საკითხზე წამოიწყო დავა, რომლის გადასაწყვეტად საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაუგზავნა. სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სადავო სამართალურთიერთობაში არ იკვეთება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საგნის არსებობა, რამდენადაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარ-

მოების წესით განიხილავს სასამართლო. განსახილველი დავის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირების საჭიროებას პირდაპირ ადგენს კანონი, შესაბამისად სახეზეა კანონისმიერი განსჯადობა. მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავოა ს. გ-ესთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზნით გამოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანება (სკოლის დირექტორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ), არ უნდა შეფასდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ დავად, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე გამოცემული ბრძანებით პირის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თელის, რომ ს. გ-ის სარჩელი სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანების ბათილად ცნობის, მოსარჩელის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის და სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ს. გ-ის სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა ს. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება ყოველთვიურად 900 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ნორმების მითითება არ გულისხმობს დავის სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით განხილვას, რადგან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს

შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს. ამდენად, განსახილველი დავის სამოქალაქო წესით განხილვის ვალდებულება კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა დოგმატურ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რომელსაც მხოლოდ კონკრეტული მართლწესრიგისათვის აქვს მნიშვნელობა, არ არსებობს უნივერსალური გამიჯვნის წესები. სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების კომპეტენცია შედგება კანონებით და სასამართლო პრაქტიკით, ისტორიული მეტამორფოზებით დამკვიდრებული საერთო და საგამონაკლისო წესებისაგან, საგამონაკლისო წესები ზოგჯერ აფართოებენ ან ზღუდავენ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა მოცემულ შემთხვევაში არ იძლევა ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების იურისდიქციის გაფართოების შესაძლებლობას, საამისოდ საჭიროა კანონში ცვლილების შეტანა. შესაბამისად კანონისმიერ განსჯადობას ვერ შეცვლის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა სადავო აქტის ბუნების, სადავო აქტში აქტის გამოცემის საფუძვლად „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მითითება.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად სასამართლოს შეუძლია არ მიიღოს სარჩელი წარმოებაში თუ საქმე ამ სასამართლოს განსჯადი არ არის. სსკ-ის 187-ე მუხლის თანახმად, არაგანსჯადობის გამო სარჩელის მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში სასამართლო ვალდებულია დაასაბუთოს განჩინება და მიუთითოს განსჯადი სასამართლო. უწყებრივი ქვემდებარეობისაგან განსხვავებით, რომელსაც სასამართლო თავისი ინიციატივით ამონმებს საქმის განხილვის ნებისმიერ ეტაპზე, სამოქალაქო საქმეების განმხილველი სააპელაციო სასამართლოს პალატა სსკ-ის 377-ე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, განსჯადობის საკითხს ამონმებს მხოლოდ მოპასუხის მოთხოვნით. ამდენად, განსჯადობაზე დავას, ადმინისტრაციული სამართალწარმოებისაგან განსხვავებით, სამოქალაქო სამართალწარმოებას აქვს არა იმპერატიული, არამედ უმეტესად დისპოზიციური ხასიათი. საქმის განსჯადობის საკითხის სადავოდ გახდომა სამოქალაქო კატეგორიის საქმეთა განმხილველ სასამართლოს თავისი ინიციატივით შეუძლია აგრეთვე ადმინისტრაციული კატეგორიის საქმის გან-

მხილველი სასამართლოდან საქმის განსჯადობით განსახილველად გადაგზავნის შემთხვევაში, უკეთეს სამოქალაქო კატეგორიის საქმეების განმხილველი სასამართლო არ ეთანხმება მისთვის განსახილველად გადმოგზავნილი საქმის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას, ასეთ შემთხვევაში სასკ-ის 26-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს შეუძლია სადავოდ გახადოს განსჯადობა და განსჯადობის შესახებ დავა გადასაწყვეტად გადაუგზავნოს საკასაციო სასამართლოს. მოცემულ შემთხვევაში საქმის წარმოებაში მიღებისას, პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას განსჯადობის საკითხი სასამართლოების მიერ არ დასმულა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობა ეხებოდა ს. გ-ის სააპელაციო საჩივრის განსჯადობით ადმინისტრაციული პალატისათვის განსახილველად გადაცემას, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 06.07.2016წ. განჩინებით დაკმაყოფილდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შუამდგომლობა, განსახილველი საქმიდან გამოიყო ს. გ-ის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებული წარმოება და საქმე ამ ნაწილში განსჯადობით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. რაც შეეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანების ბათილად ცნობის, თანამდებობაზე აღდგენისა და იძულებითი განაცდურის მოთხოვნას, სააპელაციო პალატის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სასამართლომ მხარეებს შესთავაზა განსჯადობის თაობაზე მოსაზრებების გამოთქმა, მხარეებმა განაცხადეს, რომ საქმე სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით უნდა განხილულიყო. ამდენად, სააპელაციო ინსტანციაში დავის განმხილველი სასამართლოს განსჯადობის საკითხი განსახილველ ნაწილში მხარეებს არ დაუყენებიათ ეჭვქვეშ, პირიქით ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 06.12.2017წ. სხდომაზე მოსამართლემ, მხარეთა მითითების გარეშე წამოჭრა განსჯადობის საკითხი და იმის მიუხედავად, რომ ორივე მხარე მიიჩნევდა დავის სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით განხილვის საჭიროებას, საგნობრივი განსჯადობის საკითხზე პირდაპირი საკანონმდებლო რეგლამენტაციის („ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხ.) და დადგენილი სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად (იხ. სუს 28.03.2017წ. №ბს-934-926(გ-16) განჩინება), ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ საქმე განსახილველად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადასცა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმე

მეთა პალატის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ ბ ი ნ ა:**

1. ს. გ-ის სასარჩელო მოთხოვნა ს. გ-ის სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 30.09.2015წ. №1/კ-595 ბრძანების ბათილად ცნობის, მოსარჩელის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის და მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და  
იძულებით განაცდურის ანაზღაურების თაობაზე  
სარჩელის განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-203-203(გ-18)

15 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ნ. კ-ას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობის შესახებ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატასა და სამოქალაქო საქმეთა პალატას შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ნ. კ-ამ 12.04.2017წ. სარჩელით მიმართა სამტრედიის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიმართ და მოითხოვა „სსიპ – ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორ ნ. კ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ მოპასუხის 15.03.2017წ. №1/კ-212 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელის სსიპ ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად 720 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ წლების განმავლობაში მუშაობს ქ. სამტრედიის №... სკოლის დირექტორად. აუდიტის დასკვნის საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 27.07.2016წ. №588 ბრძანებით სკოლას გამოეცხადა გაფრთხილება, ამასთანავე, მოეთხოვა შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში დაფიქსირებულ დარღვევებზე რეაგირება და ერთი თვის ვადაში ანგარიშის წარდგენა. მითითების შესაბამისად, სკოლამ რეაგირება მოახდინა დარღვევებზე და ერთი თვის ვადაში წარადგი-

ნა ანგარიში. აღნიშნულის შემდეგ, სკოლა კვლავ შემოწმდა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის ინსპექტირების სამმართველოს მიერ. სკოლაში კვლავ დაფიქსირდა დარღვევები, რის გამოც ნ. კ.-ასთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა. მოსარჩელის მოსაზრებით, ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას საფუძვლად დაედო აუდიტის დეპარტამენტის მიერ არასწორად შედგენილი დასკვნა, ამასთანავე, აუდიტის ორივე დასკვნა ეფუძნება ერთი და იგივე დარღვევებს.

სამტრედიის რაიონული სასამართლოს 30.10.2017წ. გადაწყვეტილებით ნ. კ.-ას სარჩელი დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი „სსიპ – ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორ ნ. კ.-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 15.03.2017წ. №1/კ-212 ბრძანება, ნ. კ.-ა აღდგენილ იქნა სსიპ ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე, მოპასუხეს დაეკისრა ნ. კ.-ას იძულებითი განაცდურის ანაზღაურება სამუშაოდან გათავისუფლების დღიდან აღდგენამდე 720 ლარის (საშემოსავლო გადახდების გარეშე) ოდენობით. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 22.11.2017წ. განჩინებით ნ. კ.-ას შუამდგომლობა დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 30.10.2017წ. გადაწყვეტილების 1.2 პუნქტი, ნ. კ.-ას სსიპ ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენის თაობაზე მიექცა დაუყოვნებლივ აღსასრულებლად. სამტრედიის რაიონული სასამართლოს 30.10.2017წ. გადაწყვეტილება სააპელაციო წესით, ხოლო 22.11.2017წ. განჩინება კერძო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 22.12.2017წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ ნ. კ.-ა დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლდა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 49.7 მუხლის „დ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-9 პუნქტის საფუძველზე. მოცემულ დავაში შეფასების ობიექტს წარმოადგენს ნ. კ.-ას სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების კანონიერება, რაც „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის შესაბამისად უნდა შემოწმდეს. პალატამ აღნიშნა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოების საქმის განხილვისთვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ნორმებში,

ამასთანავე, ადმინისტრაციული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. მოსარჩელის მიმართ მითითებული უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველი დავა ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას დაქვემდებარებული დავაა, რადგან ერთ-ერთი მოდავე სუბიექტი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროა, სადავო აქტის კანონიერება კი უნდა შემოწმდეს საჯარო კანონმდებლობით: – „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონით, რადგან ნ. კ-ას სამსახურიდან გათავისუფლების საფუძველს წარმოადგენს არა შრომითი კანონმდებლობის დარღვევა, არამედ „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის დარღვევა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 22.01.2018წ. განჩინებით ადმინისტრაციული საქმე ნ. კ-ას სარჩელისა გამო განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ სადავო სამართალურთიერთობაში არ იკვეთება ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით მოწესრიგებული სამართალურთიერთობიდან წარმოშობილი დავის საგნის არსებობა, რამდენადაც „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო. განსახილველი დავის სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე რეგულირების საჭიროებას პირდაპირ ადგენს კანონი, შესაბამისად სახეზეა კანონისმიერი განსჯადობა. მხოლოდ ის გარემოება, რომ სადავოა ნ. კ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის მიზნით გამოცემული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 15.03.2017წ. №1/კ-212 ბრძანება (სკოლის დირექტორთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ), არ უნდა შეფასდეს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერების შესახებ დავად, რადგან ამ შემთხვევაში ადგილი აქვს სამოქალაქო სამართლებრივი ნორმების საფუძველზე გამოცემული ბრძანებით პირის შრომით-სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგებას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ნ. კ-ას სარჩელი „სსიპ – ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორ ნ. კ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ მოპასუხის 15.03.2017წ. №1/კ-212 ბრძანების ბათილად ცნობის, მოსარჩელის სსიპ ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების ნაწილში ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ ნ. კ-ას სასარჩელო მოთხოვნას შეადგენდა „სსიპ – ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორ ნ. კ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ მოპასუხის 15.03.2017წ. №1/კ-212 ბრძანების ბათილად ცნობა, მოსარჩელის სსიპ ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურება, ყოველთვიურად 720 ლარის ოდენობით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სადავო აქტში „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის ნორმების მითითება არ გულისხმობს დავის სამოქალაქო სასამართლო წარმოების წესით განხილვას, რადგან „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს, სასამართლო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს. ამდენად, განსახილველი დავის სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით განხილვის ვალდებულება კანონმდებლობით პირდაპირ არის დადგენილი, კანონის მიერ დავის საგნობრივი განსჯადობის გადანყვეტა განაპირობებს მოცემული დავის სასამართლოწარმოების წესის გამოყენებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კერძო და საჯარო სამართლის გამიჯვნა დოგმატურ საკითხთა რიგს განეკუთვნება, რომელსაც მხოლოდ კონკრეტული მართლწესრიგისათვის აქვს მნიშვნელობა, არ არსებობს უნივერსალური გამიჯვნის წესები.

სხვადასხვა ქვეყნის ადმინისტრაციული იუსტიციის ორგანოების კომპეტენცია შედგება კანონებით და სასამართლო პრაქტიკით, ისტორიული მეტამორფოზებით დამკვიდრებული საერთო და საგამონაკლისო წესებისაგან, საგამონაკლისო წესები ზოგჯერ აფართოებენ ან ზღუდავენ ადმინისტრაციული მართლმსაჯულების იურისდიქციას. ამდენად, სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა მოცემულ შემთხვევაში არ იძლევა ადმინისტრაციული სასამართლონარმოების იურისდიქციის გაფართოების შესაძლებლობას, სამისოდ საჭიროა კანონში ცვლილების შეტანა. შესაბამისად კანონისმიერ განსჯადობას ვერ შეცვლის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებაში მოყვანილი მსჯელობა სადავო აქტის ბუნების, სადავო აქტში აქტის გამოცემის საფუძველად „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 49-ე მუხლის მითითება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას და მიიჩნევს, რომ დავა განსჯადობით სამოქალაქო საქმეთა პალატის ქვემდებარეა.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა „ზოგადი განათლების შესახებ“ კანონის 12.3 მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა ა დ გ ი ნ ა:**

1. ნ. კ-ას სასარჩელო მოთხოვნა „სსიპ – ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორ ნ. კ-ასთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ მოპასუხის 15.03.2017წ. №1/კ-212 ბრძანების ბათილად ცნობის, მოსარჩელის სსიპ ქ. სამტრედიის №... საჯარო სკოლის დირექტორის თანამდებობაზე აღდგენისა და მოსარჩელის სამსახურიდან გათავისუფლების დღიდან სამუშაოზე აღდგენამდე იძულებითი განაცდურის ანაზღაურების თაობაზე მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის  
ბანსჯადობა**

**ბანჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-1138-1132(გ-17)

15 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შპს „...“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...“ სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 5 218 670 ლარის ოდენობით ზიანის ანაზღაურების, ასევე ყოველვადგადაცილებულ დღეზე 5434 ლარის ანაზღაურება და მოპასუხისათვის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების, გონივრულ ვადაში, სრულად შესრულების დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მასსა და ქ. თბილისის მთავრობის სახელით ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შორის 27.03.2012წ. დაიდო ... გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მეიჯარემ (ქ. თბილისის მთავრობის სახელით ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ) იკისრა ვალდებულება მოიჯარისათვის (შპს „...“) გადაეცა საიჯარო ქონება, მათ შორის მოეხდინა საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მისი მოიჯარისათვის გადაცემა, ხოლო მოიჯარემ იკისრა ვალდებულება, რომ გადაიხდიდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქირას და ამავდროულად შეინარჩუნებდა მთანმინდის პარკის პროფილს, მოახდენდა პარკში არსებული ატრაქციონები-

სა და ინფრასტრუქტურის შემონმებასა და განახლება/რეაბილიტაციას და ა.შ.. ამავე ხელშეკრულებით განისაზღვრა მხარეთა ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესაბამისი პირობები. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ მეიჯარის მიერ არ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები სრულად, კერძოდ, მეიჯარემ არ უზრუნველყო საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მათი მოიჯარისათვის გადაცემა, რითაც შპს „...“ მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი მიუღებელი შემოსავლის სახით 5 218 670 ლარის ოდენობით. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე მთანმინდის პარკის ტერიტორია და მასთან დაკავშირებული ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცა შპს „...“, რა დროსაც ადმინისტრაციული ორგანო ახორციელებდა საჯარო უფლებამოსილებას. მოსარჩელეს მიაჩნია, რომ 27.03.2012წ. ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ გარიგებას, 27.03.12წ. ხელშეკრულების მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებული საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მოიჯარისათვის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადაცემა. მოპასუხემ არ მოახდინა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელება, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში არსებულ ქონების განკარგვა – იჯარით გადაცემას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ზიანის მიყენება. სარგებლობის უფლების გადაცემას საჯარო-სამართლებრივი მიზანი აქვს, შესაბამისად დავა ადმინისტრაციული კატეგორიისაა, ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ხელშეკრულება დადებულია საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 29.05.2017წ. განჩინებით შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სასამართლომ მიუთითა სასკ-ის 2.1., სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლებზე და აღნიშნა, რომ დავის საგანია იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულება, დავა გამომდინარეობს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან, ხოლო მხარეები კერძო სამართლის სუბიექტებად გვევლინებიან, რაც სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად საქმის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისათვის გადაცემის საფუძველია.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 12.10.2017წ. განჩინებით საქმე განსჯადობის საკითხთან



დაკავშირებით დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა იყო საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მასთან დაკავშირებული სამშენებლო სამუშაოების დაფინანსება, რაც „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9<sup>1</sup> მუხლის საფუძველზე საჯარო უფლებამოსილების განხორციელების სფეროს და ქ. თბილისის, როგორც თვითმმართველი სუბიექტის ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება. სზაკ-ის 207-ე და 208-ე მუხლებით დადგენილია ადმინისტრაციული ორგანოს პასუხისმგებლობის წესი, რომლის თანახმად უფლებამოსილების განხორციელებისას საჯარო მოხელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე პასუხისმგებელია სახელმწიფო. აღნიშნული გარემოებები ადასტურებს, რომ დავა გამომდინარეობს არა კერძოსამართლებრივი, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რომლის განხილვა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების წესით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

კომპეტენციის გამიჯვნის პოზიტიური ტაქსაციის მეთოდის გამოყენებით სზაკ-ის 2.1 მუხლი იძლევა ადმინისტრაციული დავის საგნის ჩამონათვალს. ამასთანავე, კომპეტენციის განსაზღვრის ზოგადი ნიშნის გამოყენებით (ენუმერაციის მეთოდი) კანონმდებლობამ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის იმ სამართალურ-თიერთობიდან წარმოშობა, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული (იხ. სუს 11.09.2014 წ. განჩინება საქმეზე №350-316(გ-14)). განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს შეადგენს იჯარის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ქ. თბილისის მერიასა და შპს „...“

შორის 27.03.2012წ. დაიდო მთანმინდის პარკის გრძელვადიანი იჯარის ხელშეკრულება, რომლითაც მეიჯარემ (ქ. თბილისის მთავრობის სახელით ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტომ) იკისრა ვალდებულება მოიჯარისათვის (შპს „...“) გადაეცა საიჯარო ქონება, მათ შორის მოეხდინა საბაგირო გზის რეაბილიტაცია/რეკონსტრუქცია და მათი მოიჯარისათვის გადაცემა, ხოლო მოიჯარემ იკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საიჯარო ქირის გადახდის და ამავდროულად მთანმინდის პარკის პროფილის შენარჩუნების, პარკში არსებული ატრაქციონებისა და ინფრასტრუქტურის შემოწმებისა და განახლება/რეაბილიტაციის ვალდებულება. დავის წარმოშობის დროს და ამჟამად მოქმედი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 22.12.2014წ. №19-78 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის“ 12.1 მუხლის თანახმად ვალდებულების შესრულების მიღება ხორციელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის ურთიერთობა მოწესრიგებულია იჯარის ხელშეკრულებით, შესაბამისად, საიჯარო ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების და ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებულ სადავო სამართალურთიერთობას კერძო-სამართლებრივი ბუნება აქვს და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განწყვეტილი.

ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან თუ კერძო პირთან დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს არ ქმნის მხოლოდ ის გარემოება, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა. დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიიჩნევა არა იმის გამო, რომ მოსარჩელის მოთხოვნის ადრესატი ადმინისტრაციული ორგანოა, არამედ სადავო სამართალურთიერთობის იმანენტური ბუნების გამო. ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება (სასკ-ის 25<sup>1</sup> მუხ, სზაკ-ის 65.2, 65<sup>1</sup> მუხ.). საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული

ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ხელშეკრულების მიზანი მისი შინაარსით განისაზღვრება. ამდენად, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს (იხ. სუს 26.12.2013წ. განჩინება საქმეზე 31-27(კ-13), 03.11.2016წ. №ბს-853-845 (გ-15)). ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის ხელშეკრულების დადება უკავშირდება საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას ან მისი განხორციელების პირობების შექმნას. საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი გულისხმობს არა ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებას მიკუთვნებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტას, არამედ ხელშეკრულების დადებას ძირითადი უშუალო ფუნქციის განსახორციელებლად. სხვაგვარად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებას მიენიჭებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სტატუსი, რამდენადაც ადმინისტრაციული ორგანო სზაკ-ის 5.1 მუხლის მიხედვით უფლებამოსილია განახორციელოს მხოლოდ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება. ხელშეკრულების დადებისას ადმინისტრაციული ორგანო შეზღუდულია კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებით, თუმცა აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება ყოველთვის ადმინისტრაციულ-სამართლებრივია. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული მისი შესხედულებით უფრო მისაღებია და არ ეწინააღმდეგება საჯაროსამართლებრივ ნორმებს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია გამოიყენოს საქმიანობის კერძოსამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება (სუს 30.11.2017წ., №ბს-923-915 (გ-16)).

თვითმმართველობის ქონების მართვა და განკარგვა შესაძლებელია არა მხოლოდ საჯარო-სამართლებრივი, არამედ კერძო-სამართლებრივი ფორმებით (იჯარა, ქირავნობა), თვითმმართველობას აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები, ქონების იჯარის საკითხები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. ქონების იჯარით გადაცემა არ უკავშირდება სახელისუფლებო უფლებამოსილებას, მისი დადების შედეგად არ მომხდარა მოიჯარის საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით აღჭურვა, ადმინისტრაციულ

ორგანოსა და მოიჯარეს შორის იჯარის ხელშეკრულების დადებით არ წარმოშობილა საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, მოსარჩელის მოთხოვნებს საფუძვლად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები (სკ-ის 316-ე, 361-ე, 317-ე, სკ-ის 400-ე, 581-ე). საიჯარო ხელშეკრულება არ აღჭურავს ხელშეკრულების მხარეებს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით, ხოლო კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა სამოქალაქო სასამართლოწარმოების წესით განიხილება. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს არ შეადგენს საბაგირო გზის მოწყობის მშენებლობის ნებართვა, თვითმმართველობის ქონების პრივატიზება, რომელიც ადმინისტრაციული კანონმდებლობით წესრიგდება, დავა ეხება საიჯარო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვან შესრულებას, ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურებას, რაც ადასტურებს დავის კერძო-სამართლებრივ ხასიათს.

იჯარის ხელშეკრულებით მხარეებმა მოახდინეს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან წარმოშობილი თავისი უფლებების რეალიზაცია, ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ გულისხმობს მხარეებს შორის ვერტიკალური, ქვემდებარებითი ურთიერთობის არსებობას. შპს მოითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსგან, როგორც საიჯარო ხელშეკრულების მხარისაგან და არა საჯარო უფლებამოსილების იმპერატიული ნების გამომხატველი სუბიექტისაგან, კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ განსჯადობის განმსაზღვრელი ფაქტორია მისი შინაგანი ბუნება და არა მოსარჩელის მოსაზრება, მოსარჩელე განსაზღვრავს სასარჩელო მოთხოვნას და არა დავის სამართლებრივ ბუნებას, განსჯადობის შესახებ დავა დაშვებულია სასამართლოებს და არა სასამართლოსა და მხარეს შორის. დავის განსჯადობას არ ცვლის მოსარჩელის მითითება იმის თაობაზე, რომ დავა ადმინისტრაციული სასამართლოწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე. ადმინისტრაციული სასამართლო, რომელსაც არ გააჩნია საქმის განხილვის იურისდიქცია, არათუ უფლებამოსილია, არამედ ვალდებულიცაა განაცხადოს ამის შესახებ, მაშინაც კი, როდესაც განსჯადობის საკითხს არც ერთი მხარე არ აყენებს ან მხარის მოსაზრებები განსჯადობის შესახებ უსწორია. ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში განსჯადობის

საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის (ordre public) შემაღგენელ ნაწილად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხ.). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა უკავშირდება ხელშეკრულებას, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიგს განეკუთვნება, შესაბამისად, მის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25<sup>1</sup> მუხლის, 65.2, 65<sup>1</sup> მუხლების საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენს.

სასკ-ის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 285-ე მუხლით, 390-ე მუხლით, 399-ე მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. შპს „...“ სარჩელი ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**არასათანადო სამედიცინო მომსახურების განაწილით  
მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე  
სარჩელის განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-714-714(გ-18)

11 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

**დავის საგანი:** მორალური ზიანის ანაზღაურება

**აღწერილობითი ნაწილი:**

მ. მ-მა 2017 წლის 12 დეკემბერს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე შპს „...ის“ მიმართ. მოსარჩელემ მოითხოვა მოპასუხისათვის მორალური ზიანის – 5000 ლარის ოდენობით ანაზღაურების დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 31 მაისის განჩინებით მ. მ-ის სარჩელი შპს „...ის“ მიმართ, მორალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ განსახილველი დავა არ განეკუთვნება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ საქმეთა კატეგორიას და აღძრული დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, რამდენადაც კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე ითხოვს მოპასუხე – შპს „...ისგან“ 5000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურებას ფსიქიატრიულ დაწესებულებაში მისი უკანონოდ მოთავსების, მის მიმართ დამამცირებელი და ღირსების შემლახველი მოპყრობის გამო გაცდილი სულიერი ტკივილისათვის. სასამართლომ მიუთითა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული ორგანოს დეფინიციაზე, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ მე-2, მე-4 და მე-18 მუხლებზე, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 21<sup>18</sup> მუხლის პირველი ნაწილზე და განმარტა,

რომ მოპასუხე – შპს „...ის“ 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო, როგორც საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განმახორციელებელი პირის მონაწილეობა მხარედ, „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებათა კომპლექსში, მისთვის დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, სასამართლოს მოსაზრებით ადასტურებს დავის საჯარო-სამართლებრივ ხასიათს.

ამასთან, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე, 208-ე და სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლზე მითითებით განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს ადმინისტრაციული ორგანოსაგან (შპს „...ისაგან“), რასაც მნიშვნელობა აქვს განსჯადობის საკითხის სწორად გადაწყვეტისთვის, ხოლო ის გარემოება, რომ მოსარჩელე სარჩელში უთითებს სხვადასხვა სამართლებრივ საფუძვლებზე (სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 1005-ე, 413-ე მუხლები) ვერ გახდება საფუძველი დავის სამოქალაქო კატეგორიის განსაზღვრისათვის, რამდენადაც არსებითია არა ის თუ რომელ ნორმას უთითებს მოსარჩელე სარჩელში, არამედ ის ფაქტი თუ რას მიიჩნევს იგი თავისი უფლების დარღვევად და რა სამართლებრივი შედეგების დადგომა სურს მას.

ამდენად, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 11 ივნისის განჩინებით მოსარჩელე მ. მ-ის სარჩელი მოპასუხე შპს „...ის“ მიმართ, მორალური ზიანის (5000 ლარი) ანაზღაურების თაობაზე, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული. დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, მოსარჩელის მოთხოვნა სამართლებრივად ეფუძნებოდეს საჯარო – ადმინისტრაციული სამარ-



თლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 992-ე, 997-ე, 998-ე მუხლებზე, „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე მუხლის პირველ პუნქტზე და განმარტა, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირი – შპს „...ი“, როგორც სპეციალზირებული სამკურნალო დაწესებულება სამედიცინო საქმიანობას არ ახორციელებს სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე. მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს იმ საფუძველზე, რომ სპეციალზირებულ სამკურნალო დაწესებულებაში მას არ ჩაუტარეს შესაბამისი მკურნალობის კურსი, დაწესებულებაში ყოფნის პერიოდში მის მიმართ განხორციელდა არასათანადო მოპყრობა, ფიზიკური შეურაცხყოფა, რის დასადასტურებლადაც მტკიცებულების სახით მიუთითა – თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 27 ოქტომბრის ბრძანებაზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ კონკრეტული პირის (პაციენტის) არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით სტაციონარში მოთავსება და შესაბამისი მკურნალობის კურსის ჩატარების დავალება საამისოდ უფლებამოსილი სპეციალური სუბიექტის სუბიექტისთვის, იმავდროულად არ წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიული პირის (შპს „...ი“) საქმიანობის განხორციელებას სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ დელეგირების ან დავალების საფუძველზე. არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსებისა და მკურნალობის განხორციელების უფლებას, კანონით დადგენილ შემთხვევებში სპეციალური სამკურნალო დაწესებულება მოიპოვებს მხოლოდ, სასამართლოსადმი მიმართვისა და მოსამართლის ბრძანების საფუძველზე და არა სახელმწიფო ორგანოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ შესაბამისი საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების დელეგირების ან დავალების საფუძველზე. ამდენად, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარმოადგენს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველს დავას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსნებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოს ეკისრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ წარმოადგენს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მეწარმე სუბიექტს, რომელიც კანონით დადგენილი წესით მიღებული ნებართვის საფუძველზე ახორციელებს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ჩ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამედიცინო საქმიანობას. მხოლოდ ის გარემოება, რომ შპს „...ის“ 100% წილის მესაკუთრე არის სახელმწიფო არ არის საკმარისი და გადამწყვეტი წინა პირობა კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის, ვინაიდან საამისოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის საგნის არსსა და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნა და შესაბამისად, სამართალურთიერთობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 20 მარტის ბრძანება არანებაცოფლობითი ფსიქიატრიული დახმარებისათვის პირის სტაციონარში მოთავსების შესახებ მხოლოდ საქმის ფაქტობრივ გარემოებას ადასტურებს, იგი არ წარმოადგენს დელეგირების საფუძველზე საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დამდგენ დოკუმენტს და მისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის

საფუძვლად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. მ-სა და შპს „...ს“ შორის წარმოშობილი დავა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რადგან მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა – არასათანადო სამედიცინო მომსახურების განევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, ემყარება სამოქალაქო კოდექსის 413-ე, 992-ე და 1005-ე მუხლებს და სამოქალაქო ანუ კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმეში მონაწილე მხარეთა სტატუსისა და მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წარმოდგენილი სარჩელით სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან და მოპასუხე არ არის საჯარო უფლებამოსილების განმახორციელებელი სუბიექტი, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მ. მ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

### **3. ტერიტორიული განსჯადობა**

#### **ა) განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების აღბილის მიხედვით**

##### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-342-342(გ-18)

7 ივნისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),**  
**ნ. სხირტლაძე,**  
**ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

##### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 16 მარტს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ 2017 წლის 27 ოქტომბრის სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ შპს „...“ შემომწმების აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 15 თებერვლის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 მარტის განჩინებით შპს „...“ სარჩელი მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმი-

ნისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სადავო შპს „...“ მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და მასთან დაკავშირებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტები. იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დაწესებულებები საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ნებაყოფლობით ერთვებიან და ამგვარად, პროგრამის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიან, სადავო აქტებიც სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებითაა გამოტანილი, რაც მეტყველებს მასზე, რომ დავის სასამართლო განსჯადობა ამ ვალდებულებების შესრულების ადგილის – რუსთავის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილზე, რომლის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაგზავნოდა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 მარტის განჩინებას და 2018 წლის 29 მარტის განჩინებით მოსარჩელე შპს „...“ სარჩელი, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომელიც განსაზღვრავს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

სასამართლოს სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 27 ოქტომბრის შპს „...“ №2017/27/10 შემონმების აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 15 თებერვლის №04/8819 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-16 მუხლებზე მითითებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არა სახელშეკრულებო დავა, არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, ხოლო მოპასუხედ დასახელებულია აქტის გამომცემი ორგანო. შესაბამისად, სარჩელი განხილული უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. სასამართლომ, ასევე, მიუთითა, რომ გასაჩივრებულ აქტებშიც სწორად არის მითითებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გასაჩივრების წესი.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ ტერიტორიულ განსჯადობასთან მიმართებით დადგენილ პრაქტიკაზე და აღნიშნა, რომ ვინაიდან გასაჩივრებულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 27 ოქტომბრის შპს „...“ №2017/27/10 შემონმების აქტი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 15 თებერვლის №04/8819 გადაწყვეტილება, ხოლო მოპასუხის ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, ... გამზირი №144, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით განსჯადი სასამართლო არის თბილისის საქალაქო სასამართლო ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ამასთან, სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 21 მარტის განჩინების შინაარსს, რომ სადავო აქტები სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობას უკავშირდებოდა და განმარტა, რომ მოსარჩელემ სადავოდ გახადა შემონმების აქტის კანონიერება, რომლითაც შერჩევითი შემონმების შედეგად გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებებისათვის მოსარჩელეს დაეკის-



რა საჯარიმო სანქცია – 388 491 ლარი. ამავე გადაწყვეტილებით მიჩნეულ იქნა, რომ იგი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და მითითებული იქნა მისი გასაჩივრების წესიც. მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2018 წლის 15 თებერვლის №04/8819 გადაწყვეტილების შინაარსი, რომლითაც შპს „...“ ადმინისტრაციული საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ბათილად იქნა ცნობილი სადავო აქტის 7.16, 7.31, 7.40, 7.44, 7.55, 7.58, 5.66, 7.69, 7.72, 7.86, 7.88, 7.94 პუნქტები და მათ საფუძველზე განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. შპს „...“ მიმართ დარჩენილმა საბოლოო ფინანსურმა ვალდებულებამ შეადგინა 347 572,79 ლარი.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „...“ სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო გამოცემული სადავო აქტების კანონიერება, კერძოდ, შპს „...“ სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება ზემოხსენებული პროგრამით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციათა ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის თანახმად, პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოციალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში ტექსტსა და დანართებში – განმახორციელებელი). ამავე პროგრამის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად კი, პროგრამის ფარგლებში შესაბამისი მომსახურების მიმწოდებელია პირი (შემდგომში – მიმწოდებელი), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით

დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში და წესით წერილობით დაუდასტურებს განმარტაციულ ელემენტებს პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმების საფუძველზე განმარტავს, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო, რომელიც ხსენებული პროგრამის მოსარგებლებზე მიწოდებას ახორციელებს სამედიცინო საქმიანობის განხორციელებაზე უფლებამოსილი სამართალსუბიექტების მეშვეობით, მათი უშუალო მონაწილეობით. საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღება სამედიცინო დაწესებულებებისათვის ნებაყოფლობითია და დამოკიდებულია მათ მიერ პროგრამაში მონაწილეობის სურვილის გაცხადებაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე შპს „...მა“, ნებაყოფლობით გამოხატა სურვილი და განაცხადა თანხმობა აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობაზე, რის საფუძველზეც პროგრამის მიზნებისათვის „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე შპს „...“ წარმოადგენს პროგრამის მიმწოდებელს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს ზემოხსენებული პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრულების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე ერთობლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმარტაციულ ელემენტებსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავისუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან.

ზემოხსენებული დანაწესის გათვალისწინებით საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილე მიმწოდებლების განსაზღვრა სსიპ სოციალური სააგენტოს მხრიდან ხდება არა ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ კონკურსის ჩატარების გზითა თუ შერჩევის სხვაგვარი ფორმებით, არამედ უშუალოდ მიმწოდებელ-

თა ნების გამოვლენით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელი (სამედიცინო დაწესებულება), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, წერილობითი დასტურის გაცხადებით ავტომატურად უერთდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა შეთანხმება. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს მიმწოდებელთა ნების გამოვლენის მნიშვნელობაზე მოცემული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ხსენებული ურთიერთობის წარმოშობა ხდება არა ცალმხრივად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეხედულებით, არამედ მხოლოდ ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო შეთანხმებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მითითებული შეთანხმება ორმხრივად გამოვლენილი ნების შედეგია, შესაბამისად, მიმწოდებლის (სამედიცინო დაწესებულების) მიერ სურვილის გამოხატვა და მასში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი დასტურის გაცხადება წარმოადგენს მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს.

სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობასთან მიმართებით საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების საკითხზე და აღნიშნავს, რომ დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან გათავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის პირობებშია შესაძლებელი, რადგანაც ხელშეკრულების არარსებობის დროს წარმოუდგენელია მხარეთა შორის რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებას ჰქონდეს ადგილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული დადგენილებით განსაზღვრული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებისაგან მხარეთა გათავისუფლებით, ფაქტობრივად, უკვე არსებულ შეთანხმებას ხელშეკრულებად მოიხსენიებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თე-

ბერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი შეთანხმებაში იმთავითვე მოიაზრებს მიმწოდებლის წერილობითი დასტურის საფუძველზე პროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომლის განუყოფელ ნაწილსაც თავად საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, მისი დანართები და თითოეული დანაწესი, აგრეთვე, მის უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური ერთობლივად წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შპს „...“, როგორც მიმწოდებლის მიერ გაცხადებული დასტურით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...“ შორის წარმოიშვა სახელშეკრულებო ურთიერთობა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე, რომლის განუყოფელ ნაწილსაც თავად ზემოხსენებული პროგრამა, მისი დანართები, მის უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტური წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ განისაზღვრება პროგრამაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობები, აგრეთვე, პროგრამის ზედამხედველობის სახეობები და ეტაპები შემთხვევათა ტიპების შესაბამისად და ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ზომის სახით გამოსაყენებელი სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციები, კერძოდ, პროგრამის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამის ზედამხედველობა მოიცავს პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანი შესრულების მიზნით, ხოლო ამავე პროგრამის მე-19 მუხლი კი, კონკრეტულად განსაზღვრავს იმ საჯარიმო სანქციებს, რომელიც მიმწოდებელს პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიების არაეფექტური შესრულების გამო ეკისრება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო

აქტების გამოცემას საფუძვლად დაედო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-19 მუხლი, კერძოდ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შემონმების შედეგად გამოვლენილი ყველა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახით გამოყენებულ იქნა ზემოხსენებული მუხლით დადგენილი საჯარიმო სანქციები, რაც მითითებულ გარემოებებთან ერთობლიობაში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა შპს „...“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანაწესებს უკავშირდება და მათგან გამომდინარეობს.

რაც შეეხება სადავო აქტების შემხებლობას მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანი უკავშირდება შპს „...“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასა თუ არაჯეროვან შესრულებას, გამომდინარე იქიდან, რომ სადავო აქტები გამოცემულია სწორედ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის საფუძველზე, შესაბამისად, აღნიშნული აქტების ბათილობის მოთხოვნით მოსარჩელე, ფაქტობრივად, სადავოდ ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულების ფაქტსაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან, სადავო აქტები გამოცემულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...“ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობით დადგენილი პირობების საფუძველზე, შესაბამისად, განსჯადობის წესების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ტერიტორიული განსჯადობის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრული ზოგადი წესი და მოცემულ დავაზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მხოლოდ სადავო აქტების გამოცემი ორგანოს, როგორც მოპასუხის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტიც და ის ადგილიც, სადაც ხელშეკრულების შესრულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხორციელდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესისა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი განსჯადობის სპეციალური წესის კონკურენციის დროს, განსახილ-

ველ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, უპირატესობა სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დანაწესებს უნდა მიენიჭოს, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში შპს „...“ სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.



**განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების  
ადგილის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-695-695(გ-18)

19 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**  
**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 25 მაისს შპს „...“ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ.

მოსარჩელემ შპს „...“ მიერ წარმოდგენილი, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გეგმიური ამბოლატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარჩევეებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი) შევსების მდგომარეობის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 22 დეკემბრის №2017/22/12/04 თემატური შემონმების აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 22 დეკემბრის №2017/22/12/04 თემატური შემონმების აქტით განსაზღვრული უკან დასაბრუნებელი თანხის ოდენობის კორექტირებისა და დარიცხული საჯარიმო სანქციების გაუქმების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 4 მაისის №04/25933 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა მოითხოვა.

ამავც სასარჩელო განცხადებით მოსარჩელემ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქმედების შეჩერების თაობაზე იშუამდგომლა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის განჩინებით შპს „...“ სარჩელი და

სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობა, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, ასევე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმადაც, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში სადავო შპს „...“ მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა და მასთან დაკავშირებით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ გამოცემული აქტები. იმის გათვალისწინებით, რომ სამედიცინო დაწესებულებები საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში ნებაყოფლობით ერთვებიან და ამგვარად, პროგრამის განმახორციელებელ სახელმწიფო ორგანოსთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში შედიან, სადავო აქტებიც სახელშეკრულებო ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებითაა გამოტანილი, რაც მეტყველებს მასზე, რომ დავის სასამართლო განსჯადობა ამ ვალდებულებების შესრულების ადგილის – ბათუმის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

სასამართლოს მითითებით, „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. დასახელებული გადაწყვეტილე-

ბის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამავე მუხლის მესამე ნაწილით კი განსაზღვრულია ბათუმის საქალაქო სასამართლოში შექმნილი სპეციალიზებული სასამართლო კოლეგიები: ა) სამოქალაქო საქმეთა კოლეგია; ბ) სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგია; გ) ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ იმ მომენტიდან, როდესაც სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილი სასამართლოს ავალდებულებს, საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსგან, საქმის განსჯადობას ამონიშნავს მხარის მოთხოვნის გარეშე, თავისი ინიციატივით და ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, წარედგინა თუ არა სარჩელი იმ სასამართლოს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება (ტერიტორიული, საგნობრივი, უწყებრივი) ამ საქმის განხილვისა.

ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს „...“ სარჩელი მოპასუხე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, შპს „...“ მიერ წარმოდგენილი, საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, გეგმური ამბოლატორიული მომსახურების მისაღებად რეგისტრირებულ მოსარგებლებზე თანხმობის ფორმის (მკაცრი აღრიცხვის ბლანკი) შევსების მდგომარეობის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 22 დეკემბრის №2017/22/12/04 თემატური შემონიშნების აქტისა და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 22 დეკემბრის №2017/22/12/04 თემატური შემონიშნების აქტით განსაზღვრული უკან დასაბრუნებელი თანხის ოდენობის კორექტირებისა და დარიცხული საჯარიმო სანქციების გაუქმების მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2018 წლის 4 მაისის №04/25933 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით და სარჩელის უზრუნველყოფის შუამდგომლობა გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების მოქ-

მედების შეჩერების შესახებ განსახილველად უნდა გადაგზავნო- და განსჯად – ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაცი- ულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ მიუთითა, რომ ასეთ შემ- თხვევაში, საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით დაცული იქნებოდა მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის, საქ- მის სწრაფად განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი.

ბათუმის საქალაქო სასამართლო არ დაეთანხმა თბილისის სა- ქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 28 მაისის განჩინებას და 2018 წლის 1 ივნისის განჩინებით მოსარჩელე შპს „...“ სარჩელი, მოპასუხე სსიპ სოციალური მომსა- ხურების სააგენტოს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადა- სანყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში, შპს „...“ სასარჩელო განცხადებით დავის საგანს წარ- მოადგენს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს 2017 წლის 22 დეკემბრის №2017/22/12/04 თემატური შემომნების აქტის და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორის 2015 წლის 4 ივნისის №04-16/ო ბრძანებით შექმნილი „საყოველთაო ჯან- მრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ პირობების შესრუ- ლების კონტროლის შედეგებზე მიმწოდებლების მხრიდან წარმოდ- გენილი ადმინისტრაციული საჩივრების განმხილველი ორგანოს (კომისიის) 2018 წლის 4 მაისის №04/25933 გადაწყვეტილების ბა- თილად ცნობა.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს შრომის, ჯანმრთე- ლობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის №190/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდი- ული პირის სოციალური მომსახურების სააგენტოს დირექტორი სა- აგენტოს საქმიანობასთან დაკავშირებით გამოსცემს ინდივიდუა- ლურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, აუქმებს ან ცვლის მოადგილეების ან სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტო- რიული ორგანოების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოში სარჩელი აღძრული იყო არა საქარ- თველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25<sup>1</sup> მუხლის სა- ფუძველზე, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცე- სო კოდექსის 22-ე და 32-ე მუხლების საფუძველზე. შესაბამისად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს განმარტებით, დავის საგანს წარმოადგენს არა ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, არამედ ინდივიდუალური ადმინისტრა- ციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონ- მდებლობასთან (მოსარჩელისათვის საჯარიმო სანქციების დაკის-

რება განხორციელდა საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში).

ბათუმის საქალაქო სასამართლომ მიუთითა სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების მე-6 პუნქტზე, რომლის თანახმად, სააგენტოს იურიდიული მისამართია – ქ. თბილისი, ...-ის გამზირი №144. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, სასამართლომ აღნიშნა, რომ ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ადგილსამყოფელია ქ. თბილისი, შესაბამისად, მოცემულ დავაზე განსჯადი სასამართლო არის თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ბათუმის საქალაქო სასამართლომ, აგრეთვე, მიიჩნია, რომ შპს „...ის“ შუამდგომლობა სადავო აქტების შეჩერების შესახებ, განხილული უნდა იქნეს საკასაციო სასამართლოს მიერ სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის შემდეგ განსჯადი სასამართლოს მიერ.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიიჩნევს, რომ შპს „...ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგი-

ნოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო გამოცემული სადავო აქტების კანონიერება, კერძოდ, შპს „...ის“ სასარჩელო მოთხოვნა უკავშირდება ზემოხსენებული პროგრამით გათვალისწინებულ საჯარიმო სანქციათა ბათილად ცნობას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი მოიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სადავო აქტების გამოცემის მომენტისათვის მოქმედი რედაქციით, „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-3 მუხლის თანახმად, პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

ტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ – სოცი-  
ალური მომსახურების სააგენტო (შემდგომში ტექსტსა და დანარ-  
თებში – განმახორციელებელი). ამავე პროგრამის მე-4 მუხლის პირ-  
ველი პუნქტის თანახმად კი, პროგრამის ფარგლებში შესაბამისი  
მომსახურების მიმწოდებელია პირი (შემდგომში – მიმწოდებელი),  
რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით  
დადგენილ მოთხოვნებს, გამოთქვამს პროგრამაში მონაწილეობის  
სურვილს, ეთანხმება ვაუჩერის პირობებს და დადგენილ ვადაში  
და წესით წერილობით დაუდასტურებს განმახორციელებელს  
პროგრამაში მონაწილეობის სურვილს.

საკასაციო სასამართლო მითითებული ნორმების საფუძველზე  
განმარტავს, რომ საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწი-  
ფო პროგრამის განხორციელებას უზრუნველყოფს სსიპ სოციალუ-  
რი მომსახურების სააგენტო, რომელიც ხსენებული პროგრამის მო-  
სარგებლეებზე მიწოდებას ახორციელებს სამედიცინო საქმიანო-  
ბის განხორციელებაზე უფლებამოსილი სამართალსუბიექტების  
მეშვეობით, მათი უშუალო მონაწილეობით. საყოველთაო ჯანმრთე-  
ლობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის მიღება  
სამედიცინო დანესებულებებისათვის ნებაყოფლობითია და დამო-  
კიდებულია მათ მიერ პროგრამაში მონაწილეობის სურვილის გაც-  
ხადებაზე. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემ-  
თხვევაში მოსარჩელე შპს „...მა“ ნებაყოფლობით გამოხატა სურვი-  
ლი და განაცხადა თანხმობა აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეო-  
ბაზე, რის საფუძველზეც პროგრამის მიზნებისათვის „საყოველ-  
თაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხ-  
ლის პირველი პუნქტის საფუძველზე შპს „...ი“ წარმოადგენს პროგ-  
რამის მიმწოდებელს.

საკასაციო სასამართლო ხაზგასმით მიუთითებს ზემოხსენებუ-  
ლი პროგრამის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ეს  
პროგრამა და თანდართული დანართები, ამავე პროგრამის შესრუ-  
ლების უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებ-  
რივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავში-  
რებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერი-  
ლობითი დასტური პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე ერთობ-  
ლივად წარმოადგენს შეთანხმებას პროგრამის განმახორციელე-  
ბელსა და მიმწოდებელს შორის და შესაბამისად, მხარეები თავი-  
სუფლდებიან რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების  
ვალდებულებისაგან.

ზემოხსენებული დანაწესის გათვალისწინებით საკასაციო სა-  
სამართლო განმარტავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადას-  
ვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ სა-



ქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებულ „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამაში“ მონაწილე მიმწოდებლების განსაზღვრა სსიპ სოციალური სააგენტოს მხრიდან ხდება არა ცალმხრივად, საკუთარი შეხედულებისამებრ კონკურსის ჩატარების გზითა თუ შერჩევის სხვაგვარი ფორმებით, არამედ უშუალოდ მიმწოდებელთა ნების გამოვლენით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მიმწოდებელი (სამედიცინო დაწესებულება), რომელიც აკმაყოფილებს ამ საქმიანობისათვის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, წერილობითი დასტურის გაცხადებით ავტომატურად უერთდება საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამას, რის საფუძველზეც მხარეთა შორის წარმოიშობა შეთანხმება. ყოველივე ზემოთქმული მიუთითებს მიმწოდებელთა ნების გამოვლენის მნიშვნელობაზე მოცემული ურთიერთობის ჩამოყალიბებაში და ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ხსენებული ურთიერთობის წარმოშობა ხდება არა ცალმხრივად, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შეხედულებით, არამედ მხოლოდ ორმხრივი ნების გამოვლენის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო შეთანხმებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ მითითებული შეთანხმება ორმხრივად გამოვლენილი ნების შედეგია, შესაბამისად, მიმწოდებლის (სამედიცინო დაწესებულების) მიერ სურვილის გამოხატვა და მასში მონაწილეობის თაობაზე წერილობითი დასტურის გაცხადება წარმოადგენს მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველს.

სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობასთან მიმართებით საკასაციო სასამართლო დამატებით მიუთითებს „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან მხარეთა გათავისუფლების საკითხზე და აღნიშნავს, რომ დამატებითი ხელშეკრულების გაფორმების ვალდებულებისაგან გათავისუფლება მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის პირობებშია შესაძლებელი, რადგანაც ხელშეკრულების არარსებობის დროს წარმოუდგენელია მხარეთა შორის რაიმე დამატებითი ხელშეკრულების გაფორმებას ჰქონდეს ადგილი. ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მითითებული დადგენილებით განსაზღვრული საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა დამატებითი ხელშეკ-

რულების გაფორმებისაგან მხარეთა გათავისუფლებით, ფაქტობრივად, უკვე არსებულ შეთანხმებას ხელშეკრულებად მოიხსენიებს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის დანაწესი შეთანხმებაში იმთავითვე მოიაზრებს მიმწოდებლის წერილობითი დასტურის საფუძველზე პროგრამის მიმწოდებელსა და განმახორციელებელს შორის იმ სახელშეკრულებო ურთიერთობის ჩამოყალიბებას, რომლის განუყოფელ ნაწილსაც თავად საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამა, მისი დანართები და თითოეული დანაწესი, აგრეთვე, მის უზრუნველსაყოფად გამოცემული შესაბამისი სამართლებრივი აქტები, ასევე სამედიცინო ვაუჩერის პირობებთან დაკავშირებული სხვა მარეგულირებელი აქტები და მიმწოდებლის წერილობითი დასტურით ერთობლივად წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ შპს „...“, როგორც მიმწოდებლის მიერ გაცხადებული დასტურით სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...“ შორის წარმოიშვა სახელშეკრულებო ურთიერთობა საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „საყოველთაო ჯანდაცვაზე გადასვლის მიზნით გასატარებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 21 თებერვლის №36 დადგენილებით დამტკიცებული „საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამით“ განისაზღვრება პროგრამაში მონაწილე სუბიექტების უფლება-მოვალეობები, აგრეთვე, პროგრამის ზედამხედველობის სახეობები და ეტაპები შემთხვევათა ტიპების შესაბამისად და ზედამხედველობის ნებისმიერ ეტაპზე გამოვლენილი დარღვევებისათვის პასუხისმგებლობის ზომის სახით გამოსაყენებელი სხვადასხვა ტიპის საჯარიმო სანქციები, კერძოდ, პროგრამის მე-9 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, პროგრამის ზედამხედველობა მოიცავს პროგრამის განხორციელებაზე ზედამხედველობას პროგრამით განსაზღვრული ღონისძიებების ეფექტიანი შესრულების მიზნით, ხოლო ამავე პროგრამის მე-19 მუხლი კი, კონკრეტულად განსაზღვრავს იმ საჯარიმო სანქციებს, რომელიც მიმწოდებელს პროგრამით განსაზღვრული კონკრეტული ღონისძიების არაეფექტური შესრულების გამო ეკისრება.

ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ სადავო აქტების გამოცემას საფუძვლად დაედო საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამის მე-19 მუხლი, კერძოდ, ყოველი კონკრეტული შემთხვევის შემონმების შედეგად გამოვლენილი ყველა დარღვევისათვის პასუხისმგებლობის სახით გამოყენებულ იქნა ზემოხსენებული მუხლით დადგენილი საჯარიმო სანქციები, რაც მითითებულ გარემოებებთან ერთობლიობაში ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ გამოყენებული პასუხისმგებლობის ზომა შპს „...“ და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანაწესებს უკავშირდება და მათგან გამომდინარეობს.

რაც შეეხება სადავო აქტების შემხებლობას მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს შეფასებას და მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი უკავშირდება შპს „...“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობასა თუ არაჯეროვან შესრულებას, გამომდინარე იქიდან, რომ სადავო აქტები გამოცემულია სწორედ მიმნოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის საფუძველზე, შესაბამისად, აღნიშნული აქტების ბათილობის მოთხოვნით მოსარჩელე, ფაქტობრივად, სადავოდ ხდის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვანი შესრულების ფაქტსაც.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან სადავო აქტები გამოცემულია სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს „...ს“ შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობით დადგენილი პირობების საფუძველზე, შესაბამისად, განსჯადობის წესების განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს არა მხოლოდ ტერიტორიული განსჯადობის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრული ზოგადი წესი და მოცემულ დავაზე განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს არა მხოლოდ სადავო აქტების გამომცემი ორგანოს, როგორც მოპასუხის ადგილმდებარეობის გათვალისწინებით, არამედ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, აგრეთვე, მხარეთა შორის სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობის ფაქტიც და ის ადგილიც, სადაც ხელშეკრულების შესრულება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ხორციელდებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით დადგენილი ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი წესისა და ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი

განსჯადობის სპეციალური წესის კონკურენციის დროს, განსახილველ შემთხვევაში დადგენილი ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლების გათვალისწინებით, უპირატესობა სწორედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის დანაწესებს უნდა მიენიჭოს, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების თანახმად, ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ბათუმისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში შპს „...“ სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

ამასთან, საკასაციო სასამართლო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე განცხადებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება წარმოადგენს, ერთი მხრივ, სასამართლოს მიერ აღიარებული უფლების განხორციელების გარანტს, ხოლო, მეორე მხრივ, მონინალმდეგე მხარის უფლების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს. შესაბამისად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების საკითხზე მსჯელობისას, სასამართლო უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, რომ აღნიშნული საპროცესო ღონისძიების გატარების გარეშე შეუძლებელი გახდება ან მნიშვნელოვნად გაართულებება დავის განხილვის სამართლებრივი შედეგის – გადაწყვეტილების აღსრულება. მოცემულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს განხილვის საგანია მხოლოდ სასამართლოთა შორის განსჯადობის და-

ვის გადაწყვეტა. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი ადგენს არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლოს ვალდებულებას სარჩელი გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობოს მოსარჩელეს, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. განსჯადობა განსაზღვრავს უფლებამოსილებას სასამართლოებს შორის და ნიშნავს სასამართლოთა შორის საქმეების განაწილების წესს, ანუ იმ კონკრეტული სასამართლოს დადგენას, რომელმაც უნდა გადაწყვიტოს მოცემული საქმე. განსჯადობის ეტაპზე სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გადაწყვეტა არ შედის საკასაციო სასამართლოს კომპეტენციაში, სასამართლოთა შორის განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის ეტაპზე საკასაციო სასამართლო მოკლებულია შესაძლებლობას იმსჯელოს გასაჩივრებული აქტების მიერ მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანის ხარისხსა და შედეგებზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, განცხადებას სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტს ამ სარჩელის განმხილველი სასამართლო, შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „...“ განცხადება გასაჩივრებული აქტების მოქმედების შეჩერების შესახებ განხილულ უნდა იქნეს სარჩელის განმხილველი განსჯადი სასამართლოს მიერ.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.3, 29-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 193-ე, 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „...“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ შპს „...ის“ განცხადება განსახილველად გადაეგზავნოს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
3. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-813(გ-18)

26 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 15 ივნისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ზ. ზ-ის მიმართ.

მოსარჩელემ მოპასუხისათვის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს (სახელმწიფო ბიუჯეტის) სასარგებლოდ 3 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 ივნისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხის – ზ. ზ-ის მიმართ, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თელავის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზ-

ღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი). ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ საქმეში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ზ. ზ-ი, რომლის მისამართია: თელავის რაიონი, სოფელი ... .

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

თელავის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 3 ივლისის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული დახმარების მიზნით პირის სტაციონარში მოთავსების საქმე და „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებუ-



ლი პირის არანებაცყოფლობითი იზოლაციის საქმე. ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. აღნიშნული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვას, რაც კანონმდებლობის თანახმად, იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველი ხდება.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის წესები. მოცემული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. არასასარჩელო წარმოების დროს განსჯადობა განისაზღვრება იმ პირის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, რომლის წინააღმდეგაც მიმართულია განცხადება (საჩივარი).

ამასთან, სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-მე-19<sup>1</sup> მუხლებით რეგლამენტირებულია განსჯადობის სპეციალური წესები. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი არეგულირებს განსაკუთრებული განსჯადობის წესს. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულდებოდა, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხ-

ლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით.

სასამართლომ განმარტა, რომ წარმოდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების თანახმად, დავა წარმოშობილია და გამომდინარეობს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებიდან. საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ზ-ს შორის 2016 წლის 14 მარტს დადებული კონტრაქტი №1527/16 „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემული კონტრაქტი წარმოადგენს ხელშეკრულებას, რომლითაც განისაზღვრა მხარეებს შორის კონტრაქტის საგანი, ვადა, მხარეთა უფლებები და ვალდებულებები კონტრაქტის შესრულების პირობები, რაზედაც შეთანხმდნენ მხარეები.

სასამართლომ მიუთითა აღნიშნული კონტრაქტის მე-3 მუხლის 3.1. პუნქტზე, რომლის თანახმად, სამხედრო მოსამსახურე ვალდებულია იმსახუროს ამ კონტრაქტის მოქმედების ვადის განმავლობაში.

სასამართლოს მითითებით, ამავე კონტრაქტის მე-7 მუხლში განსაზღვრულია მხარეთა პასუხისმგებლობის პირობები, რომლის 7.3. პუნქტის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე ამ კონტრაქტის მოქმედების მეორე ეტაპის განმავლობაში, ხოლო მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურე მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ვადამდე იქნება დათხოვნილი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურის პირველი ორი წლის გასვლის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძვლით, რომელიც კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ითვალისწინებს ფინანსური პასუხისმგებლობის წარმოშობას, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში აუნაზღაუროს სამინისტროს ჯარიმის სახით სამი ათასი ლარი.

აღნიშნული კონტრაქტის მე-9 მუხლის 9.1.7. პუნქტის თანახმად, კონტრაქტი შეიძლება ვადამდე შეწყდეს პირადი განცხადებით (პატაკით). ამავე კონტრაქტის მე-8 მუხლის 8.4. პუნქტის თანახმად, სასამართლოში მიმართვის შემთხვევაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილიდან და სხვა დანაწე-

სიდან გამომდინარე, მხარეები თანხმდებიან, რომ ამ კონტრაქტიდან გამომდინარე „სამხედრო მოსამსახურის“ წინააღმდეგ აღძრული დავების განხილვის განსაკუთრებული განსჯადობა სამინისტროს არჩევანის მიხედვით, გააჩნია იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება: 8.4.1. სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფლის) მიხედვით); 8.4.2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით, როგორც ამ კონტრაქტის შესრულების ერთ-ერთი ადგილის მიხედვით; 8.4.3. სამხედრო მოსამსახურის რეგისტრაციის ადგილის მიხედვით.

სასამართლომ განმარტა, რომ მხარეებს შორის კონტრაქტი გაფორმდა ქ. თბილისში, ხოლო კონტრაქტის, ანუ ხელშეკრულების შესრულების ადგილს – სადაც ბოლოს მსახურობდა მოპასუხე, წარმოადგენს შეიარაღებული ძალების სახმელეთო ჯარების აღმოსავლეთ სარდლობის პირველი ქვეითი ბრიგადის მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის დისლოკაციის ადგილი. მოპასუხის წერილობითი პატიაკით და შეტყობინების თანახმად, ირკვევა, რომ მოპასუხემ დაარღვია კონტრაქტის პირობები. მხარეთა შორის დავა წარმოშობილია სწორედ მოცემული კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო. კონტრაქტის შესრულების ადგილს და ბოლო სამსახურს კი წარმოადგენს ქ. მცხეთაში მდებარე სამხედრო ნაწილი. მოსარჩელემ კონტრაქტიდან გამომდინარე დავის განსახილველად, მხარეთა წერილობითი შეთანხმების თანახმად, აირჩია და მიმართა იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის მიხედვით, სადაც უნდა შესრულებულიყო კონტრაქტი და სადაც იქნა დარღვეული საკონტრაქტო პირობები.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, სასამართლოს მიერ საქმის განხილვა უნდა მოხდეს არა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საერთო, ზოგადი განსჯადობის წესის მიხედვით, არამედ, განსჯადობის სპეციალური წესების საფუძველზე. შესაბამისად, თელავის რაიონული სასამართლო არ იყო უფლებამოსილი, განეხილა მოცემული სარჩელი. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული სარჩელი და ადმინისტრაციული საქმე ტერიტორიული განსჯადობის წესით განსახილველად ექვემდებარება მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მცხეთის რაიონული სასამართლოსა და თელავის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-და-

საბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხის – ზ. ზ-ის მიმართ, რომლითაც მოსარჩელე „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ 2016 წლის 14 მარტის კონტრაქტის საფუძველზე მოპასუხისათვის კონტრაქტის პირობების დარღვევის – კონტრაქტის ვადამდე პირადი განცხადებით (პატაკით) შეწყვეტისათვის გათვალისწინებული ჯარიმის – 3000 (სამი ათასი) ლარის დაკისრებას ითხოვს. კერძოდ, ზემოაღნიშნული კონტრაქტის მე-7 მუხლში განსაზღვრულია მხარეთა პასუხისმგებლობის პირობები, რომლის 7.3. პუნქტის თანახმად, თუ სამხედრო მოსამსახურე ამ კონტრაქტის მოქმედების მეორე ეტაპის განმავლობაში, ხოლო მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული სამხედრო მოსამსახურე მე-3 მუხლის 3.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ვადამდე იქნება დათხოვნილი საკონტრაქტო სამხედრო სამსახურიდან სამხედრო სამსახურის პირველი ორი წლის გასვლის პერიოდში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ საფუძვლით, რომელიც კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში ითვალისწინებს ფინანსური პასუხისმგებლობის წარმოშობას, სამხედრო მოსამსახურე უპირობოდ ხდება ვალდებული, კონტრაქტის შეწყვეტიდან 10 დღის ვადაში აუნაზღაუროს სამინისტროს ჯარიმის სახით 3 000 (სამი ათასი) ლარი.

დადგენილია, რომ მოპასუხე ზ. ზ-ის საცხოვრებელ ადგილს თელავის რაიონი, სოფელი ... წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯა-

დობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავ-ში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სა-მოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16-19<sup>1</sup> მუხლებით დადგენი-ლია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექ-სის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მი-მართებით ექსკლუზიური (გამომრიცხველი) ხასიათისაა. განსჯადობის სპეციალური წესების ამგვარი ხასიათი გულისხმობს იმას, რომ განსჯადობის საერთო და სპეციალურ წესებს შორის კონკუ-რენციის შემთხვევაში, ცალსახა უპირატესობა სწორედ სპეციალუ-რი წესების დამდგენ ნორმებს უნდა მიენიჭოს და ტერიტორიულად განსჯადი სასამართლო, განსჯადობის საერთო წესების გამორიც-ხვით, სწორედ აღნიშნული ნორმების საფუძველზე უნდა განისაზ-ღვროს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვე-ვაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ზ. ზ-ს შორის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავა ადმინისტრაციული ხელ-შეკრულების პირობების დარღვევის, მისი ვადამდე შეწყვეტის სა-ფუძველზე იქნა წარმოშობილი, რის გამოც, მოცემული სადავო სა-მართალურთიერთობა, მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხის მიმართ, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას უკავშირდება და მისგან გა-მომდინარეობს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამო-ქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი განსაზღვრავს განსა-კუთრებულ განსჯადობას, რომლის მე-2 ნაწილის თანახმად, ხელ-შეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედ-გინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მი-ხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, გარდა ამ მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ „საკონტრაქტო (პრო-ფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მი-ერ, სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ 2016 წლის 14 მარტის

კონტრაქტის შესრულება მოპასუხის მიერ სამხედრო საქმიანობის განხორციელებას უკავშირდებოდა. ამასთან, კონტრაქტის შეწყვეტის მომენტიდან მოპასუხე ზ. ზ-ის სამხედრო სამსახურის, ანუ ხელშეკრულების შესრულების ბოლო ადგილს ქალაქ მცხეთაში მდებარე სამხედრო ნაწილი წარმოადგენდა.

საკასაციო სასამართლო თელავის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე მითითებასთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ ხსენებული მუხლი განსჯადი სასამართლოს მოსარჩელის მიერ არჩევის შესაძლებლობას იძლევა. კერძოდ, აღნიშნული მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო ზემოხსენებულ მუხლთან მიმართებით განმარტავს, რომ მოსარჩელე სასამართლოს არჩევის უფლებით აღიჭურვება იმ შემთხვევაში, როდესაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით კონკრეტული სადავო სამართალურთიერთობის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოდ რამდენიმე სასამართლო განისაზღვრება. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასამართლოს არჩევის უფლება მოსარჩელეს იმ ვითარებაში წარმოეშობა, როდესაც საერთო (ზოგადი) ან სპეციალური განსჯადობის წესების ურთიერთშეპირისპირების შედეგად ერთი და იმავე საფუძველზე ან ერთგვაროვნად, თანაბრად სპეციალური წესების საფუძველზე განსჯადად რამდენიმე სასამართლო დადგინდება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული სასამართლოს არჩევის უფლება არ არსებობს განსჯადობის საერთო და სპეციალური წესების კონკურენციისას აღნიშნული წესებით განსაზღვრულ სასამართლოებს შორის, რადგანაც სპეციალური წესები ასეთ ვითარებაში ექსკლუზიურ ხასიათს იძენს და გამოირიცხავს განსჯადობის საერთო წესებით განსჯადი სასამართლოს დადგენის შესაძლებლობას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ თელავის რაიონულმა სასამართლომ შედეგობრივად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო, დაუსაბუთებელია მისი მითითება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე, რადგანაც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობის წესებსა და მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილ სპეციალური განსჯადობის წესებს შორის კონკურენციის არსებობით გამოირიცხება მოსარჩელის მიერ სასამართლოს

არჩევის მიმართ ნების გამოხატვის შესაძლებლობა. კერძოდ, განსაკუთრებული განსჯადობის გამოყენებული წესი მოცემულ სადავო ურთიერთობასთან მიმართებით იმპერატიულად, ყოველგვარი ალტერნატივის გარეშე განსაზღვრავს განსჯად სასამართლოს, რაც სამართლებრივად უსაფუძვლოს, დაუსაბუთებელს ხდის მოსარჩელის მიერ მე-15 მუხლის საფუძველზე სასამართლოსათვის მიმართვას და, შესაბამისად, გამოორიცხავს ასეთ ვითარებაში სასამართლოს არჩევის უფლების არსებობას. ამდენად, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი განსაკუთრებული განსჯადობის, როგორც განსჯადობის სპეციალური წესის გამოყენების საფუძველზე განსჯად სასამართლოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის – ქალაქ მცხეთის გათვალისწინებით, მცხეთის რაიონული სასამართლო წარმოადგენს.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს № 1/150-2007 გადაწყვეტილების შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 30.2 მუხლის თანახმად, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ დავაში განსჯადი სასამართლოს დადგენა არა მხარეთა წერილობითი თუ სხვაგვარი შეთანხმებით, არამედ საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული წესების გამოყენებით ხორციელდება. საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ



სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი განსჯადობის სპეციალური ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლი კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა, რომელიც დამყარებულია მხარეთა თავისუფალ ნებაზე, შეთანხმების გზით დაადგინონ განსჯადი სასამართლო. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით და მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლოს ოქმში.

მითითებულ სამართლებრივ საფუძვლებზე დაყრდნობით, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებათა გამოყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობით კონკრეტული საკითხის განუსაზღვრელობის შემთხვევაშია შესაძლებელი. განსახილველ შემთხვევასთან მიმართებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილით იმპერატიულად არის დადგენილი საქმის განსჯად სასამართლოში წარდგენის აუცილებლობა, ხოლო რამდენადაც სადავო ადმინისტრაციული სამართალური თიერთობის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლოს დადგენა

საპროცესო კანონმდებლობით განსაზღვრული განსჯადობის წესების გამოყენებით ხორციელდება, განსჯადი სასამართლო მხარეთა ნების შესაბამისად, მათი ურთიერთშეთანხმებით განსაზღვრას ვერ დაექვემდებარება.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებთან მიმართებით განსჯადი სასამართლოს განსაზღვრისას, ერთი მხრივ, მხედველობაში არ უნდა იქნეს მიღებული მხარეთა შეთანხმება სასამართლოს განსჯადობაზე და აღნიშნულის დადგენა ყოველთვის საპროცესო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს, ხოლო, მეორე მხრივ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოპასუხე თანახმაა საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ, ადმინისტრაციული სასამართლოსთვის ეს თანხმობა არ უნდა იყოს რელევანტური. ამდენად, შედეგობრივად განსჯადი სასამართლოს მართებულად განსაზღვრის მიუხედავად, დაუსაბუთებელი და სამართლებრივ საფუძველს მოკლებულია თელავის რაიონული სასამართლოს მხრიდან საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლით განსაზღვრულ განსჯადობის შესახებ შეთანხმებაზე მითითება და აღნიშნული ნორმის ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაზე გავრცელება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა სამხედრო სამსახურთან კონტრაქტით  
ბათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების  
შესრულების აღბილის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-621-621(გ-18)

08 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონულ სასამართლო-სა და გურჯაანის რაიონულ სასამართლოს შორის წარმოშობილი დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 26.04.2018წ. სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე ლ. ბ-ის მიმართ მოპასუხისათვის საჯარიმო თანხის – 3 000 ლარის ანაზღაურების დავალების მოთხოვნით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და სამხედრო მოსამსახურე ლ. ბ-ს შორის 28.01.2016წ. გაფორმდა სამხედრო სამსახურის გავლის თაობაზე ხელშეკრულება, რომლითაც სამხედრო მოსამსახურე იღებდა ვალდებულებას 4 წლის ვადით კეთილსინდისიერად ემსახურა თავდაცვის სამინისტროში. 19.06.2017წ. ლ. ბ-ა პირადი პატაკის საფუძველზე მოითხოვა კონტრაქტის ვადამდე შეწყვეტა, რაც დაკმაყოფილდა და გენერალური შტაბის უფროსის 03.07.2017წ. ბრძანებით ლ. ბ-ი გათავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან. კონტრაქტის მიხედვით, მისი ვადამდე შეწყვეტა იწვევდა სამხედრო მოსამსახურის დაჯარიმებას 3000 ლარის ოდენობით. ლ. ბ-ი დაუსაბუთებლად არიდებს თავს აღნიშნული თანხის სამინისტროსათვის ანაზღაურებას.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 30.04.2018წ. განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა გურჯაანის რაიონულ სასამართლოს. მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიუ-

თითა სსკ-ის მე-15 მუხლზე და აღნიშნა, რომ სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოპასუხე ლ. ბ-ის მისამართია: ყვარელი, სოფ. ..., ამდენად, სარჩელი წარედგინილი უნდა ყოფილიყო გურჯაანის რაიონულ სასამართლოში.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 21.05.2018წ. განჩინებით, განსჯადობის საკითხზე დავის გადაწყვეტის მიზნით, ადმინისტრაციული საქმე საქართველოს უზენაეს სასამართლოს გადაეგზავნა.

სასამართლომ სსკ-ის 16.2 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანია სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო ლ. ბ-ისათვის ჯარიმის – 3000 ლარის დაკისრება. ხელშეკრულების მიხედვით, მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამხედრო მოსამსახურის წინააღმდეგ აღძრული დავების განხილვა მოხდება განსაკუთრებული განსჯადობის წესით სამინისტროს არჩევანის მიხედვით, რა დროსაც უპირატესობა გააჩნია იმ სასამართლოს, რომელიც იმყოფება სამხედრო მოსამსახურის ბოლო სამსახურის ადგილის (სამხედრო ნაწილის ადგილსამყოფლის) მიხედვით. საქმის მასალებით დგინდება, რომ ბატალიონის დისლოკაციის ადგილია: ქ. მცხეთა, ... № ... .

სასამართლომ აღნიშნა, რომ სსკ-ის მე-15 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესი ზოგადია და ვრცელდება ყველა ორდინალურ შემთხვევაზე, თუ სახეზე არ არის განსაკუთრებული შემთხვევა, ასეთ დროს მოქმედებს დადგენილი საგამონაკლისო წესი. სახელშეკრულებო დავების დროს განსჯად სასამართლოდ მიიჩნევა ის სასამართლო, რომლის იურისდიქციის გავრცელების ტერიტორიაზეც შესრულდა ან უნდა შესრულდეს ხელშეკრულება. სამხედრო სამსახური გულისხმობს საქმიანობას ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორიაზე, ასევე მის ფარგლებს გარეთაც, თუმცა მნიშვნელოვანია მოპასუხის სამსახურის ბოლო ადგილმდებარეობა. საქმის მასალების მიხედვით ლ. ბ-ი მსახურობდა ქ. მცხეთაში, საწინააღმდეგო გარემოების შესახებ საქმეში მითითება არ არის, ამდენად, სწორედ ამ ტერიტორიაზე შესრულდებოდა ხელშეკრულება ვადამდე რომ არ შეწყვეტილიყო. ამასთანავე, მართალია, როდესაც განსჯადობა უდავოა, მხარეებს არ შეუძლიათ დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა შეთანხმების საფუძველზე, თუმცა, განსახილველ შემთხვევაში, ხელშეკრულებაში ასახული დებულება არის არა შეთანხმება განსჯადობაზე, არამედ დამატებითი არგუმენტი იმის ხაზგასასმელად, რომ სახეზეა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით

ბიდან გამომდინარე სახელშეკრულებო დავა, რომელიც განხილულ უნდა იქნეს განსაკუთრებული განსჯადობის წესების დაცვით.

სასამართლომ მიიჩნია, რომ დავის განსჯადობის ზოგადი წესის დაცვით განხილვის შემთხვევაშიც, საქმე არ არის გურჯაანის რაიონული სასამართლოს განსჯადი, რადგან მოპასუხის სამსახური მიიჩნევა საჯარო სამსახურად, ხოლო საჯარო სამსახურში შრომითი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავასთან დაკავშირებულ საქმეებს განიხილავენ მაგისტრატი მოსამართლეები (სასკ-ის მე-6 მუხ. „ე“ ქვ.პ.). ამდენად, განსჯადობის საერთო წესების მიხედვით დავის განხილვის შემთხვევაშიც, დავის გადაწყვეტაზე უფლებამოსილი იქნება მაგისტრატი სასამართლო მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით – ყვარლის მაგისტრატი სასამართლო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონული სასამართლოს და გურჯაანის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება მცხეთის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, კონკრეტული დავის თავისებურებები. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთ-

ვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა, გარკვეული კატეგორიის დავების თავისებურებებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს განსჯადობის არაერთ სპეციალურ წესს.

განსახილველ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნას შეადგენს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო კონტრაქტით გათვალისწინებული ჯარიმის მოპასუხისათვის დაკისრება. ადმინისტრაციული საქმეების ტერიტორიული განსჯადობა წესრიგდება სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით, კერძოდ, სასკ-ის მე-15-24-ე მუხლებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი ცალკე არ აწესრიგებს ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეების ტერიტორიულ განსჯადობას. საერთო წესის თანახმად, ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. ამდენად, ტერიტორიული განსჯადობა უმეტესად წყდება მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით. სსკ-ის მე-16-19<sup>1</sup> მუხლებით დადგენილია განსჯადობის სპეციალური წესები, რომელიც ამავე კოდექსის მე-15 მუხლით განსაზღვრულ საერთო განსჯადობასთან მიმართებით ექსკლუზიური (გამომრიცხავი) ხასიათისაა, რაც გულისხმობს სპეციალური წესის დამდგენი ნორმების უპირატესობის მიჩნეობით განსჯადობის საერთო წესების გამორიცხვას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. სწორედ ასეთ სპეციალურ წესს ადგენს სსკ-ის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების შესრულების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების, ანუ იმ ვალდებულების შესრულების ადგილით, რომლის შესრულების მიზნითაც დაიდო ხელშეკრულება. ვალდებულების შესრულების ადგილი შესაძლოა განისაზღვროს კონკრეტულად (ნორმატიულად ან მხარეთა შეთანხმებით) ან დარჩეს განუსაზღვრელი. უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან გამომდინარე დგინდება, თუმცა ზოგ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების კონკრეტული ადგილი ხელშეკრულებით ან ნორმატიულად არ არის განსაზღვრული და არც ვალდებულების ბუნებიდან იკვეთება აშკარად. ასეთ შემთხვე-

ვაში შესრულების ადგილის დადგენა ხელშეკრულების მხარეთა ნების ახსნა-განმარტების გზით ხდება, რა დროსაც მხედველობაში მიიღება შესასრულებელი ვალდებულების ბუნება, მსგავს ურთიერთობებში დამკვიდრებული წესები, კონკრეტული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და სხვ.. შრომითი ხელშეკრულების დროს ვალდებულების შესრულების ადგილი შესაძლოა განსახორციელებელი სამუშაოს სპეციფიკაზე იყოს დამოკიდებული. როგორც წესი, ასეთ დროს დასაქმებულის მიერ მასზე ხელშეკრულებით დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულება ხდება დამსაქმებელის მიერ განსაზღვრულ ადგილას.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დგინდება, რომ 28.01.2016წ. ერთი მხრივ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და მეორე მხრივ ლ. ბ-ს შორის დაიდო „საკონტრაქტო (პროფესიული) სამხედრო მოსამსახურეების (გარდა ოფიცრებისა) მიერ სამხედრო სამსახურის გავლის შესახებ“ კონტრაქტი, რომლის მიხედვით სამხედრო მოსამსახურემ იკისრა ვალდებულება სათანადო ანაზღაურების სანაცვლოდ კეთილსინდისიერად ემსახურა სამინისტროს სამხედრო სამსახურში (კონტრაქტის 1.1 პუნქტი). კონტრაქტის შემდგომი პუნქტებით განისაზღვრა ხელშეკრულების მიზნებისათვის „სამხედრო სამსახურის“ შინაარსი, მხარეთა მიერ გაცემული გარანტიები, სამხედრო სამსახურის გავლის ვადა და მასთან დაკავშირებული თავისებურებანი, შრომის ანაზღაურების წესი, სამხედრო მოსამსახურისათვის სამსახურებრივი უფლებამოსილების შეჩერების შემთხვევები და ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებები. კონტრაქტის შინაარსიდან დგინდება, რომ ხელშეკრულება დადებულია პირის სამხედრო სამსახურში დასაქმების მიზნით, ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა დებულებები კი გამომდინარეობს სწორედ აღნიშნული ძირითადი ვალდებულების სათანადოდ შესრულების ინტერესიდან. ამდენად, დავის მხარეებს შორის არსებული 28.01.2016წ. ხელშეკრულების შესრულების ადგილად მიჩნეულ უნდა იქნეს დასაქმებულის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების – სამხედრო სამსახურის გავლის ადგილი.

სამხედრო სამსახური არის სახელმწიფო სამსახურის განსაკუთრებული სახე, რომელიც მოიცავს სავალდებულო, საკონტრაქტო (პროფესიული) და კადრის სამხედრო სამსახურებს, აგრეთვე სამხედრო სარეზერვო სამსახურს სამხედრო შეკრებებისა და სამხედრო სამსახურის გავლის პერიოდში („სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ კანონის 31.1 მუხ.). სამხედრო სამსახურის სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს თავის ვალდებულებათა შესრულება შესაძლოა



დაეკისროს როგორც ქვეყნის შიგნით ნებისმიერ ტერიტორიაზე, ასევე ქვეყნის ფარგლებს გარეთ. მხარეთა შორის დადებული კონტრაქტით არ არის განსაზღვრული დასაქმებულის მიერ თავის ვალდებულებათა შესრულების კონკრეტული ადგილი, ასეთი ადგილი ვერ დგინდება აგრეთვე შესასრულებელი შრომითი ვალდებულების შინაარსიდან, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ირკვევა დასაქმებულის – ლ. ბ-ის მიერ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში მასზე დაკისრებულ ვალდებულებათა შესრულების ადგილი. ლ. ბ-ის პატაკიდან, ასევე „თანამდებობიდან გათავისუფლებისა და სამხედრო სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსის 03.07.2017წ. ბრძანებიდან დგინდება, რომ ლ. ბ-ი თავის სამსახურებრივ მოვალეობებს ახორციელებდა მე-12 მსუბუქი ქვეითი ბატალიონის ერთ-ერთ დანაყოფში. ლ. ბ-ის ფინანსური პასუხისმგებლობის შესახებ 17.01.2018წ. ცნობის ბლანკის მიხედვით ბატალიონის მისამართი არის ქ. მცხეთა, საქმეში არ ხდება მითითება ვალდებულების შესრულების განსხვავებულ ადგილზე. ამდენად, დგინდება, რომ კონტრაქტის ძალაში ყოფნის დროს მისი შესრულება ხდებოდა ქ. მცხეთაში. საქმის მასალებიდან არ იკვეთება, რომ შემდგომ პერიოდში ლ. ბ-ის მიერ სამხედრო სამსახურის გავლა იგეგმებოდა სხვა ტერიტორიაზე.

საქმის მასალების მიხედვით მხარეებს შორის სამსახურეობრივი ურთიერთობა შეწყდა ლ. ბ-ის ინიციატივით, რომელმაც 19.06.2017წ. პატაკით უარი განაცხადა სამხედრო სამსახურის გაგრძელებაზე. მოსარჩელე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო ლ. ბ-ს უნდა დაეკისროს კონტრაქტის 7.3 პუნქტით გათვალისწინებული ჯარიმა – 3000 ლარი. ამდენად, დავის საგანია შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის გამო სამხედრო მოსამსახურისათვის სანქციის დაკისრება. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული ჯარიმის გადახდის ადგილად აგრეთვე მიჩნეულ უნდა იქნეს ქ. მცხეთა, რადგან სწორედ ქ. მცხეთაში უნდა შესრულებულიყო კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულება. ვალდებულების შეუსრულებლობის გამო წარმოშობილი სანქციის ანაზღაურების ადგილი ის ადგილია, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო, რადგან აღნიშნული დამატებითი ვალდებულება ძირითადი ვალდებულების შეუსრულებლობით არის გამოწვეული. ასეთ შემთხვევებში მნიშვნელობა არ ენიჭება ხელშეკრულების სავარაუდო დამრღვევის ადგილსამყოფელს, ამდენად, არ არის გასაზიარებელი მცხეთის რაიონული სასამართლოს მოსაზრება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განსჯადი სასამარ-

თლოს განსაზღვრის შესახებ. სახელშეკრულებო დავის არსებობის პირობებში, როდესაც საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია განსჯადობის განსაკუთრებული წესი (16.2 მუხ.), საფუძველს მოკლებულია საერთო განსჯადობის წესის (15.1 მუხ.) გამოყენება.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. გადაწყვეტილების 30.2 მუხლის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი სსკ-ის 16.2 მუხლით განსაზღვრული განსაკუთრებული განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს, რადგან მხარეთა შორის 28.01.2016წ. კონტრაქტით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების შესრულების ადგილია ქ. მცხეთა.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამხედრო სამსახურის სპეციფიკის გამო, შესაძლებელია სამსახურის ადგილმდებარეობის ხშირი ცვლევადობა, ასეთ შემთხვევაში სასამართლო განსჯადობისათვის განმსაზღვრელი იქნება მოპასუხის სამსახურის ბოლო ადგილი, სადაც ის ასრულებდა კონტრაქტით გათვალისწინებულ ვალდებულებას. მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების ადგილი ცალსახად დგინდება (ქ. მცხეთა), ასეთ შემთხვევაში განსჯადობა უნდა გადაწყდეს განსაკუთრებული განსჯადობის წესების მიხედვით. ორდინალური წესით ტერიტორიული განსჯადობის გადაწყვეტა (მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით (სსკ-ის მე-16 მუხ.)) შესაძლებელია მოსამსახურის მიერ სამხედრო სამსახურის საზღვარგარეთ გავლის შემთხვევაში.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სსკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვი-

ტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე (პროროგაცია) ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა (დეროგაცია) არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს. ამდენად, მხარეთა შორის 28.01.2016წ. გაფორმებულ კონტრაქტში დავის წარმოშობის შემთხვევაში, განსჯადი სასამართლოს დადგენის წესის განსაზღვრა (8.4 მუხ.), განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისთვის არ არის რელევანტური. განსჯადობის შესახებ წერილობითი შეთანხმება დაიშვება მხოლოდ სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო და მოპასუხეს განემარტება სასამართლოს არაგანსჯადობის თანამდევი შედეგები (სსკ-ის 21-ე მუხ.). სასკ-ის 1.2 მუხლის ჩანაწერი, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, არ გულისხმობს სსკ-ის 21-ე მუხლის ადმინისტრაციული დავების განხილვისას გამოყენების შესაძლებლობას, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით საკითხი სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული. განსახილველ შემთხვევაში სასკ-ის 26.1 მუხლით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი დავის განსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის საჭიროება, რაც ნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე

ლ. ბ-ის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

## **ბ) განსჯადობა მოპასუხის ან ქონების ადგილსამყოფლის (ადგილმდებარეობის) მიხედვით**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბს-613-610(გ-17)

24 მაისი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე მ. ქ-ის სარჩელთან დაკავშირებით დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს, ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს შორის.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

მ. ქ-ემ 07.12.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.10.2016წ. გადაწყვეტილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.11.2016წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 30.08.2016წ. განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ქ. ამბროლაურში, ... №33-ში მდებარე უძრავ ნივთზე – 258 კვ.მ. ნახევარსარდაფზე (ყოფილი ...) საკუთრების უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით. საჯარო რე-

ესტრის ეროვნული სააგენტოს 02.09.2016წ. გადანყვეტილებით განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ საფუძვლით, რომ არ არსებობდა საკუთრების წარმოშობის დამდგენი საკმარისი დოკუმენტაცია, მ. ქ-ეს დაევალა დამატებითი დოკუმენტების წარდგენა. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 10.10.2016 წ. გადანყვეტილებით მ. ქ-ის განცხადებაზე სარეგისტრაციო წარმოება შეწყდა შეჩერების საფუძვლის აღმოუფხვრელობის გამო. აღნიშნული გადანყვეტილება მ. ქ-ის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით გასაჩივრდა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, რომლის 07.11.2016წ. გადანყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ტექ. ბიუროში დაცული და მარეგისტრირებულ ორგანოში წარდგენილი მასალები ქმნიან საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკმარის საფუძველს, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულების მოუძიებლობის მიუხედავად, ამბროლაურის რაიოკოოპერატივის გამგეობის 13.07.1990წ. დადგენილებითა და ნასყიდობის თანხის გადახდის ქვითრით უტყუარად დასტურდება ყოფილი ... მოსარჩელის მამისათვის მიყიდვის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 12.12.2016წ. განჩინებით მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მართალია, დავის საგანს წარმოადგენს, როგორც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისის 10.10.2016 წ. გადანყვეტილების, ასევე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.11.2016 წ. გადანყვეტილების ბათილად ცნობა, თუმცა ეს უკანასკნელი მიღებულია იმერეთის რეგიონული ოფისის გადანყვეტილებაზე წარდგენილ საჩივარზე, შესაბამისად, დავის საგნის შეფასება უნდა მოხდეს სწორედ ქვემდგომი ორგანოს ქმედების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებასთან ერთად. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ სსკ-ის მე-15 მუხლის გათვალისწინებით, წარდგენილი სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისი (მის.: ქ. ამბროლაური, მ. კოსტავას ქ. №20). ამდენად, მ.ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 20.01.2017წ. განჩინებით მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს იმ საფუძვლით, რომ სადავო აქტი – 10.10.2016 წ. გადაწყვეტილება მიღებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონული ოფისის მიერ, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ი. აბაშიძის ქ. №20-ში. სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან მოსარჩელის მოთხოვნა მიმართულია აღნიშნული ორგანოს მიმართ, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, დავა უნდა განიხილოს სასამართლომ იმერეთის რეგიონალური ოფისის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლომ აღნიშნა, რომ უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია არა უძრავი ქონების მდებარეობა, არამედ სადავო ადმინისტრაციული აქტების გამოცემაში ორგანოს ადგილსამყოფელი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 27.01.2017 წ. განჩინებით სასკ-ის მე-16 მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 14.06.2017 წ. განჩინებით მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016 წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-2, მე-5, მე-6 და მე-10 მუხლების საფუძველზე სასამართლომ აღნიშნა, რომ როგორც იმერეთის რეგიონული ოფისი, ასევე ამბროლაურის ფილიალი წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ სამსახურებს. ამავე დებულების 30-ე, 31-ე მუხლებზე მითითებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ფილიალი ისევე, როგორც რეგიონული ოფისი მონაწილეობს რეგისტრაციასთან დაკავშირებით მიმდინარე ადმინისტრაციულ წარმოებაში და მინიჭებული აქვს შესაბამის საქმეებზე სასამართლოში წარმომადგენლობის უფლებამოსილება, რაშიც სასამართლოს მოსაზრებით იგულისხმება სწორედ ფილიალის ტერიტორიაზე მდებარე უძრავი ნივთების რეგისტრაციასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავები. კანონმდებლობა არ გამორიცხავს ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით დავის განხილვის შესაძლებლობას, „დებულების“ მიხედვით ფილიალი არ არის რეგიონალური ოფისის დაქვემდებარებაში მყოფი ორგანო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გა-

ეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს, ამბროლაურის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალური თოქობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამასთანავე, ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად განსჯადობის ზემოაღნიშნული წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას.

მოცემულ შემთხვევაში დავა ეხება უძრავი ქონების რეგისტრაციასთან დაკავშირებით გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 07.11.2016წ. №... გადანყვეტილება, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის



რეგიონალური რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისის 10.10.2016წ. №... გადაწყვეტილება). დავის საგანი მოიცავს არა მხოლოდ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილების, არამედ სააგენტოს იმერეთის რეგიონალური ოფისის გადაწყვეტილებას, მოსარჩელე მოითხოვს სააგენტოს და იმერეთის რეგიონალური ოფისის აქტების ბათილად ცნობას, უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემის დავალებას. ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს ქ. ამბროლაურში, სადაც ფუნქციონირებს აგრეთვე სააგენტოს ამბროლაურის ფილიალი.

„საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის 3.3 მუხლის თანახმად, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს უშუალოდ ან თავისი ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურებისა და ავტორიზებული პირების მეშვეობით. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 5.1 მუხლის მიხედვით, სააგენტო მასზე დაკისრებული ფუნქციების შესრულებას უზრუნველყოფს სტრუქტურული ქვედანაყოფების, მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულებისა და ტერიტორიული სამსახურების მეშვეობით. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონალური ოფისი და ფილიალი (დებულების 6.2 მუხ.), ამასთანავე, ორივე ტერიტორიული სამსახურის ხელმძღვანელს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს სააგენტოს თავმჯდომარე (დებულების 10.1, 10.4 მუხ.), სამსახურები ანგარიშვალდებულები არიან საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის უფროსების ნინაშე (დებულების 10.6 მუხ.). „დებულების“ მიხედვით, რეგიონალური ოფისისა და ფილიალის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება (30.1, 31.1 მუხ.), ორივე მათგანი უზრუნველყოფს სასამართლოში სააგენტოს წარმომადგენლობას (დებულების 30.2 მუხ. „გ“ ქვ.პ., 31.2 მუხ. „დ“ ქვ.პ.). მართალია ფილიალი უშუალოდ არ გამოსცემს უძრავ ნივთებზე „საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონით განსაზღვრული უფლებების წარმოშობის, შეცვლის და შეწყვეტის შესახებ აქტებს, თუმცა გარკვეული მოცულობით ატარებს ადმინისტრაციულ წარმოებას, კერძოდ, იღებს განცხადებებსა და თანდართულ დოკუმენტაციას, საჭიროების შემთხვევაში ადასტურებს გარიგების მხარეების ხელმოწერებს, უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავს კორექსიონდენციებს, ასრულებს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონ-



ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებული ნივთობრივი განსჯადობის წესი. ამ წესის მიხედვით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ სადავო უძრავი ქონება მდებარეობს ქ. ამბროლაურში (...-ს ქ. №33), ასევე ქ. ამბროლაურში მდებარეობს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამბროლაურის ფილიალი (კოსტავას ქ. №20), რომლის საქმიანობის მიზანია მის სამოქმედო ტერიტორიაზე სააგენტოს ფუნქციების შესრულება (დებულების 6.2 მუხ. „ლ“ ქვ.პ., 31.1 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით“ ფილიალების უფლებამოსილების შეზღუდვა, ფილიალების იურიდიული მისამართის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ სასამართლოს არ აქცევს არაგანსჯადად, რამდენადაც აღნიშნული გამოიწვევს რეგიონული ოფისების ადგილმდებარეობის მიხედვით იურისდიქციის მქონე სასამართლოების გადატვირთვას და ფილიალების ადგილსამყოფლის მიხედვით, სასამართლოების ნორმატიული აქტით გათვალისწინებული ფუნქციის შეკვეცას, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.07.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილების 3.2 მუხლის თანახმად, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრა თვითმმართველი ქალაქის – ამბროლაურის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით. ამდენად, უძრავი ნივთი, ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე სააგენტოს უფლებამოსილების განმახორციელებელი ტერიტორიული ორგანო – ფილიალი მდებარეობს ამბროლაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, რის გამოც დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემდებარეა.

ამასთანავე, საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქმის განხილვის ზემოაღნიშნული წესი მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფი-

ლიალების მიმართ უძრავ ნივთებზე კანონმდებლობით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების რეგისტრაციის თაობაზე აღძრულ სარჩელებზე ვრცელდება.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. მ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით**

**ბ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა  
ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ს ა ხ ე ლ ი ტ**

№ბს-461-461(გ-18)

17 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 16 აპრილს ლ. ბ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამ-

დგენი კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ და მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის 2017 წლის 24 ოქტომბრის №82 ოქმის ბათილად ცნობა, ლ. ბ-ასათვის გალის რაიონის სოფელ ... 1993 წლამდე მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ; აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის 2018 წლის 6 მარტის №149/03 გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ და მოპასუხისათვის დავალება გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში გამოსცეს აქტი 1993 წლამდე მოსარჩელის გალის რაიონის სოფელ ... მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 18 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ას სარჩელი მოპასუხეების – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელზე მოპასუხეებად მითითებულ იქნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე. თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქ-

მეების დეპარტამენტი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, წარმოადგენენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, ქ. თბილისი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ადგილსამყოფელი. ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.076. 1/150-2007 გადაწყვეტილების 381-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განსაზღვრულია ასევე ქ. თბილისი. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით უდავოდ დადგენილად მიიჩნია, რომ დავის მონაწილე მხარეები წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს, შესაბამისად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლით დადგენილი, განსჯადობის განსაზღვრის საერთო წესისაგან განსხვავებული, განსაკუთრებული წესი და ლ. ბ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ლ. ბ-ას სარჩელი, მოპასუხეების – აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტურობის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 23 აპრილის განჩინებით ლ. ბ-ას სარჩელი საქმის მასალებთან

ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ამ მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის განსჯადობის წესი მოქმედებს მაშინ, თუკი ორივე მხარე იძულებით გადაადგილებული პირია.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია ლ. ბ-ას მიერ, რომელიც არ წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იმთავითვე გამორიცხავს სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუ-



ხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე და საერთო წესის თანახმად სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აწესებს აფხაზეთის სასამართლოებისათვის ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

ამდენად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარსს და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია მოსარჩელეზე, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირზე, რაც გამორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელე ლ. ბ-ამ დევნილის სტატუსის მოსაპოვებლად მიმართა სასამართლოს და არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი.

განსახილველ შემთხვევაში ლ. ბ-ა ითხოვს საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიის 2017 წლის 24 ოქტომბრის №82 ოქმის ბათილად ცნობას, ლ. ბ-ასათვის გალის რაიონის სოფელ ... 1993 წლამდე მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურებაზე უარის თქმის შესახებ; ასევე ითხოვს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის 2018 წლის 6 მარტის №149/03 ადმინისტრაციული საჩივ-

რის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და აქტის გამოცემის დავალებად 1993 წლამდე მოსარჩელის გალის რაიონის სოფელ ... მუდმივად ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე. თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისია და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტი, როგორც ადმინისტრაციული ორგანოები, წარმოადგენენ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 7 ნოემბრის №49 დადგენილებით დამტკიცებული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის დებულების პირველი მუხლის მე-4 პუნქტით აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისიისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №16.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ლ. ბ-ას, რომელსაც სარჩელის შეტანისას არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, აღნიშნული გამორიცხავს მისი სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისთვის დაქვემდებარების შესაძლებლობას, რა დროსაც გამოყენებულ უნდა იქნეს არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები, ანუ სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯად სასამართლოს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-

3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ლ. ბ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ლ. ბ-ას სარჩელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ფოტოიდენტიფიკაციის დადასტურებისა და მუდმივი საცხოვრებელი ადგილის დამდგენი კომისია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის დევნილთა საქმეების დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

# განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით

## განჩინება საქართველოს სახელით

№ბს-1123(გ-18)

16 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### აღწერილობითი ნაწილი:

2018 წლის 23 აპრილს მ. კ-ამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართ და მოითხოვა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მ. კ-ას მუშაობის შესახებ ფაქტის დადასტურება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 10 სექტემბრის განჩინებით მ. კ-ას სარჩელი მოპასუხე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა, რომ სარჩელზე მოპასუხედ მითითებულია აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე. თავისი ფუნქციის განხორციელებისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე, თბილისი არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ადგილსამყოფელი.

ამასთან, სასამართლომ მიუთითა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.07წ. 1/150-2007 გადაწყვეტილების 38<sup>1</sup>-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს ადგილსამყოფლად განსაზღვრულია ასევე ქ. თბილისი. განსახილველ შემთხვევაში, საქმეში წარმოდგენილი მასალებით, კერძოდ, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 09 აგვისტოს №01/1459-ს წერილით სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ მ. კ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – ოჩამჩირის რაიონ სოფელ მერკულაძან, შესაბამისად, ადმინისტრაციული დავის მონაწილე ორივე მხარე წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირს, აქედან გამომდინარე, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლით დადგენილი, განსჯადობის განსაზღვრის საერთო წესისაგან განსხვავებული განსაკუთრებული წესი და მ. კ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციისა ც ექვემდებარება მისი საქმე, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. კ-ას სარჩელი, მოპასუხე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეგზავნოს სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოს.

სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 24 სექტემბრის განჩინებით მ. კ-ას სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადმოიგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. 2 საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იუ-

რისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია. ანუ ამ მუხლით დადგენილი სარჩელის განხილვის განსჯადობის წესი მოქმედებს მაშინ, თუკი ორივე მხარე იძულებით გადაადგილებული პირია. მოცემულ შემთხვევაში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2018 წლის 09 აგვისტოს №01/1459-ს მომართვიდან ირკვევა, რომ მ. კ-ა არის იძულებით გადაადგილებული პირი – ოჩამჩირის რაიონი, სოფ. მერკულადან. იგი დევნილად იყო რეგისტრირებული ქ. სენაკი, „ბ/ბალი 6“ (არ გაუვლია 2007 წლის დევნილთა სავალდებულო რეგისტრაცია). ასევე, წარმოდგენილი პასპორტიდან ირკვევა, რომ მ. კ-ა 2008 წლის 06 სექტემბრიდან არის რუსეთის მოქალაქე. ამდენად, ვინაიდან მ. კ-ა, 2007 წლიდან არ არის რეგისტრირებული დევნილად და წარმოადგენს რუსეთის მოქალაქეს, სარჩელი სოხუმისა და გაგრა – გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციას არ ექვემდებარება. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია მ. კ-ას მიერ, რომელიც არ წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირს, რაც იმთავითვე გამოორიცხავს სარჩელის სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციისათვის დაქვემდებარების შესაძლებლობას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე და საერთო წესის თანახმად სარჩელი წარედგინილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აწესებს აფხაზეთის სასამართლოებისათვის ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

ამდენად, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარსს და განმარტავს, რომ ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარია მოსარჩელეზე, როგორც იძულებით გადაადგილებულ პირზე, რაც გამორიცხავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, ვინაიდან საქმის მასალებით უდავოდ დადგენილია, რომ მოსარჩელე მ. კ.-ას არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი.

განსახილველ შემთხვევაში მ. კ.-ას მოთხოვნა, მოპასუხე აფხა-



ზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართ არის ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა და იურიდიული მნიშვნელობის მქონე ფაქტის დადგენა. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე. თავიანთი ფუნქციების განხორციელებისას, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2014 წლის 25 ივლისის №33 დადგენილებით დამტკიცებული „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულებების“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ფუნქციების განხორციელებისას სამინისტრო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. ამავე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად კი, სამინისტროს იურიდიული მისამართია: ქ. თბილისი 0102, დ. უზნაძის 68.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ ვინაიდან მ. კ-ას, არ აქვს მინიჭებული აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირის სტატუსი, შეუძლებელია მისი სარჩელი სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონული სასამართლოს იურისდიქციას დაექვემდებაროს, ამ შემთხვევაში, გამოყენებულ უნდა იქნეს არა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, არამედ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები, ანუ სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯად თბილისის საქალაქო სასამართლოს.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, მ. კ-ას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მ. კ-ას სარჩელი აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **განსჯადობა მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, ნივთობრივი განსჯადობა**

### **განჩინება საქართველოს სახელით**

№ბს-651-651(გ-18)

17 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

### **აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 1 მაისს მ. ა-მა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ მოითხოვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივა-

ტიზების მცხეთა- მთიანეთის სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის №ტ-5/93 წერილის ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 7 მაისის განჩინებით მ. ა-ის სარჩელი საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 31-ე მუხლზე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-18 მუხლებზე მითითებით, განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა განსჯად მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მხარე სადავოდ ხდის საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს №ტ-5/93 აქტს, რომლითაც ამავე ადმინისტრაციულმა ორგანომ 2011 წლის 24 ნოემბერს მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურს, სახელმწიფო საკუთრებად დაერეგისტრირებინა ქ. მცხეთაში, ... ქუჩა №... მდებარე ... სართულიანი შენობა (განაშენიანების ფართი 534,32 კვ/მ, მასზე განთავსებული 1500 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართთან ერთად), რის გამოც მოცემული დავის ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, სასამართლომ მიუთითა, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლზე, რომლის თანახმადაც სააგენტო თავის უფლებამოსილებებს განახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, მომსახურების ცენტრების ტიპური დებულება დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრების შექმნისა და ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 01 მაისის №1-1/107 ბრძანების თანახმად, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური, მცხეთა, ახალგორი, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი), ამდენად ცენტრი დღეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს კომპეტენციას მიკუთვნებულ შესაბამის ღონისძიებებს.

სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურე-

ბის ცენტრის დებულების თანახმად, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში. ამდენად სასამართლომ მიიჩნია, რომ სტრუქტურული ერთეულის მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული დავის ტერიტორიული განსჯადობა, სადავო აქტის გამოცემიდან ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში შიდა ქართლისა და მცხეთა-თიანეთის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის მიხედვით უნდა გადაწყდეს. სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. (16.06.2014 №1/55 ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად მოცხადების დღიდან).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის საფუძველზე, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს სწორედ იმ სასამართლოს მიერ, რომლის სტრუქტურული ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულის მიერ გამოიცა სადავო ადმინისტრაციული აქტი – მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 18 მაისის განჩინებით მ. ა-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმი-

ნისტრაციულ საქმეთა პალატას.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის № 1-1/1742 ბრძანების თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა ა) „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის № 1-1/2780 ბრძანება; ბ) „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს პრივატიზების დეპარტამენტის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 16 სექტემბრის № 1-1/1540 ბრძანება; გ) „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის № 1-1/24 ბრძანება; დ) „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სანარმოთა მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 28 სექტემბრის № 1-1/1563 ბრძანება, რის შედეგადაც გაუქმდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოები. მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის № ტ-5/93 წერილი, მოპასუხე მხარეს კი წარმოადგენს – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, შესაბამისად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას არ განეკუთვნება აღნიშნული საკითხის გადაწყვეტა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკაზე (საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 14 სექტემბერის № ბს-596-593(გ-17) განჩინება) და მიიჩნია, რომ ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხის – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით (ქ. თბილისი) – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია. სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა ნივთის ადგილსამყოფელს, არამედ სადავო ინდივიდუალურ ადმი-

ნისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების (მოპასუხე იურიდიული პირები) ადგილსამყოფელი ქალაქი თბილისია. სასამართლომ მიუთითა, რომ მოსარჩელემ მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს. როგორც აღინიშნა, მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ნივთობრივ განსჯადობას, რადგან სარჩელით სადავოა არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულსამართლებრივი აქტების კანონიერება, რის გამოც ვერც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული დებულებები იქნება გამოყენებული.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და მიიჩნევს, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში, სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო

წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამასთანავე, ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად განსჯადობის ზემოაღნიშნული წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას.

განსახილველ შემთხვევაში, მ. ა-ის სასარჩელო მოთხოვნაა მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის №ტ-5/93 წერილის ბათილად ცნობა. გასაჩივრებული წერილი საფუძვლად დაედო მცხეთაში, ... ქუჩა №... მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ფართი 1615 კვ.მ ს/კ ...) დარეგისტრირებას. მ. ა-ი მიიჩნევს, რომ აღნიშნული წერილით არსებითად ილახება მისი საკუთრების უფლება, რამდენადაც 1986 წლის 24 სექტემბრის №231 გადაწყვეტილებით ქ. მცხეთაში, ... დასახლებაში (ამჟამად მუხრანის ქ. №...) მცხეთის სახ. დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის მიერ გამოყოფილ იქნა 1500 კვ. მ მიწის ნაკვეთი, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე 1991 წელს დაიწყო 30-ბინიანი კორპუსის მშენებლობა, რომელზედაც მ. ა-მა როგორც მცირე სანარმო „...“ დირექტორმა კოლექტივის ყველა წევრის ერთპიროვნული განცხადების საფუძველზე მოიპოვა საკუთრების უფლება. ამდენად, დგინდება, რომ სადავო აქტის ბათილად ცნობით მოსარჩელეს სურს მოიპოვოს ქ. მცხეთაში, ... ქ. №... მდებარე უძრავი ქონების (ს/კ ...) საჯარო რეესტრში მესაკუთრედ აღრიცხვის შესაძლებლობა. სარჩელის საბოლოო მიზანს წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს მიერ უძრავი ქონების მოსარჩელის სახელზე რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილების გამოცემა. ამდენად, მოსარჩელის ინტერესი არ არის მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის №ტ-5/93 წერილის გამოცემამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, მოსარჩელის ინტერესს ასევე წარმოადგენს საკუთრების უფლების მოპოვება უძრავ ქონებაზე. შესაბამისად, უპირველესად უნდა დადგინდეს მოსარჩელის იურიდიული ინტერესი, რისთვისაც შესაძლოა განხორციელდეს მოთხოვნათა დაზუსტება ან/და გაზრდა და იურიდიული ინტერესის საბოლოოდ მისაღები შედეგისათვის განსაზღვრული მოთხოვნების ჩამოყალიბების, მოპასუხეთა წრის დაზუსტების შემდეგ, შესაძლოა შეიცვალოს განსჯადობის საკითხი, იმის მიხედვით თუ რას მოითხოვს მხარე. განსახილველი სარჩელით წარმოდგენილი მოთხოვნები, მართალია, მიმართულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს



მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს მიმართ, თუმცა გასათვალისწინებელია და დასადგენია ის გარემოება, რამდენად იქნება საკმარისი მოსარჩელის იურიდიული ინტერესის დაკმაყოფილებისათვის, მხოლოდ მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის №ტ-5/93 წერილის ბათილად ცნობა. როგორც აღინიშნა, მ. ა. ის ინტერესია განახორციელოს საკუთრების უფლების მოპოვება მარეგისტრირებელ ორგანოში მისი რეგისტრაციის გზით. გამოკვლევას საჭიროებს საკითხი, დღეის მდგომარეობით უნდა განხორციელდეს, თუ არა ქონების მმართველის მიერ ქონების განკარგვა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღება. დღეის მდგომარეობით ასეთი გადაწყვეტილების მიღების საჭიროების შემთხვევაში, მისი ფუნქციებიდან გამომდინარე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს, ხოლო რაც შეეხება საქართველოს ეკონომიკისა და მდრადი განვითარების სამინისტროს, ის ახორციელებს ქონების მმართველის კონტროლს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 11 სექტემბრის № 1-1/1742 ბრძანების თანახმად, ძალადაკარგულად გამოცხადდა „საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის №1-1/24 ბრძანება, რის შედეგადაც გაუქმდა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების ტერიტორიული ორგანოები. აღნიშნული ტერიტორიული ორგანოების ძირითადი ფუნქცია იყო მასზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, სახელმწიფო ქონების ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში, მათი გაუქმების შემდეგ კი ანალოგიური ფუნქციებითა და უფლებამოსილებით აღიჭურვა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრები, კერძოდ, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 17 სექტემბრის №391 დადგენილებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების მე-6 მუხლის თანახმად, სააგენტო თავის უფლებამოსილებებს განახორციელებს სტრუქტურული ერთეულების მეშვეობით, მომსახურების ცენტრების ტიპური დებულება დამტკიცებულია მინისტრის ბრძანებით. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრების შექმნისა და ტიპური დებუ-

ლების დამტკიცების შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 01 მაისის №1-1/107 ბრძანების თანახმად, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (გორი, კასპი, ქარელი, ხაშური, მცხეთა, ახალგორი, დუშეთი, თიანეთი, ყაზბეგი). ამდენად, ცენტრი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებს კომპეტენციას მიკუთვნებულ შესაბამის ღონისძიებებს. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულების თანახმად, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამავე დებულების მე-2 მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში. ამდენად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ სტრუქტურული ერთეულის მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული დავის ტერიტორიული განსჯადობა, სადავო აქტის გამომცემი ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის მიხედვით უნდა გადაწყდეს, რამდენადაც, როგორც უკვე აღინიშნა გასაჩივრებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების მცხეთა-მთიანეთის სამხარეო სამმართველოს მიერ გამოცემული აქტი, აღნიშნული სამმართველოს გაუქმების მიუხედავად მის ფუნქციას დღეის მდგომარეობით ახორციელებს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის მომსახურების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში, მისი სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია შესაბამისი დებულებით და მოიცავს მათ შორის მცხეთის ადმინისტრაციულ ერთეულს.

საკასაციო პალატა მიუთითებს „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოებისა და თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების

სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 30-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის – მცხეთის, მცხეთის, ახალგორის, დუშეთის, თიანეთის და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. (16.06.2014 №1/55 ამოქმედდეს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მორიგი არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადების დღიდან).

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. განსახილველ შემთხვევაში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანო ასრულებს იგივე ფუნქციას, რასაც ახორციელებდა საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის №1-1/24 ბრძანებით გაუქმებული მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველო, შესაბამისად, მათი საერთო ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, მ. ა-ის სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს სა მოქალაქეო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. მითითებული მუხლი არ არის იმპერატიული და არ

გამორიცხავს სარჩელის აღძვრას საერთო განსჯადობის ანუ მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით, მოსარჩელის არჩევით, ამ წესის მიხედვით განსჯადი სასამართლო განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით, დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ მოცემულ საქმეზე სასარჩელო მოთხოვნას წარმოადგენს მცხეთა-მთიანეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 2011 წლის 24 ნოემბრის №ტ-5/93 წერილის ბათილად ცნობა, რომლითაც განხორციელდა მცხეთაში ... ქ. №... მდებარე უძრავ ქონებაზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია და ამასთან მ. ა-ის ინტერესია მოიპოვოს საკუთრების უფლება ამავე ქონებაზე, სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, განსჯადი სასამართლო მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ როგორც საერთო განსჯადობის წესების გათვალისწინებით, აგრეთვე ნივთობრივი განსჯადობის წესების თანახმად, მ. ა-ის სარჩელზე, განსჯადი სასამართლო არის მცხეთის რაიონული სასამართლო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მ. ა-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. მ. ა-ის სარჩელი – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს  
ადგილმდებარეობის მიხედვით, ნივთობრივი  
განსჯადობა**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-592-592(გ-18)

3 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი**

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2017 წლის 6 ივნისს რ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2016 წლის 9 ნოემბრის №10/57728 წერილისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 5 მაისის №1-1/196 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

2017 წლის 24 ივლისს რ. ქ-ემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელემ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2017 წლის 29 დეკემბრის №10/66028 წერილისა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 19 ივლისის №1-1/225 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით ერთ წარმოებად, ერთად განხილვისათვის გაერთიანდა მოცემული ადმინისტრაციული საქმეები.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2018 წლის 12 იანვრის განჩინებით რ. ქ-ის სარჩელი

მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლოს მითითებით, მოცემულ შემთხვევაში რ. ქ-ის მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, მოთხოვნით – ბათილად იქნეს ცნობილი სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2016 წლის 9 ნოემბრის №10/57728 და 2017 წლის 29 დეკემბრის №10/66028 წერილები და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 5 მაისის №1-1/196 და 2017 წლის 19 ივლისის №1-1/225 გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის შეფასება უნდა მოხდეს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2016 წლის 9 ნოემბრის №10/57728 და 2017 წლის 29 დეკემბრის №10/66028 გადაწყვეტილებების კანონიერება-დასაბუთებლობის შემოწმებასთან ერთად.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 1 მაისის №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულებაზე, რომლის თანახმადაც, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრს წარმოადგენს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრინყარო, მარნეული, წალკა). დასახელებული დებულების 1.1. მუხლის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და ამ ბრძანების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვასა და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. დებულების

მე-2 მუხლით განსაზღვრულია ცენტრის ფუნქციები, კერძოდ, დასახელებული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში.

დასახელებული გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალურთიერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის (მისამართი: ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. №8) მიხედვით – რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ.

სასამართლომ მიუთითა „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილებაზე, რომლის შესაბამისად განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33.2 მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 7 მაისის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული საქმე სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავ-



ვებულის წესია დადგენილი.

მოსარჩელები სადავოდ ხდიან სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ გამოცემულ აქტებს. მათი იურიდიული ადგილსამყოფელია ქ. თბილისი.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, მე-2 ნაწილის მიხედვით, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული ეხება აგრეთვე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნის თაობაზე სარჩელეს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით, მოსარჩელე მიმართავს სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოპასუხის ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით.

ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობისა და ახალი აქტების გამოცემის დავალდებულების შესახებ განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად (2017 წლის 14 სექტემბრის №ბს-596-593(გ-17)).

სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში, ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებით, განსჯად სასამართლოს წარმოადგენს მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი გან-

ვითარების სამინისტროს ადგილსამყოფლის მიხედვით – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

სასამართლომ განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელობა ენიჭება არა ნივთის ადგილსამყოფელს, არამედ, სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომელთა გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელია ქალაქი თბილისი.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21.2 მუხლის შესაბამისად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით ან მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ, სასამართლოს მიერ მოპასუხისათვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლო ოქმში.

2018 წლის 25 აპრილს დანიშნულ სასამართლო სხდომაზე მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს წარმომადგენელი არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით და განმარტა, რომ სარჩელის მოთხოვნიდან გამომდინარე, გასაჩივრებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოცემულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ, ხოლო მათი იურიდიული მისამართია ქ. თბილისი და წარადგინა წერილობითი შუამდგომლობა.

სასამართლომ მიუთითა ამავე კოდექსის 22-ე მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

სასამართლოს მითითებით, განსახილველ შემთხვევაში ადგილი არ აქვს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ნივთობრივ განსჯადობას, რადგან წარმოდგენილი სარჩელით სადავოა არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, არამედ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გაცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება.

გარდა ამისა, მითითებული ნორმის კონსტრუქცია იმგვარადაა

ფორმულირებული, რომ მხარეს მინიჭებული აქვს სასამართლოს არჩევის უფლება – შეიტანს სარჩელს მოპასუხისა თუ უძრავი ქონების ადგილსამყოფლის მიხედვით, იმავე კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით კი, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. მოსარჩელებმა მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს.

მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლით განსაზღვრულ ნივთობრივ განსჯადობას, რადგან სარჩელით სადავო არა უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება, არამედ, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გამოცემული აქტების კანონიერება, რის გამოც ვერც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით განსაზღვრული დებულებები იქნება გამოყენებული.

სასამართლომ განმარტა, რომ სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით გამორკვეულ უნდა იქნეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. აღნიშნულის გათვალისწინებით, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს გასაჩივრებული აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების იურიდიული ადგილსამყოფლის მიხედვით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილ-

სამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე რ. ქ-ის მიერ სარჩელი აღძრულია მოპასუხეების – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსა და საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2016 წლის 9 ნოემბრის №10/57728 და 2017 წლის 29 დეკემბრის №10/66028 წერილებისა და ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს 2017 წლის 5 მაისის №1-1/196 და 2017 წლის 19 ივლისის №1-1/225 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობის მოთხოვნით.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგნის შეფასება უნდა მოხდეს ძირითადი აქტის – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის უფროსის 2016 წლის 9 ნოემბრის №10/57728 და 2017 წლის 29 დეკემბრის №10/66028 გადაწყვეტილებების კანონიერება-დასაბუთებულობის შემოწმებასთან ერთად.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2013 წლის 1 მაისის №1-1/107 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრის დებულების თანახმად, ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრი წარმოადგენს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში (რუსთავი, ბოლნისი, გარდაბანი, დმანისი, თეთრიწყარო, მარნეულის, წალკა). დასახელებული დებულების პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მომსახურების ცენტრი არის სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს სტრუქტურული ერთეული, რომელიც შექმნილია „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და ამ ბრძანების საფუძველზე. ამავე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ცენტრი ახორციელებს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში არსებული სახელმწიფო ქონების მართვას, განკარგვას და სარგებლობაში გადაცემას სააგენტოსგან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში. ამავე დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენ-

ტრის უფროსი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, სააგენტოს სახელით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს კანონმდებლობით დადგენილი წესით. აღსანიშნავია, რომ დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია ცენტრის ფუნქციები, კერძოდ, დასახელებული მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის თანახმად, ცენტრი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოადგენს სააგენტოს ინტერესებს სასამართლოში.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სტრუქტურული ერთეულის მიერ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული დავის ტერიტორიული განსჯადობა სადავო აქტის გამომცემი ორგანოს, მოცემულ შემთხვევაში სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის მიხედვით წყდება.

დასახელებული გარემოებებისა და სამართლებრივი ნორმების გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მსჯელობას მასზედ, რომ ადმინისტრაციული ორგანოების სისტემის ერთიანობის მიუხედავად, სადავო სამართალურითერთობის მოწესრიგება ხდება თავდაპირველი აქტით, რაც განაპირობებს დავის სასამართლო განსჯადობას თავდაპირველი ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის მიმღები მოქალაქე ადმინისტრაციული ორგანოს – სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ქვემო ქართლის მომსახურების ცენტრის ადგილმდებარეობის (მისამართი: ქ. რუსთავი, ვახუშტის ქ. №8) მიხედვით – რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ.

„რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 9 აგვისტოს №1/150-2007 გადაწყვეტილების შესაბამისად, განისაზღვრა რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. ამავე გადაწყვეტილების 33.2 მუხლის თანახმად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ რ. ქ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ დავაში განსჯად სასამართლოს განსაზღვრავს არა მხარე, არამედ – კანონი. საკასაციო სასამართლო საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი განსჯადობის სპეციალური ნორმაა, რომელიც ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლი კერძო-სამართლებრივი ბუნებისაა, რომელიც დამყარებულია მხარეთა თავისუფალ ნებაზე, შეთანხმების გზით დაადგინონ განსჯადი სასამართლო. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, თუ არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო, მაშინ მხარეებს შეუძლიათ შეთანხმების გზით დაადგინონ სასამართლოს განსჯადობა. შეთანხმება ფორმდება წერილობით. 21.2 მუხლის თანახმად, არაგანსჯადი სასამართლო შეიძლება განსჯადი გახდეს იმ შემთხვევაშიც, თუ მოპასუხე წინააღმდეგი არ არის, რომ საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ და თანახმაა მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში, ამასთან, თუ მოპასუხე წარმოდგენილი იქნება ადვოკატით და მიეცემა განმარტება სასამართლოს არაგანსჯადობისა და მისი შედეგების, აგრეთვე იმის შესახებ, რომ მას უფლება აქვს წამოაყენოს შესაგებელი არაგანსჯადობის წინააღმდეგ. სასამართლოს მიერ მოპასუხისთვის ასეთი განმარტების მიცემის შესახებ უნდა აღინიშნოს სასამართლოს ოქმში.

ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე თანახმაა საქმე განიხილოს არაგანსჯადმა სასამართლომ, ადმინისტრაციული სასამართლოსთვის ეს თანხმობა არ უნდა იყოს რელევანტური და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილზე მითითებით, ადმინისტრაციული სასამართლოს განსახილველი საქ-

მე არ უნდა იქნეს გადაგზავნილი არაგანსჯად სასამართლოში.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

**და ა დ გ ი ნ ა :**

1. რ. ქ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა უპირავი ნივთის და ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-632-628(გ-17)

1 აგვისტო, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქე უ. ხ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

უ. ხ-ემ 20.04.2017წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო



სასამართლოს მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ...მდებარე 500 კვ. მ. №141 მიწის ნაკვეთის რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.12.2016წ. №...-15 და 02.03.2017წ. №...-03 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, ასევე სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.06.2016წ. №...-11 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 05.04.2017 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და მოპასუხის მიერ მის სახელზე უძრავი ქონების დარეგისტრირება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1973 წელს რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროსგან ოფიციალურად გადაეცა სოფელ ... მდებარე, 500 კვ.მ №141 მიწის ნაკვეთი, რომელსაც ფლობს და სარგებლობს დღემდე. აღნიშნული უძრავი ქონების რეგისტრაციის მოთხოვნით უ. ხ-ემ 27.04.2016 წ. მიმართა გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს, რაზეც მიღებულ იქნა 06.06.2016 წ. №...-11 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ. 05.08.2016წ. და 24.02.2017წ. უ. ხ-ემ კვლავ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ანალოგიური განცხადებით და სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე, რაზეც უარი ეთქვა შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.12.2016წ. №...-15 და 02.03.2017წ. №...-03 გადაწყვეტილებებით. აღნიშნულ გადაწყვეტილებათა საფუძვლად სააგენტომ მიუთითა, რომ ხსენებულ სარეგისტრაციო განცხადებაზე მარეგისტრირებელ ორგანოში უკვე წარმოდგენილი იყო საკუთრების უფლების აღიარებაზე უარის თქმის შესახებ გარდაბნის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე თვითნებურად დაკავებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის 05.12.2016წ. №04/6691 გადაწყვეტილება, დაინტერესებულ მხარეს არ წარმოუდგენია ახალი დოკუმენტი, რომლითაც დადგინდებოდა ახლად აღმოჩენილი ან ახლად გამოვლენილი გარემოების არსებობა. ამდენად, 07.03.2017 წ. მოსარჩელემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ადმინისტრაციული საჩივრით და მოითხოვა 06.06.2016წ. №...-11, 06.12.2016წ. №...-15 და 02.03.2017წ. №...-03 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა, თუმცა 05.04.2017წ. №115298 გადაწყვეტილებით საჩივარი არ დაკმაყოფილდა იმ საფუძვლით, რომ დაინტერესებული პირის მიერ წარდგენილი მეზალის წიგნაკი არ იყო შედგენილი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ამასთან კანონმდებლობით დადგენილ სარეგისტრაციო დოკუმენტად ვერ იქნე-

ბოდა მიჩნეული ქ. რუსთავის მუნიციპალური არქივის მიერ გაცემული საარქივო ცნობა №1/604, რადგან აღნიშნული გაცემული იყო ი.დ. ხ-ის სახელზე და მასზე არ იყო მითითებული, ვის მიერ, რა რაოდენობით და რომელი სამართლებრივი აქტის საფუძველზე ჰქონდა გამოყოფილი №141 მიწის ნაკვეთი. ასევე, სსიპ შემოსავლების სამსახურის 25.08.2016წ. წერილის თანახმად, უ. ხ-ე გადახდელად არ ფიქსირდება. საქართველოს ეროვნული არქივის 15.08.2016წ. წერილით სააგენტოს ეცნობა, რომ 1992-2007 წლებში სოფ. ... საკომლო წიგნები, მიწის ზონარგაყრილი წიგნები, მეზაღეობის სიები, მიწის სარეგისტრაციო მოწმობები, მიწის მიღება-ჩაბარების აქტები, მიწის განაწილებისა და საგადასახადო სიები რუსთავის არქივში დაცული არ არის.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 20.09.2017წ. განჩინებით უ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2, სსკ-ის 15.1, 18.1, მე-20 და სსკ-ის 26.2 მუხლებზე მითითებით აღნიშნა, რომ ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. განსჯადობის საერთო წესის თანახმად, სარჩელის წარდგენა ხდება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით. ნივთობრივი განსჯადობის წესის მიხედვით კი, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ასეთი დატვირთვისგან გათავისუფლების შესახებ, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, სასამართლოში შეიძლება შეტანილ იქნეს ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. იმ შემთხვევაში კი, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. აღნიშნულის მიუხედავად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ხსენებული წესი საქმის განსჯადობას დამოკიდებულს არ ხდის მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე – ალტერნატიულობის მიუხედავად, კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლო კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. განსახილველ შემთხვევაში, სადავო უძრავი ნივთი, რომლის სამართლებრივ მდგომარეობასაც ეხება დავა, მდებარეობს გარდაბნის მუნიციპა-

ლიტეტში, სოფ. ..., შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ. სასამართლოს მოსაზრებით, განსჯადობის საკითხის ამგვარი გადაწყვეტა ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, პროცესის ეკონომიურობასა და ოპერატიულობას, მეორე მხრივ, დაცული იქნება სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. ადმინისტრაციული ორგანოს ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ უნდა გამოიწვიოს ნებისმიერ შემთხვევაში, განსჯად სასამართლოდ უშუალოდ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯადობა, რამეთუ აღნიშნულს შედეგად მოჰყვება ადმინისტრაციული საქმეების კონცენტრაცია მხოლოდ ქ. თბილისში. მოცემული მდგომარეობის თავიდან აცილების მიზნით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ამოსავალს უნდა წარმოადგენდეს სადავო უძრავი ქონების ადგილმდებარეობა და აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის მე-18 მუხლის საფუძველზე, სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს სწორედ იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 20.10.2017 წ. განჩინებით უ. ხ-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლოს განმარტებით, უ. ხ-ის მიერ აღძრულ სარჩელში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავ ნივთებთან დაკავშირებული კონფლიქტი, არამედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების კანონიერება. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დადგინდეს არა ის, თუ რას ეხება გამოცემული აქტები და სად მდებარეობს უძრავი ქონება, არამედ აქტების გამოცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გაირკვეს, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად. ვინაიდან მოსარჩელის მიერ გასაჩივრებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, ზემოთაღნიშნული ორგანოს ადგილსამყოფლის გათვალისწინებით (ქ. თბილისი, ...), რუსთავის საქალაქო სასამართლომ განსჯად სასამართლოდ მიიჩნია თბილისის საქალაქო სასამართლო. სასამართლომ ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოს უზენაესი სა-

სამართლოს 09.10.2013 წ. №ბს-425-414(გ-13) განჩინებაზე, რომელშიც საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ განსახილველ საქმეში დავის საგანს წარმოადგენდა არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანონიერება, რა დროსაც გამოყენებული უნდა იქნეს სსკ-ის მე-15 მუხლით დადგენილი საერთო განსჯადობის წესები და სარჩელი უნდა წარედგინოს, განიხილოს და გადაწყვიტოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით განსჯადმა სასამართლომ. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ მისი განჩინება ეყრდნობოდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.02.2014წ. №ბს-32-31(გ-14) განჩინებაში ჩამოყალიბებულ განმარტებებს, კერძოდ მასში მოცემულ ერთ-ერთ სამართლებრივ დასკვნას, რომლის თანახმადაც სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის ზეპირი მოსმენის გარეშე გაცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავ ქონებასთან ან სამართალურთიერთობასთან დაკავში-

რებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. რაც შეეხება ადმინისტრაციულ კატეგორიის საქმეთა სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობას, სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე შედის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენციაში, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან უნდა დადგინდეს სარჩელის წარდგენის მომენტისთვის. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი), თუმცა ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციის ცენტრალიზმის შედეგად განსჯადობის ზემოაღნიშნული წესი ხშირ შემთხვევაში იწვევს ადმინისტრაციულ საქმეთა კონცენტრაციას დედაქალაქში, რაც განაპირობებს ამ წესისაგან გამონაკლისების გათვალისწინებას.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ სარჩელით უ.ხ-ე ითხოვს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. ... მდებარე 500 კვ.მ. №141 საბაღე ნაკვეთის მის სახელზე რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.12.2016წ. №...-15 და 02.03.2017წ. №...-03 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას, ასევე სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 06.06.2016წ. №...-11 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ 05.04.2017 წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობას და მოპასუხის მიერ მის სახელზე უძრავი ქონების დარეგისტრირებას. უ. ხ-ე მიიჩნევს, რომ აღნიშნული აქტებით არსებითად ილახება მისი საკუთრების უფლება, რადგან სადავო მიწის ნაკვეთი რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მილსაგლინავი საამქროსგან 1973წ. მას გადაეცა. ამდენად, დგინდება, რომ სადავო აქტების ბათილად ცნობით მოსარჩელეს სურს მიეცეს თავის სახელზე აღნიშნული უძრავი ნივთის საჯარო რეესტრში რეგისტრაციის შესაძლებლობა. შესაბამისად, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანი მჭიდროდაა დაკავშირებული უძრავ ნივთთან და უ. ხ-ის სარჩელის მიზანს ხსენებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია წარმოადგენს, რაზეც მეტყველებს კიდევც ის ფაქტი, რომ ის წარდგენილ სარჩელში ერთ-ერთ სასარჩელო მოთხოვნადაა მითითებული.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ უძრავ ნივთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი

ორგანო არის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, რომელიც თავის ფუნქციებს როგორც უშუალოდ, ისე ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით ახორციელებს („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.). საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებად დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონალური ოფისი და ფილიალი (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულები“ 6.2 მუხ.), რომლებიც თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ნორმატიულად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, ასრულებენ სააგენტოს ფუნქციებს (დებულების 30.1, 31.1 მუხ.). ამდენად, წარდგენილ განაცხადზე სარეგისტრაციო წარმოების ჩატარებას და შემდგომში აქტის გამოცემას ახდენს არა უშუალოდ სააგენტო, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს საქმის გარემოებათა ყოველმხრივ გამოკვლევას, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერებას, მეზობელთა გამოკითხვას და სხვ. მართალია, უ. ხ-ის სარჩელში მოპასუხედ დასახელებულია მხოლოდ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, თუმცა საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სადავო მინისტრის ნაკვეთის რეგისტრაციის შესახებ განაცხადება თავდაპირველად 27.04.2016წ. გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურს წარედგინა, სარეგისტრაციო წარმოება და აქტები გამოცემულია მის მიერ, სააგენტოს აქტით არ დაკმაყოფილდა ადმინისტრაციული საჩივარი, უცვლელად დარჩა არსებითი გადაწყვეტილებები.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, თუ სხვა რამ



არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. ამ პრინციპიდან განდგომა გამოწვეულია წესით, სასამართლოებს შორის თანაზომიერი დატვირთვის მოსაზრებიდან და საჯარო რეესტრის ორგანიზაციული მოწყობიდან გამომდინარე, დაშვებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რომელთა მიმართ გამოიყენება ნივთობრივი განსჯადობის წესები, სკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. განსჯადობის ხსენებული წესები არ ხდის საქმის განსჯადობას დამოკიდებულს მხოლოდ მოსარჩელის ნება-სურვილზე – ალტერნატიულობის მიუხედავად კონკრეტული დავის თავისებურება მოქმედებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე. შესაბამისად, აღნიშნულ საკითხთან მიმართებით რუსთავის საქალაქო სასამართლოს მითითება საქართველოს უზენაესი სასამართლოს 09.10.2013წ. №ბს-425-414(გ-13) განჩინებაზე არ არის რელევანტური, ვინაიდან ხსენებულ საქმეში მოპასუხეს არა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ან მისი რეგიონალური ოფისი/ფილიალი, არამედ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო წარმოადგენდა. საფუძველს მოკლებულია აგრეთვე რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ საკასაციო სასამართლოს 04.02.2014წ. №ბს-32-31(გ-14) განჩინებაზე მითითება, ვინაიდან ხსენებული საქმის განხილვის დროისათვის სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული დაყოფა და ტერიტორიული სამსახურების უფლებამოსილებები განსხვავებულად იყო მონესრიგებული.

განსახილველ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო უძრავი ნივთი მდებარეობს გარდაბნის მუნიციპალიტეტში, სოფ. .... „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.07.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები. აღნიშნული გადაწყვეტილე-



ბის 33.2 მუხლით რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განსაზღვრულია თვითმმართველი ქალაქის — რუსთავისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრებით. შესაბამისად, ვინაიდან როგორც უძრავი ნივთი, ასევე აღნიშნულ ტერიტორიაზე სააგენტოს უფლებამოსილების განმახორციელებელი ტერიტორიული სამსახური – გარდაბნის ფილიალი (მის: გარდაბანი, ლესელიძის ქ. 1) მდებარეობს რუსთავის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე, დავა ტერიტორიულად სწორედ მისი ქვემდებარება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ უ. ხ-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სასკ-ის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, სსსკ-ის 390-ე, 399-ე მუხლებით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. უ. ხ-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**განსჯადობა უძრავი ნივთის და ადმინისტრაციული  
ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სასჯელით**

№ბს-983-979(გ-17)

1 აგვისტო, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ვ. როინიშვილი,  
პ. სილაგაძე**

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა მოქალაქეების ზ. კ-ის, ი. ო-ის, დ. კ-ის სარჩელთან დაკავშირებული დავა განსჯადობის თაობაზე ამბროლაურის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს შორის.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ზ. კ-ემ, დ. კ-ემ და ი. ო-მა 31.07.2017წ. სარჩელით მიმართეს ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მოპასუხეების სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონალური რეგისტრაციის მართვის სამსახურის, იმერეთის რეგიონალური ოფისის ამბროლაურის ფილიალის, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვეს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახურის 10.11.2011წ. №...-03 გადაწყვეტილების, 10.11.2011წ. №...-03 გადაწყვეტილების, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 29.05.2017წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. მოსარჩელემ შუამდგომლობის სახით ასევე მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენება და მოპასუხე სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის ა. კ-ის საკუთრებაში რიცხულ ამბროლაურის რაიონის სოფ. ... მდებარე უძრავ ქონებაზე, რაიმე სახის სარეგისტრაციო მოქმედების აკრძალვა, რაც დაკავშირებული იქნებოდა ამ უძრავი ქონების გასხვისებასთან და უფლებრივ დატვირთვასთან.

მოსარჩელეებმა აღნიშნეს, რომ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ

ნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურმა 08.10.2011წ. ე. კ-ის ოჯახის საკუთრებად დაარეგისტრირა 651 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მასზედ არსებული საცხოვრებელი სახლითა და დამხმარე სათავსოებით, საერთო ფართით 277,569 კვ.მ. და ამბროლაურის რ-ის სოფ. ... მდებარე 1002 კვ.მ. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რაც წარმოადგენდა ე. კ-ის, ზ. კ-ის, ი. ო-ის და დ. კ-ის კომლის საკუთრებას, რომელშიც ისინი ირიცხებოდნენ. ე. კ-ემ კომლის დანარჩენი წევრების შეტყობინების გარეშე 03.11.2011წ. აღნიშნული ქონება ჩუქების ხელშეკრულებით გადასცა თავის შვილს – ა. კ-ის საკუთრებაში. „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების შესახებ“ კანონის თანახმად, მესაკუთრეს, რომელიც საადგილმამულო საკომლო მეურნეობას უძღვება ოჯახის სხვა წევრებთან ერთად, უფლება არ აქვს უძრავი ქონება გაასხვისოს ოჯახის სხვა წევრთა სანოტარო წესით დამონმებული თანხმობის გარეშე. მოსარჩელებმა 08.07.2015წ. მოცემული გარემოებების შეტყობინების შემდეგ სარჩელით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიას. 30.03.2017წ. განჩინებით სარჩელი დარჩა განუხილველი იმ მოტივით, რომ ადმინისტრაციული კოლეგიის განსჯადი იყო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 22.06.2017წ. განჩინებით სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს. ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 09.08.2017წ. განჩინებით მოსარჩელის წარმომადგენლის განცხადება სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების შესახებ დაკმაყოფილდა, მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს აეკრძალა სარეგისტრაციო წარმოება ამბროლაურის რაიონის სოფ. ... მდებარე უძრავ ნივთზე ს/კ ... და ..., მესაკუთრე ა. კ-ი.

ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 23.08.2017წ. განჩინებით მოსარჩელების ზ. კ-ის, დ. კ-ის და ი. ო-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 3.2 მუხლზე, სასკ-ის 2.2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტზე, სასკ-ის 26.1 მუხლზე, სასკ-ის მე-15 მუხლზე, საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებაზე“ მითითებით აღნიშნა, რომ განსჯადობის საერთო წესის თანახმად სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის

მიმართ, სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონალური რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისი არის გადანაცვლებების მიმღები ორგანო, რომელიც მდებარეობს ქ. ქუთაისში, ირ. ...-ის №20-ში, შესაბამისად სარჩელი უნდა გადაიგზავნოს მოპასუხეების იურიდიული მისამართების მიხედვით განსახილველად. გარდა ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერება, შესაბამისად განსჯადი სასამართლოს დადგენისას მნიშვნელოვანია თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანო. ვინაიდან მოსარჩელებების მოთხოვნა მიმართული იყო მოპასუხის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონალური რეგისტრაციის მართვის სამსახურის იმერეთის რეგიონალური ოფისის მიმართ, შესაბამისად ტერიტორიული განსჯადობის გათვალისწინებითაც განსჯად სასამართლოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით წარმოადგენს ქუთაისის საქალაქო სასამართლო. სასამართლო წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით განჩინების გამოტანისას აგრეთვე დაეყრდნო საქართველოს უზენაესი სასამართლოს 04.02.2014წ. №ბს-32-31(გ-14) ჩამოყალიბებულ სამართლებრივ დასკვნას, იმის შესახებ, რომ სასამართლოებმა სადავო აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას, უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება განხორციელებული რეგისტრაცია და სად მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, არამედ აქტების გამომცემი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 05.10.2017წ. განჩინებით მოსარჩელებების ზ. კ-ის, დ. კ-ის და ი. ო-ის სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სასამართლომ საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლზე, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 3.2 მუხლზე, სასკ-ის 1.2 მუხლზე, სასკ-ის 26.1 მუხლზე, სსსკ-ის მე-15 მუხლზე, სსსკ-ის მე-18 მუხლზე და საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებულ „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებაზე“ მითითებით აღნიშნა, რომ დავა შეეხება

უძრავ ნივთს, რომელიც მდებარეობს ამბროლაურში და მოსარჩე-  
ლეთა ინტერესს წარმოადგენს ამბროლაურის სარეგისტრაციო სამ-  
სახურის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ მი-  
ღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად  
ცნობა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134  
ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პი-  
რის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ მე-5  
მუხლის, მე-6 მუხლის და მე-10 მუხლის ანალიზიდან გამომდინა-  
რეობს, რომ ამბროლაურის ფილიალი არ წარმოადგენს იმერეთის  
რეგიონალური ოფისის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ  
სამსახურს, არამედ თითოეული მათგანი არის რეგიონალური რე-  
გისტრაციის მართვის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი ტე-  
რიტორიული სამსახური. ტერიტორიული სამსახურების – რეგიო-  
ნალური ოფისებისა და ფილიალების ფუნქციები არის გამიჯნული,  
ფილიალი მონაწილეობას იღებს რეგისტრაციის შესახებ ადმინის-  
ტრაციულ წარმოებაში და უფლებამოსილია შესაბამის საქმეებზე  
სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფაზე, რასაც  
ადგილი აქვს ფილიალის ტერიტორიაზე, რეგიონის მიხედვით შე-  
საბამისი უძრავი ნივთების რეგისტრაციასთან დაკავშირებით და-  
ვების წარმოშობისას. ფილიალი არ წარმოადგენს რეგიონალური  
ოფისის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ სამსახურს, შე-  
საბამისად იმ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების კანო-  
ნიერების თაობაზე სარჩელები, რომლებიც შეეხება ფილიალის ტე-  
რიტორიაზე მყოფ უძრავი ნივთების რეგისტრაციას, შესაძლებე-  
ლია განხილულ იქნეს ფილიალის ადგილსამყოფლის მიხედვით. გარ-  
და ამისა, სსსკ-ის მე-18 მუხლი ადგენს განსაკუთრებულ განსჯა-  
დობას და შესაბამისი სუბიექტური თუ ობიექტური გარემოებების  
არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვრება უძრავი ნივ-  
თის ფაქტობრივი ადგილმდებარეობის მიხედვით. სასამართლომ  
განსახილველ საქმესთან დაკავშირებით განჩინების გამოტანისას  
იხელმძღვანელა აგრეთვე საქართველოს უზენაესი სასამართლოს  
№ბს-964-955(გ-16) საქმეზე მიცემული განმარტებით, რომლის თა-  
ნახმადაც იმისათვის, რომ არ დაირღვეს სასამართლოთა შორის  
საქმის თანაბარი განაწილების პრინციპი სარჩელის განსჯადი სა-  
სამართლოს განსაზღვრა უნდა მოხდეს რიგი კრიტერიუმების გათ-  
ვალისწინებით, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს უფ-  
ლებამოსილების განმახორციელებელი ფილიალის ადგილსამყოფ-  
ლის და სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. აღნიშნუ-  
ლი საქმის განხილვის წესი ვრცელდება, მხოლოდ სსიპ საჯარო რე-  
ესტრის სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონალური  
ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე. საკა-

საცხო პალატამ აგრეთვე მიუთითა, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით“ ფილიალების უფლებამოსილების შეზღუდვა, ფილიალების იურიდიული მისამართის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ სასამართლოს არ აქცევს არაგანსჯადად, რამდენადაც აღნიშნული გამოიწვევს რეგიონალური ოფისების მიხედვით სასამართლოების გადატვირთვას და ფილიალების ადგილსამყოფლის მიხედვით სასამართლოების გათვალისწინებული ფუნქციის შემცირებას, რითაც დაირღვევა სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების პრინციპი. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ სარჩელზე განსჯად სასამართლოდ მიიჩნია ამბროლაურის რაიონული სასამართლო.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, განსჯადობის თაობაზე ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ამბროლაურის რაიონული სასამართლოს განჩინებებს და თვლის, რომ საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადანყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

მინის ნაკვეთზე საკუთრების რეგისტრაციის შესახებ აქტის გამოცემაზე უფლებამოსილი ორგანო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოა, რომელიც თავის ფუნქციებს ახორციელებს უშუალოდ, ტერიტორიული სამსახურების ან ავტორიზებული პირების მეშვეობით („საჯარო რეესტრის შესახებ“ კანონის მე-3 მუხ.). სააგენტოს ტერიტორიული სამსახურებია რეგიონალური ოფისი და ფილიალი (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.2 მუხ.), რომლებიც თავის სამოქმედო ტერიტორიაზე ნორმატიულად განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებენ სააგენტოს ფუნქციებს (დებულების 30.1,

31.1 მუხ.). საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საჯარო რეესტრის შიდა ორგანიზაცია ხასიათდება მის სტრუქტურებს შორის მყარი ურთიერთკავშირით, რომელიც ქმნის სტრუქტურის ერთიანობას. საჯარო რეესტრის ორგანიზაციული სტრუქტურის ცალკეულ ერთეულებად დაყოფა, დიფერენციაცია ტერიტორიულ ორგანოებზე განპირობებულია მომსახურების ხელმისაწვდომობის, რაციონალური დატვირთვის, საქმიანობის ეფექტურობისა და სხვა მოსაზრებებით. ამდენად, წარდგენილ განაცხადზე სარეგისტრაციო წარმოების ჩატარებას და შემდგომში აქტის გამოცემას ახდენს არა უშუალოდ სააგენტო, არამედ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სამსახური, სწორედ ტერიტორიულმა ორგანომ უნდა უზრუნველყოს საქმის გარემოებათა ყოველმხრივი გამოკვლევა, საჭიროების შემთხვევაში ადგილზე დათვალიერება და სხვ.. სადავო აქტის გამოცემის დროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ერთიანი სტრუქტურა ითვალისწინებდა ადგილზე სარეგისტრაციო ორგანოების ფუნქციონირებას. მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ა. კ-ემ უძრავ ნივთზე უფლების რეგისტრაციის მოთხოვნით მიმართა ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახურს 04.11.2011წ., საჯარო რეესტრის ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახურის 10.11.2011წ. №...-03 გადაწყვეტილებით ა. კ-ის განაცხადება დაკმაყოფილდა და ამბროლაურში, სოფ. ... მდებარე უძრავი ნივთის ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე, საკუთრების უფლებით დარეგისტრირდა ა. კ-ის სახელზე. სადავო აქტის გამოცემის დროს მოქმედი საქართველოს იუსტიციის მინისტრის 19.07.2004წ. №835 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 6.1-ის მუხლის მიხედვით, სააგენტო თავის უფლებამოსილებების განხორციელებას უზრუნველყოფდა სტრუქტურული ქვედანაყოფებისა და ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების მეშვეობით. დებულების 6.3 მუხლის თანახმად, სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურებს წარმოადგენდა ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახური და ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახური. შესაბამისად, მოცემულ პერიოდში ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახურს ჰქონდა კანონით მინიჭებული უფლებამოსილება წარმოებაში მიეღო დაინტერესებული პირის განაცხადი და გამოეცა ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უძრავ ნივთებზე რეგისტრაციას დაქვემდებარებულ უფლებათა პირველადი და შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილ უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხ.). სარჩელი ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში



აღიძრა. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით“ გაუქმდა საქართველოს იუსტიციის მინისტრის 19.07.2004წ. №835 ბრძანებით დამტკიცებული სააგენტოს დებულება, მოქმედი დებულების მე-10 მუხლის შესაბამისად, სააგენტოს ტერიტორიული სამსახურის რეგიონალური ოფისის ხელმძღვანელი, ისევე როგორც სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურის – ფილიალის ხელმძღვანელი – უფროსი ოპერატიული ანგარიშვალდებულნი არიან სააგენტოს ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტისა და რეგიონალური რეგისტრაციის მართვის სამსახურის უფროსის წინაშე. ამბროლაურის ფილიალი არ წარმოადგენს იმერეთის რეგიონალური ოფისის დაქვემდებარებაში მყოფ ტერიტორიულ სამსახურს, თითოეული მათგანი არის სააგენტოს რეგიონალური რეგისტრაციის მართვის სამსახურის დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორიული სამსახური. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულების“ 30-31-ე მუხლებით გამიჯნულია ტერიტორიული სამსახურების – რეგიონალური ოფისებისა და ფილიალების ფუნქციები, ფილიალი მონაწილეობას იღებს რეგისტრაციის შესახებ ადმინისტრაციულ წარმოებაში, აგრეთვე მინიჭებული აქვს უფლებამოსილება შესაბამის საქმეებზე ფილიალის ტერიტორიაზე რეგიონის მიხედვით, უძრავი ნივთების რეგისტრაციასთან დაკავშირებული დავების წარმოშობისას, სასამართლოში წარმომადგენლობის უზრუნველყოფის ფუნქციით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის, პროცესის ეკონომიურობის და ოპერატიულობის, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, ადმინისტრაციული ორგანოს ტერიტორიული დაყოფის მიზნები, კონკრეტული დავის თავისებურებები. საქართველოს იუსტიციის მინისტრის 03.05.2016წ. №134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს დებულებით“ სააგენტოს ადგილობრივი ორგანოების სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციების გადანაწილება არ აქცევს ფილიალების იურიდიული მისამართის სამოქმედო ტერიტორიაზე მყოფ სასამართლოს არაგანსჯადად, ოფისების მიხედვით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა გამოიწვევს რეგიონალური ოფისების მიხედვით (დებულებით სულ რვა ოფისის ფუნქციონირებაა გათვალისწინებული) სასამართლოების გადატვირ-

თვას. „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის 31-ე მუხლის თანახმად, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს განსჯადობა, ასევე მაგისტრი მოსამართლის განსჯადობა განისაზღვრება კანონით. სსკ-ის 18.1 მუხლის შესაბამისად, საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთს, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღიძრა ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება მიღებულ იქნა ამბროლაურის რაიონული სასამართლოს მიერ. სარჩელის მიზნის გათვალისწინებით, განსჯადი სასამართლო მოცემულ შემთხვევაში განისაზღვრება სადავო ქონების ადგილმდებარეობის მიხედვით. კონკრეტულ შემთხვევაში, სასარჩელო დავა შეეხება უძრავ ნივთს, რომელიც მდებარეობს ამბროლაურში და მოსარჩელეთა ინტერესს წარმოადგენს ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიერ საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ გამოცემული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა. ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, გასაჩივრებული აქტების უცვლელად დატოვება, ინვესტ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას არსებითი გადაწყვეტილების მიმღები ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფლის, სადავო აქტების გამომცემი ამბროლაურის სარეგისტრაციო სამსახურის მიხედვით. შესაბამისად, საერთო განსჯადობის წესების გათვალისწინებით, აგრეთვე განსაკუთრებული ნივთობრივი და ალტერნატიული განსჯადობის წესების თანახმად, განსჯადი სასამართლო არის ამბროლაურის რაიონული სასამართლო.

„თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილების 3.2 მუხლის მიხედვით, ამბროლაურის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია განისაზღვრება თვითმმართველი ქალაქის – ამბროლაურის, ამბროლაურისა და ონის მუნიციპალიტეტების ადმინისტრაციული საზღვრებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ზ. კ-ის, დ. კ-ის და ი. ო-ის სარჩელი არსებითი განხილვისათვის უნდა დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს.

**სარეზოლუციო ნაწილი:**

საკაცაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 2.1, 26.3 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

**და ა დ გ ი ნ ა:**

1. ზ. კ-ის, დ. კ-ის და ი. ო-ის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ამბროლაურის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საკაცაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

**ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალების  
თაობაზე განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის  
მიხედვით**

**განჩინება  
საქართველოს სახელით**

№ბს-587-587(გ-18)

01 ნოემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა ბმა „...“ სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის წარმომოხილი დავა.

**აღწერილობითი ნაწილი:**

ბმა „...-მა“ 03.04.2017წ. სარჩელით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა მოპასუხის მიერ ბმა „...-თვის“ თიანეთში, დაბა ... მდებარე 32.8 კვ.მ. ფართზე უფლების გადაცემის

შესახებ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ... მიერ თიანეთის სანოტარო ბიუროს პრივატიზაციის №2 ხელშეკრულებისა და სახელმწიფო ქონების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე 27.03.2001წ. განხორციელდა თიანეთის რაიონში, დაბა ..., ... ქ.№10-ში მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსისა და მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთის პრივატიზაცია, თუმცა აღნიშნული უძრავი ქონება სრულად არ დარეგისტრირებულა საჯარო რეესტრში. სადავო 32,8 კვ.მ. ფართზე საკუთრების მონაგობა არ გაცემულა და დაურეგისტრირებელია, თუმცა ფართი მდებარეობს პრივატიზებულ საცხოვრებელ კორპუსში, არის საერთო სარგებლობის, რომელსაც ფაქტობრივად იყენებს ამხანაგობა. 06.04.2016წ. ბმა „...-ის“ თავმჯდომარემ მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თიანეთის სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა ამხანაგობის წევრების საკუთრების რეგისტრაცია უძრავ ნივთზე, თუმცა განცხადება არ დაკმაყოფილდა უფლების დამდგენი დოკუმენტის წარუდგენლობის გამო. წერილი ასევე გაეგზავნა სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს, მაგრამ მან თავი აარიდა კონკრეტული პასუხის გაცემას მიუხედავად იმისა, რომ განცხადებას თან ერთვოდა ყველა დოკუმენტი, რომელიც ადასტურებდა თიანეთის რაიონის დაბა ..., ... ქ.№10-ში მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსისა და მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთის სრულ და არა ნაწილობრივ პრივატიზაციას. სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს უმოქმედობის გამო ბმა „...“ ვერ ახერხებს საკუთრების რეგისტრაციას.

მცხეთის რაიონული სასამართლოს 26.04.2017წ. განჩინებით, სასკ-ის 16.2 მუხლის საფუძველზე, საქმეში მესამე პირად ჩაბმულ იქნა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.04.2018წ. განჩინებით ბმა „...-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსათვის სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება, რა დროსაც საერთო განსჯადობის წესების საფუძველზე, სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით. სასამართლომ სსკ-ის მე-15 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ სარჩელი სასამართლოს წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო მდებარეობს ქ. თბილისში, ამდენად, სარჩელი წარდგენილი უნდა ყოფილი-

ყო თბილისის საქალაქო სასამართლოში. ამასთანავე, მართალია, სსკ-ის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, უძრავი ქონების ადგილმდებარეობა ასევე განმსაზღვრელია განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას, თუმცა სსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. განსახილველ შემთხვევაში, ყველა მხარე, მათ შორის მოსარჩელე, ეთანხმება საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილვას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 18.05.2018წ. განჩინებით ბმა „...-ის“ სარჩელი განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „საერთო სასამართლოების შესახებ“ ორგანული კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, ყოველ ადამიანს უფლება აქვს თავის უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად მიმართოს სასამართლოს, ყოველი პირი უნდა განსჯადოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასამართლომ სსკ-ის მე-16 მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელე მოპასუხისათვის თიანეთში, დაბა ... მდებარე 32,8 კვ.მ. ფართის გადაცემის დავალებას ითხოვს იმ გარემოებაზე მითითებით, რომ ბმა-ს აღნიშნულ ქონებაზე უფლება 27.03.2001წ. აუქციონის შედეგად სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თიანეთის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებასთან გაფორმებული პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე წარმოეშვა. ამდენად, დავა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან და იგი უნდა განიხილოს სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაც მდებარეობს ხელშეკრულების შესრულების ადგილას – თიანეთის რაიონი, დაბა ... .

სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც დავა ეხება უძრავ ქონებას და სარჩელი წარდგენილია ამ უძრავ ქონებაზე უფლების მქონე პირის მიმართ, განსჯადობის საკითხი წყდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 და მე-20 მუხლების შესაბამისად, სარჩელი ნივთობრივი განსჯადობით უნდა განიხილოს იმ სასამართლომ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც სადავო უძრავი ქონება მდებარეობს და რომელიც მოსარჩელემ აირჩია, რათა დაცულ იქნეს განსჯადობის მარეგულირებელი ნორმების მიზანი – მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის შესახებ. ამდენად, სასა-

მართლმ მიიჩნია, რომ სარჩელი მცხეთის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე მცხეთის რაიონული სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად, სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თვლის, რომ ბმა „...-ის“ სარჩელი განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26.3 მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხს. სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სასამართლოებს შორის განსჯადობის წესების მიხედვით დავების განაწილება ემსახურება მართლმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობას, პროცესის ეკონომიურობას და ოპერატიულობას, სასამართლოებს შორის დატვირთვის თანაბარი განაწილების უზრუნველყოფას, რა დროსაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს აგრეთვე საჯარო მმართველობის განხორციელების ფორმა, პრინციპები, კონკრეტული დავის თავისებურებები. ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე, რომლის მიხედვით კონკრეტულ ტერიტორიაზე უძრავი ქონების ან სამართალურთიერთობასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ის ადმინისტრაციული ორგანო, რომლის ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს ეს უძრავი ქონება ან არსებობს სამართლებრივი ურთიერთობა. ტერიტორიული განსჯადობის არსი მდგომარეობს პრინციპში, რომლის მიხედვით მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (სსსკ-ის მე-15 მუხლი). ამდენად, საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურის-

დიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც არის საქმეზე მოპასუხედ დასახელებული ფიზიკური ან იურიდიული პირის, ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელი, თუმცა საპროცესო კანონმდებლობა, გარკვეული კატეგორიის დავების თავისებურებებიდან გამომდინარე, განსჯადობის არაერთ სპეციალურ წესს ითვალისწინებს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე, მართალია, ითხოვს სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსათვის 32.8 კვ.მ. ფართის საკუთრებაში გადაცემის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალებას, თუმცა გასათვალისწინებელია მოთხოვნის ფაქტობრივი საფუძვლები. მოსარჩელე უთითებს, რომ ამხანაგობას ფართი გადაეცა 27.03.2001წ. პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე, რაც დაფიქსირდა 27.03.2001წ. მიღება-ჩაბარების აქტში. მოსარჩელის მოსაზრებით, ხელშეკრულებაში მითითებული ორი საცხოვრებელი კორპუსის პრივატიზება განხორციელდა სრულად და არა ნაწილობრივ, სადავო ფართიც სწორედ ერთ-ერთ კორპუსში მდებარეობს და წარმოადგენს საერთო სარგებლობის ფართს, ამდენად, მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ამხანაგობის საკუთრება სადავო ფართზე პრივატიზების ხელშეკრულების საფუძველზე უკვე წარმოშობილია, თუმცა ფართის მარეგისტრირებელ ორგანოში აღრიცხვისათვის ესაჭიროება აღნიშნული უფლების დადასტურების შესახებ მოპასუხის მიერ სათანადო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა. ამდენად, მიუხედავად იმისა, რომ აქტის გამოცემის დავალების საფუძველად მოსარჩელე მხარეთა შორის არსებულ პრივატიზების ხელშეკრულებას მიიჩნევს, საკასაციო პალატა არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას, რომ დავა სახელშეკრულებოა და განსჯადი სასამართლო განსაკუთრებული განსჯადობის (სსკ-ის 16.2 მუხ.) წესების დაცვით უნდა დადგინდეს.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ დავის ტერიტორიული კუთვნილების განსაზღვრისას განსჯადობის სპეციალურ წესს უპირატესობა ენიჭება განსჯადობის ზოგად წესთან მიმართებით. სწორედ ასეთ სპეციალურ წესს ადგენს სსკ-ის მე-16 მუხლი, რომლის თანახმად, ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელები სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო. ხელშეკრულების შესრულების ადგილი განისაზღვრება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულების, ანუ იმ ვალდებულების შესრულების ადგილით, რომლის შესრულების მიზნითაც დაიდო ხელშეკრულება. ვალდებულების შესრულების



ადგილი შესაძლოა განისაზღვროს კონკრეტულად (ნორმატიულად ან მხარეთა შეთანხმებით) ან დარჩეს განუსაზღვრელი. უკანასკნელ შემთხვევაში ვალდებულების შესრულების ადგილი ვალდებულებითი ურთიერთობის შინაარსიდან დგინდება. განსახილველ შემთხვევაში დასტურდება, რომ საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს თიანეთის სახელმწიფო ქონების მართვის განყოფილებასა და აუქციონში გამარჯვებულ ... .. ა. ქ-ს (ფიზიკურ პირთა ჯგუფის სახელით) შორის 27.03.2001წ. ხელშეკრულება დაიდო თიანეთის რაიონის დაბა ... მდებარე ორი საცხოვრებელი კორპუსის, ხუთი კოტეჯისა და მიმდებარე ტერიტორიის კერძო საკუთრებაში გადასვლის მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით, ვინაიდან ხელშეკრულების ძირითადი საგანი უძრავ ნივთზე საკუთრების გადაცემაა, ხელშეკრულების შესრულების ადგილი ემთხვევა უძრავი ნივთის მდებარეობას და არის თიანეთი, დაბა ..., თუმცა აღნიშნული არ ადასტურებს დავის მცხეთის რაიონული სასამართლოსათვის დაქვემდებარებას, რადგან პრივატიზაციის განხორციელებისას – 2001 წელს მოქმედი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 30.05.1997წ. კანონის მიხედვით, სახელმწიფო ქონების პრივატიზაციის პროცესი კომპლექსური ხასიათის იყო და შედეგობა რეალაქტებისაგან (გამოცხადება, კონკურსის/აუქციონის ჩატარება და სხვ.), ქონების პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულების დადებისაგან, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის – საკუთრების მონუმობის გამოცემისაგან. საკუთრების მონუმობის გაცემის ვალდებულება აღარ ფიქსირდება ამჟამად მოქმედ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ 21.07.2010წ. კანონში, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“ 30.05.1997წ. კანონი. მნიშვნელოვანია, რომ მოსარჩელე არ ითხოვს საკუთრების მონუმობის გაცემას, მოსარჩელე მოითხოვს მოპასუხისაგან – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოსგან აქტის გამოცემას, რომლითაც დადასტურდება სადავო ფართზე საკუთრების მოსარჩელისათვის გადაცემა. შესაბამისად მოთხოვნა ეხება არა ხელშეკრულების აღსრულებას, არამედ ადმინისტრაციული ორგანოსათვის აქტის გამოცემის დავალებას, ბმა „...-ის“ სახელზე 32,8 კვ.მ. ფართზე საკუთრების უფლების 2001 წელს გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემას (მავალბებელი სარჩელი, სასკ-ის 23-ე, 33-ე მუხ.). საქმის მასალებით დასტურდება, რომ სა-

ჯარო რეესტრში მოსარჩელის საკუთრების უფლება სადავო 32,8 კვ.მ. ფართზე არ დარეგისტრირდა უფლებადამდგენი დოკუმენტების არარსებობის გამო, ამასთან, სააგენტომ უარი განაცხადა სადავო ფართზე ამხანაგობის საკუთრების უფლების დადასტურებაზე. სასარჩელო მოთხოვნას ადმინისტრაციული ორგანოსათვის სწორედ აღნიშნული საკუთრების უფლების დამადასტურებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება წარმოადგენს, მოსარჩელე თვლის, რომ მას საკუთრება უკვე გადაცემული აქვს 27.03.2001წ. პრივატიზების ხელშეკრულებით, ორგანომ აქტის გამოცემით უნდა დაადასტუროს ეს ფაქტი. აღნიშნულის გათვალისწინებით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა უნდა მოხდეს არა განსაკუთრებული წესის, კერძოდ ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით (სსკ-ის მე-16 მუხ.), არამედ განსჯადობის ორდინალური წესით (სსკ-ის მე-15 მუხ.) – მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე იმ გარემოებაზე, რომ დავა არ ეხება საჯარო რეესტრში რეგისტრაციის განხორციელების საკითხს, დავის საგანს არ შეადგენს სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ 11.04.2016წ. და შეწყვეტის შესახებ 13.05.2016წ. თიანეთის სარეგისტრაციო სამსახურის გადაწყვეტილებების, აგრეთვე ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 13.07.2016წ. №... გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. დავა არ ეხება საჯარო რეესტრში არსებული რეგისტრაციის კანონიერებას ან პრივატიზაციის ხელშეკრულების აღსრულების მიზნით მარეგისტრირებელი ორგანოსათვის რეგისტრაციის განხორციელების დავალებას. შესაბამისად მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-18) განსჯადობის წესების გამოყენების საფუძველი. საკასაციო პალატა ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უძრავი ნივთის მდებარეობის მიხედვით განსჯადობის საკითხის გადაწყვეტა დაიშვება მხოლოდ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და მის სისტემაში შემავალი რეგიონული ოფისებისა და ფილიალების მიმართ აღძრულ სარჩელებზე, რათა ერთიანმა, ცენტრალიზებულმა სისტემამ, შედეგად არ გამოიწვიოს ყველა შემთხვევაში განსჯად სასამართლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს განსაზღვრა, მარეგისტრირებელი ორგანოს მიმართ წარმოშობილი ადმინისტრაციული საქმეების ერთ სასამართლოში კონცენტრაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა და-

ექვემდებაროს იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის მოპასუხის ადგილსამყოფელი. საქმეზე მოპასუხედ დასახელებული სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მისამართია: ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №49ა (საქართველოს მთავრობის 17.09.2012წ. №391 დადგენილებით დამტკიცებული „სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დებულების“ 1.7 მუხ.). „რაიონული (საქალაქო), თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების შექმნის, მათი სამოქმედო ტერიტორიისა და მოსამართლეთა რაოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.2007წ. №1/150-2007 გადაწყვეტილებით განისაზღვრა რაიონული (საქალაქო) სასამართლოების, თბილისისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოების სამოქმედო ტერიტორიები, აღნიშნულ სასამართლოებსა და სასამართლო კოლეგიებში (პალატებში) მოსამართლეთა რაოდენობა. გადაწყვეტილების 20.2 მუხლის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიად განისაზღვრა საქართველოს დედაქალაქის – თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები. მნიშვნელოვანია, რომ მოცემული დავა არ არის გათვალისწინებული მაგისტრატ მოსამართლეთა განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალში (სასკ-ის მე-6 მუხ.), შესაბამისად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ შემთხვევაში, ბმა „...-ის“ სარჩელი სსკ-ის მე-15 მუხლით განსაზღვრული განსჯადობის წესების დაცვით, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს, საკასაციო პალატა არ იზიარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ განსახილველი დავის განსჯადობის გადაწყვეტისას მხარეთა მიერ განსჯად სასამართლოდ თბილისის საქალაქო სასამართლოს დასახელების გამო დავის თბილისის საქალაქო სასამართლოსადმი დაქვემდებარების შესახებ მოსაზრებას, რადგან სასკ-ის 26-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხს ენიჭება არა დისპოზიციური, არამედ იმპერატიული ხასიათი, განსჯადობა განიხილება საჯარო წესრიგის შემადგენელ ნაწილად, მხარეების შეთანხმება სასამართლო განსჯადობაზე ან რომელიმე სასამართლოს იურისდიქციის გამორიცხვა არ დაიშვება, მსგავსი შეთანხმებები არ ცვლის კანონმდებლობით დადგენილ განსჯადობის იმპერატიულ წესს. ამდენად, მხარეთა თანხმობა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ დავის განხილვაზე, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისთვის არ არის რელევანტური. განსჯადობის შესახებ წერილობითი შეთანხმება დაიშვება მხოლოდ

სამოქალაქო სასამართლო წარმოებაში, თუმცა იმ შემთხვევაში, როდესაც არ არის დადგენილი ერთმნიშვნელოვნად განსჯადი სასამართლო და მოპასუხეს განემარტება სასამართლოს არაგანსჯადობის თანამდევნი შედეგები (სსკ-ის 21-ე მუხ.). სასკ-ის 1.2 მუხლის ჩანაწერი, რომ ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესები, არ გულისხმობს ადმინისტრაციული დავების განხილვისას სსკ-ის 21-ე მუხლის გამოყენების შესაძლებლობას, რადგან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით საკითხი სხვაგვარად არ არის მონესრიგებული. განსახილველ შემთხვევაში სასკ-ის 26.1 მუხლით ერთმნიშვნელოვნად არის დადგენილი დავის განსჯადი სასამართლოს მიერ განხილვის საჭიროება, შესაბამისად, ადმინისტრაციულ სასამართლო წარმოებაში განსჯადობის საკითხი არ არის დამოკიდებული მხარეთა მოსაზრებებზე. ამდენად, დავა განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებაროს შესაბამისი ნორმატიული მონესრიგების და არა მხარეთა შეთანხმების გამო.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-16, მე-18 მუხლებით და

#### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ბმა „...-ის“ სარჩელი მოპასუხე სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

**ბ) განსჯადობა მოსარჩელის არჩევით;**  
**ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეზე**  
**ალტერნატიული განსჯადობა**

**განჩინება**  
**საქართველოს სახელით**

№ბს-648-648(გ-18)

3 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
ნ. სხირტლაძე,  
ვ. როინიშვილი

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

**აღწერილობითი ნაწილი:**

2018 წლის 11 მაისს ა. გ-ემ საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის შიდა ქართლის სამმართველოს მიმართ.

საჩივრის ავტორმა 2018 წლის 9 აპრილის №ემ 032429 საჯარიმო ქვითრის გაუქმება მოითხოვა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2018 წლის 14 მაისის განჩინებით ა. გ-ის საჩივარი განსჯადობის წესის დაცვით განსახილველად გადაეგზავნა ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს მითითებით, საჩივრითა და მასზე თანდართული მასალით ირკვევა, რომ 2018 წლის 9 აპრილს ქ. ხაშურში, ..., ა. გ-ის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6, 6<sup>2</sup> და მე-7-მე-8 ნაწილებით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის და ჯარიმის სახით შეეთარდა 250 ლარი. ქულათა კლება 25.

სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად კი, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

წარმოდგენილი მასალების შესაბამისად, ქუთაისის საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ის გარემოება, რომ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქ. ხაშური, ... .

სასამართლომ აღნიშნა, რომ საერთო წესის მიხედვით, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, სადაც განხორციელდა სამართალდარღვევა ან დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (116-ე-125-ე მუხლები). მოცემულ შემთხვევაში, შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ქ. ხაშური, ... .

სასამართლომ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის მითითება, ამავე კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით განხილვის შესახებ, არ წარმოადგენს კანონის იმპერატიულ დანაწესს და აღნიშნული საქმის განხილვა უნდა მოხდეს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას მდებარე, ხაშურის რაიონულ სასამართლოში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ა. გ-ის საჩივარი სამართალდარღვევის ჩადენის ადგილის მიხედვით უნდა გადაგზავნოდა განსჯად ხაშურის რაიონულ სასამართლოს.

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 31 მაისის განჩინებით მოცემული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ხაშურის რაიონული სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლით განსაზღვრულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვის განსჯადობა, კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ა</sup>-159<sup>ბ</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო. იმავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ კოდექსის 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს, აგრეთვე, დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვე-

ვაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-10 ნაწილით. სამართალდარღვევის ჩადენის ადგილია ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ხოლო სამართალდარღვევის საცხოვრებელი ადგილი – ქ. ქუთაისი,.... №111.

ამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის შესაბამისად, მოცემული საქმის განსჯადი სასამართლოებია ხაშურის რაიონული სასამართლო და ქუთაისის საქალაქო სასამართლო.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობა შედგება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ ამ კოდექსისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებისაგან. იმავე კოდექსის 231-ე მუხლის მე-2 აბზაცის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა საქმეების წარმოების წესი სასამართლოებში განისაზღვრება ამ კოდექსით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით დადგენილია განსჯადი სასამართლოს მიერ დავის განხილვისა და გადაწყვეტის პრინციპი. ეს კოდექსი არ არეგულირებს ერთი და იმავე საქმის რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტის წესს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის მიხედვით, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს.

სასამართლოს მითითებით, საჩივრის ავტორმა – ა. გ-ემ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ და დავის გადასაწყვეტად მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. მომჩივნის მიერ აღნიშნული საპროცესო მოქმედების შესრულების შემდეგ საქმის განხილვასა და გადაწყვეტაზე უფლებამოსილი ერთადერთი სასამართლო გახდა ქუთაისის საქალაქო სასამართლო. შესაბამისად, სასამართლოს მითითებით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში საქმის განსჯადობით გადაგზავნა არ შეესაბამებოდა ზემოაღნიშნული ნორმების მოთხოვნებს, რის გამოც საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადა-



მოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამონმა ქუთაისის საქალაქო სასამართლოსა და ხაშურის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლით რეგლამენტირებულია საერთო განსჯადობის შესახებ წესები. მითითებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. შესაბამისად, მითითებული მუხლი რამდენიმე სასამართლოს განსჯადობის შემთხვევაში არჩევანის უფლებას მოსარჩელეს ანიჭებს. განსჯადი სასამართლოს განსაზღვრა მოსარჩელის პრეროგატივა და ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა, რასაც იგი განსაზღვრავს სარჩელის წარდგენის დროს, ანუ ირჩევს იმ სასამართლოს, სადაც

წარადგენს სარჩელს. ამასთან, მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი დაუშვებელია როგორც მოპასუხის მოთხოვნით, ისე სასამართლოს ინიციატივით. ამდენად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლი (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით) უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას.

განსახილველ შემთხვევაში დადგენილია, რომ ა. გ-ის მიმართ 2018 წლის 9 აპრილს გამოწერილი №ემ032429 ელექტრონული საჯარიმო ქვითარი, რომელსაც სადავოდ ხდის საჩივრის ავტორი, შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მიხედვით, ქ. ხაშურში, თ.ს.ლ. 141-ე კილომეტრზე, ხოლო ა. გ-ის საცხოვრებელი ადგილია ქ. ქუთაისი, ... ქ. №111.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-6 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლო ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ოქმების კანონიერების საკითხს იხილავს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას, გარდა ამ კოდექსის 159<sup>ა</sup>-159<sup>ბ</sup> მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებისა, რომლებსაც განიხილავს თბილისის საქალაქო სასამართლო; ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, 116-ე-125-ე მუხლებით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები შეიძლება განხილულ იქნეს აგრეთვე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ამდენად, კანონმდებლობა 125-ე მუხლთან დაკავშირებით ითვალისწინებს ალტერნატიულ განსჯადობას, კერძოდ, 125-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვა შესაძლებელია როგორც სამართალდარღვევის ჩადენის ადგილას, ასევე დამრღვევის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. გასაჩივრებულ აქტს საფუძვლად უდევს 125-ე მუხლი. ა. გ-ის მიმართ 2018 წლის 9 აპრილს საჯარიმო ქვითარი შედგენილია ქ. ხაშურში, ..., ა. გ-ის საცხოვრებელ ადგილს კი წარმოადგენს ქ. ქუთაისი, ... №111 და მან საჩივრით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს. შესაბამისად, ა. გ-ე უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა სასამართლოს არჩევის უფლება და მიემართა სასამართლოსათვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ეთანხმება ხაშურის რაიონული სასამართლოს მსჯელობას, რომ საჩივრის ავტორმა – ა. გ-ემ გამოიყენა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება სასამართლოს არჩევის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს.

#### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

#### **და ა დ ბ ი ნ ა :**

1. ა. გ-ის საჩივარი საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის საქალაქო სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

#### **4. საქმის წარმოების განახლებაზე განცხადების განსჯადი სასამართლოსათვის გადაცემა**

#### **გადაწყვეტილების გათილად ცნობის თაობაზე განცხადების განსჯალოზე**

#### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№ბ-1338-1(ბ-18) 7 სექტემბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე**

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, 429-ე მუხლის საფუძველზე, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა შპს „მ“ ყოფილი დირექტორისა და დამფუძნებლის – თ. მ-ის განცხადების დასაშვებობის საკითხი საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე.

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

შპს „...-მა“ 1997 წლის 10 მარტს სასარჩელო განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მოპასუხე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მიმართ. მოსარჩელემ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 6 მარტის დადგენილების მე-2 პუნქტის გაუქმება მოითხოვა. გასაჩივრებული დადგენილების მე-2 პუნქტით გაუქმდა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 25 ივლისის №12.23.769 დადგენილების ის ნაწილი, რომლითაც შპს „...-ს“ ავტოსადგომისა და ავტოსერვისის კომპლექსის მოსაწყობად მიეცა მიწის ნაკვეთით დროებითი სარგებლობის უფლება.

საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 6 მარტის №06.17.283 დადგენილების მეორე პუნქტი, რომლითაც იყო გაუქმებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 25 ივლისის №12.23.769 დადგენილება.

შპს „მ...“ ყოფილმა დირექტორმა – თ. მ-ემ 2018 წლის 29 აგვისტოს განცხადებით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, რომლითაც საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა, საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

განმცხადებელი გასაჩივრებული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის საფუძველად მიუთითებს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტზე და აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის №12-10 გადაწყვეტილება ეხება თ. მ-ის, როგორც შპს „...“ პარტნიორისა და დირექტორის ინტერესებს, სადავო მინის ნაკვეთზე ადგენს შპს „...“-ის “ უფლებას იმ პირობებში, როდესაც საქმეში არ მონაწილეობდა დაინტერესებული პირი – შპს „მ...“. საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის №12-10 გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებლისათვის ცნობილი გახდა სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მიმდინარე ადმინისტრაციული წარმოების (2018 წლის 14 მაისის №271907/17 ადმინისტრაციულ საჩივართან დაკავშირებით) პროცესში. კერძოდ, საჯარო რეესტრის 2018 წლის 31 ივლისის №333805 წერილი თ. მ-ის წარმომადგენელს გადაეგზავნა 2018 წლის 16 ივლისს შპს ... -ის“ წარმომადგენლის – ა. გ-ას მიერ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილი №405407/17 განცხადება დანართთან ერთად, რომელიც ასევე მოიცავდა საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის №12-10 გადაწყვეტილებას.

განმცხადებელი აღნიშნავს, რომ მის მიერ დაცულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 426-ე მუხლით გათვალისწინებული განცხადების წარდგენის ერთთვიანი ვადა. ამასთან, განმცხადებლის მოსაზრებით დაცულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი განსჯადობის წესი, რამდენადაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეზე და დღეის მდგომარეობით საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს №12-10 საქმეზე 1997 წლის 2 აპრილს გამოტანი-

ლი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ შპს „მ...“ ყოფილი დირექტორისა და დამფუძნებლის – თ. მ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის №12-10 გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება გადაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს გადაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს შემდგომი სასამართლოს განჩინება ამ გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ.

აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ შპს „მ...“ ყოფილი დირექტორისა და დამფუძნებლის – თ. მ-ის განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკაცაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების მიღების დროს მოქმედი „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-3 მუხლის შესაბამისად, საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს ორგანიზაციისა და საქმიანობის წესს განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუცია, „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონი, საქართველოს რესპუბლიკის საარბიტრაჟო სასამართლო წარმოების კოდექსი და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტები. იმავე კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კოლეგიები თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში განიხილავდნენ საქმეებს პირველი ინსტანციით, ზედამხედველობის წესით და ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო.

მოცემულ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილება მიღებულია „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ კანონის მე-18 მუხლით საარბიტრაჟო სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის თანახმად, საარბიტრაჟო სასამართლო იხილავდა ეკონომიკური ხასიათის დავას სანარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს შორის, რომლებიც იყვნენ იურიდიული პირები მათი უწყებრივი დაქვემდებარების, საკუთრების ფორმისა და სადავო თანხის ოდენობის მიუხედავად. მათ შორის, დავას სახელმწიფო და სხვა ორგანოების და თანამდებობის პირების მიერ მიღებული იმ აქტების ბათილად ცნობის შესახებ, რომლებიც ლახავენ ადგილობრივი მმართველობის, სანარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ქონებრივ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს.

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ 1997 წლის 13 ივნისს მიღებული №767-III ორგანული კანონის 90-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ამ კანონის ამოქმედების მომენტიდან ძალადაკარგულად ჩაითვალა „საქართველოს რესპუბლიკაში საარბიტრაჟო სასამართლოს შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 23 აპრილის კანონი. 87-ე მუხლით დადგინდა საქართველოს საარბიტრაჟო და სამხედრო სასამართლოების წარმოებაში არსებული საქმეების საერთო სასამართლოებისათვის გადაცემის წესი, რომლის მე-3 პუნქტის თანახმად, საქართველოს საარბიტრაჟო და სამხედრო სასამართლოების წარმოებაში არსებული ყველა საქმე, რომელთა განხილვაც არ დაწყებულა 1997 წლის 15 ოქტომბრამდე, საპროცესო კანონის შესაბამისად, გადაეცემოდა საქართველოს უზენაეს სასამართლოს საერთო სასამართლოებისათვის გასანაწილებლად.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 435-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო საქმეების წარმოება სასამართლოში ხორციელდება სამოქალაქო საპროცესო კანონებით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების დროს. შპს „მ...“ ყოფილი დირექტორი და დამფუძნებელი თ. მ-ე სწორედ მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის საფუძველზე ითხოვს პირველი ინსტანციის წესით განხილვის შედეგად იმ დროს მოქმედი სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსის 197-ე და 198-ე მუხლების საფუძველზე გამოტანილი საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობას, რომლითაც სარჩელი დაკმაყოფილდა; გაუქმდა ქ. თბილისის მუნი-



ციპალიტეტის კაბინეტის 1996 წლის 25 ივლისის №12.23.769 დადგენილების გაუქმების შესახებ თბილისის მუნიციპალიტეტის კაბინეტის 1997 წლის 6 მარტის №06.17.283 დადგენილების მეორე პუნქტი. შესაბამისად, დავის საგანია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, რომელსაც იმავე კოდექსის მე-5 მუხლის შესაბამისად, პირველი ინსტანციით განიხილავს რაიონული (საქალაქო) სასამართლო.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საზედამხედველო წარმოების წესს, გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვის დროს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველს წარმოადგენს ისეთი გარემოებებისა და მტკიცებულებების არსებობის დადგენა, რომლებიც ადრე რომ ყოფილიყო წარდგენილი სასამართლოში, გამოიწვევდა სხვაგვარი გადაწყვეტილების გამოტანას. საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადების განხილვა სცილდება საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებს და შესაბამისად, საკასაციო პალატა არ არის უფლებამოსილი იმსჯელოს განცხადების დასაშვებობაზე, რის გამოც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის საფუძველზე, პირველი ინსტანციის წესით განხილვის შედეგად საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ 1997 წლის 2 აპრილს №12-10 საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესახებ განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილით 425-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. შპს „მ...“ ყოფილი დირექტორისა და დამფუძნებლის – თ. მ-ის განცხადება საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს 1997 წლის 2 აპრილის გადაწყვეტილების ბათილად ცნობის შესა-

ხებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## **ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის განახლების თაობაზე განცხადების განსჯადობა**

### **განჩინება საქართველოს სახელმწიფო**

№7-715-7(ა-18)

18 ოქტომბერი, 2018 წ., ქ. თბილისი

**საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა**

**შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ვ. როინიშვილი**

**განმცხადებლის მოთხოვნა** – ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.2018წ. №ბს-60-60(კ-18) განჩინების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება

#### **აღწერილობითი ნაწილი:**

ი. თ-ამ 25.09.2016წ. სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციისა და საქართველოს მთავრობის მიმართ ზიანის – 5112075 აშშ დოლარის ან 3637196,43 ევროს ანაზღაურების მოთხოვნით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 30.09.2015წ. განჩინებით ი. თ-ას უარი ეთქვა სარჩელის მიღებაზე, რაც კერძო საჩივრით გასაჩივრდა ი. თ-ას მიერ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 28.03.2016წ. განჩინებით ი. თ-ას კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 30.09.2015წ. განჩინება და ი. თ-ას სარჩელი დასაშვებობის შესამოწმებლად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.10.2016წ. განჩინებით საქმე განსჯადობის წესების დაც-

ვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 17.03.2017წ. განაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა, რაც სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 14.11.2017წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, უცვლელად დარჩა გასაჩივრებული განაწყვეტილება, რაც საკასაციო წესით გასაჩივრდა ი. თ-ას მიერ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.2018წ. განჩინებით საკასაციო საჩივარი დაუშვებლად იქნა ცნობილი, უცვლელად დარჩა სააპელაციო პალატის 14.11.2017წ. განჩინება.

საკასაციო სასამართლოს 08.10.2018წ. განცხადებით მომართა ი. თ-ამ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 13.09.2018წ. განჩინების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გაუქმებისა და საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით.

### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლო ი.თ-ას განცხადების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ წარმოდგენილი განცხადება განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, განცხადება განაწყვეტილების ბათილად ცნობის ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ შეტანილ უნდა იქნეს განაწყვეტილების გამომტან სასამართლოში. განცხადებას განიხილავს განაწყვეტილების გამომტანი სასამართლო იმ შემთხვევაშიც, როდესაც არსებობს ზემდგომი სასამართლოს განჩინება ამ განაწყვეტილების უცვლელად დატოვების შესახებ. აღნიშნული ნორმის გათვალისწინებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ ი. თ-ას განცხადება განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება არა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, არამედ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რადგან ი. თ-ას სასარჩელო მოთხოვნაზე არსებითად იმსჯელა და სარჩელი არ დააკმაყოფილა სწორედ

თბილისის საქალაქო სასამართლომ. მართალია, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გასაჩივრდა და ი. თ-ას საჩივრებზე იმსჯელეს ზემდგომი ინსტანციის სასამართლოებმაც, თუმცა მათ არ შეუცვლიათ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. ამდენად, სასამართლო მიიჩნევს, რომ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების მოთხოვნით ი. თ-ას უნდა მიემართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა კოლეგიისათვის, ანუ სასამართლოსთვის, რომელმაც არსებითად იმსჯელა განსახილველ საკითხებზე და მიიღო სათანადო გადაწყვეტილება.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 424-ე მუხლით და

### **და ა დ გ ი ნ ა:**

1. ი. თ-ას განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ განსჯადობით განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

## 5. განსჯადობის თაობაზე საკანსაციო სასამართლოს კომპეტენციის ფარგლები

სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის  
არსი

### განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ბს-527-527(გ-18)

17 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ  
საქმეთა პალატა  
შემადგენლობა: ვ. როინიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),  
მ. ვაჩაძე,  
ნ. სხირტლაძე

**დავის საგანი:** სასამართლოთა შორის განსჯადობა

#### აღწერილობითი ნაწილი:

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ 2015 წლის 7 აგვისტოს სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მოსარჩელემ მოითხოვა ა(ა)იპ ... დავალება, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ პროექტით გათვალისწინებულ შენობაზე, მდებარე, თბილისში, ... ქუჩა №15-ში დაშენებულ მე-3 სართულზე და სხვენზე გადასცეს საკუთრების უფლება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 4 მარტის განჩინებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სარჩელი მოპასუხე – აიპ ... მიმართ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ ქ. თბილისში, ... ქუჩა №15-ში მდებარე საცხოვრებელ სახლზე, ქ. თბილისი, ... ქუჩის რეაბილიტაციის პროექტით დაშენებული მესამე სართულისა და სხვენის მესაკუთრედ ცნობის შესახებ განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სარჩელი ა(ა)იპ ... მიმართ უძრავი ქონების მესაკუთრედ ცნობის თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 იანვრის განჩინებით ბინათმესაკუთრეთა ამ-

ხანაგობა „...“ შუამდგომლობა დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება; საქმე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სარჩელისა გამო, ა(ა)იპ ... წინააღმდეგ, განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

პალატამ განმარტა, რომ მართალია, დავის შინაარსის განსაზღვრის მიზნებისათვის აუცილებელია სამართალსუბიექტობის პრინციპის დაცვა, თუმცა, ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით. ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა არა მარტო საქმეში მონაწილე სუბიექტები (მხარეები), არამედ დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს კანონმდებლობას, რომლის საფუძველზეც არის აღმოცენებული დავა, დავის არსს და საგანს, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათს. ამგვარი ზოგადი დანაწესის შემცველია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი, რომლის შესაბამისადაც, საერ-

თო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე დავებს. რაც შეეხება სამართალსუბიექტობას, პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოა ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიანება), აგრეთვე ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს. განსჯადობის საკითხის გადანყვეტისას, ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო სამართლებრივი მიზანი.

განსჯადობის საკითხის გადანყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც. სადავო სამართალურთიერთობის შინაარსის გასარკვევად კი, არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მონესრიგებას მოითხოვს, სახეზეა, საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა. განსახილველ შემთხვევაში, სარჩელის მოთხოვნაა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-9, 24-ე მუხლებისა და „სივრცითი მოწყობისა და ქალაქმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ კანონის საფუძველზე დაევალოს მოპასუხეს „...“ პროექტით გათვალისწინებულ შენობაზე, მდებარე თბილისი, ... ქუჩა №15-ში დაშენებული მესამე სართულისა და სხვენის საკუთრების უფლებით გადაცემა. აღნიშნულ კანონს ეყრდნობა გასაჩივრებული გადანყვეტილების დასაბუთებაც.

სააპელაციო სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ 2011 წლის 11 ნოემბრის ქ. თბილისის მთავრობის №31.08.1264 დადგენილებით, დადგინდა ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში სარეაბილიტაციო არეალი, დადგენილებაზე თანდართული რუკის შესაბამისად. რეაბილიტაციის განმახორციელებელ სუბიექტად განისაზ-



ღვრა ა(ა)იპ ... . ამასთან, ა(ა)იპ ... წესდებით დასტურდება, რომ ფონდი დაფუძნებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ, ფონდის საქმიანობის ძირითადი მიზანია ქ. თბილისის ისტორიული იერსახის შენარჩუნება და უძრავი ქონების ღირებულების ზრდა. შესაბამისად, ირკვევა, რომ ფონდის მიერ რეაბილიტაციის განხორციელებას საჯაროსამართლებრივი მიზანი გააჩნდა. ამდენად, პალატა მიიჩნევს, რომ სახეზეა დავის ადმინისტრაციულსამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი ორივე წინაპირობა, კერძოდ: სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან, საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს და მოპასუხეს ქმედების განხორციელებისას ჰქონდა საჯაროსამართლებრივი მიზანი. აღნიშნული კი, წარმოშობს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისათვის გადაგზავნის საფუძველს.

#### **სამოტივაციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრების გაცნობის შედეგად მიაჩნია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სააპელაციო საჩივარი საქმესთან ერთად უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზე არ გვაქვს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე სასამართლოთა შორის დავა საქმის განსჯადობის თაობაზე, შესაბამისად, სახეზე არ არის ამავე მუხლით დადგენილი საკასაციო სასამართლოს იურისდიქცია – სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის უფლებამოსილების შესახებ, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარება, მაგრამ საქმე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი წესით არ გადაგზავნა იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსახილველ შემთხვევაში, თბილისის სააპელაციო სასამარ-

თლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა ეხელმძღვანელა არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, არამედ ამავე მუხლის მე-2 ნაწილით და საქმე გადაეგზავნა უფლებამოსილი სასამართლოსათვის, რომელიც თუ მიიჩნევდა, რომ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას წარმოადგენდა, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე წამოიწყებდა დავას საგნობრივი განსჯადობის შესახებ, რა შემთხვევაშიც საკასაციო სასამართლოს პროცესუალური უფლებამოსილება, გადაწყვიტოს დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, სახეზე იქნებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ დავა განსჯადობის თაობაზე რომლის გადაჭრის უფლებამოსილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე გააჩნია საკასაციო სასამართლოს, გულისხმობს სასამართლოთა შორის შეუთანხმებლობას დავის საგანთან მიმართებაში სასამართლოს უფლებამოსილების პრინციპის გათვალისწინებით, რაც კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ არის, რის გამოც საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობა სასამართლოთა შორის ასეთი დავის არსებობისა და შესაბამისად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით დადგენილი წესით საქმის საკასაციო სასამართლოსათვის გადმოგზავნის თაობაზე დაუსაბუთებელია, ვინაიდან თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-2 საფუძველზე, ნაცვლად განსჯადობაზე დავის წამოწყებისა, საქმე უნდა გადაეგზავნა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით განსახილველად იმავე სამართლებრივი დასაბუთებით, რომელიც მიუთითა საკასაციო სასამართლოში საქმის გადმოგზავნის შესახებ 2018 წლის 11 იანვრის განჩინებაში. ამასთან, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა კლასიკური დავა სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, თუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა არ დაეთანხმებოდა იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მსჯელობას დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადად მიჩნევის თაობაზე. ამდენად, საკასაციო სასამართლო განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უფლებამოსილი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ საქმის გადაგზავნის შემდეგ თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინის-

ტრაციულ საქმეთა პალატა წამოიწყებდა დავას საგნობრივი განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მიერ სადავოა სამოქალაქო სასამართლოს უფლებამოსილება კონკრეტულ დავასთან მიმართებაში. იმ პირობებში, როდესაც იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მსჯელობის საგანი არც გამხდარა წინამდებარე საქმის განხილვის კომპეტენცია, რაც ნათლად მიაჩნდება, რომ ამ ვითარებაში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შორის არ არსებობს დავა განსჯადობაზე.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში დაშვებული სასამართლოებს შორის საქმის განსჯადობის შესახებ დავა უზრუნველყოფილია და ემსახურება საქმის მხოლოდ იურისდიქციული ორგანოს მიერ განხილვის იმპერატიული დანაწესის შესრულებას, ხოლო საკასაციო სასამართლოსათვის მინიჭებული კომპეტენცია განსჯადობის შესახებ გულისხმობს ერთი ინსტანციის – ორი სასამართლოს მსჯელობის სამართლებრივ შეფასებას. სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის არსი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ საკასაციო სასამართლო მსჯელობს მოდავე სასამართლოების დასაბუთებულ შეხედულებებზე კომპეტენციის თაობაზე და წყვეტს დავას სწორედ ერთ-ერთი სასამართლოს მსჯელობის, სამართლებრივი კვალიფიკაციის გაზიარების საფუძველზე, რაც განსახილველ შემთხვევაში სახეზე არ არის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსჯადობის შესახებ დავის არარსებობის გამო საქმე უნდა დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

### **სარეზოლუციო ნაწილი:**

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

### **და ა დ გ ი ნ ა :**

1. საქმე – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „...“ სარჩელისა გამო, ა(ა)იპ ... მიმართ, დაუბრუნდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო  
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32  
ტელ.: (995 32) 299 72 23  
[www.supremecourt.ge](http://www.supremecourt.ge)